

9 ნაბიჯი ევროკავშირისკენ

შესრულების მდგომარეობა

სტატუსი 2.0



2023 წლის 8 ნოემბრიდან 2024 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით

დოკუმენტი გამოცემულია „სამოქალაქო საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის „გაწევრების მოლაპარაკებების გახსნა ევროკავშირთან“ ფარგლებში. *

* დოკუმენტი მომზადებულია შემდეგი ორგანიზაციების მიერ: „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“(GRASS), „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED), „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“ (GFSIS), „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)“, „სასამართლოს გუმაგი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (GYLA), „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ (SJC), „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI), „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „მმართველობის მონიტორინგის ცენტრი“ (GMC), „საფარი“.



GRASS
REFORMANDA



ISFED
სამართლიანი არჩევნებისა და საერთაშორისო საზოგადოების ფონდი



საქართველოს
სასაბარტოს გუმაგი
GEORGIAN COURT WATCH



საქართველოს
ელექტორული
ადმინისტრაცია



საქართველოს
ელექტორული
ადმინისტრაციის
ეროვნული ცენტრი



საქართველოს
ელექტორული
ადმინისტრაციის
ეროვნული ცენტრი


IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი




საფარი
SAPARI


9 ნაბიჯის შესრულების მონიტორინგის ანგარიში „სტატუსმეტრი“ მოიცავს 4 სექციას



9 ნაბიჯის შესრულება შეფასებულია 4 სხვადასხვა ვერდიქტით



სექციაში „არსებული მდგომარეობა“ თითოეული საკითხის აღწერისთვის გამოყენებულია გრაფიკული მონიშვნა, რომელთაც შემდეგი დატვირთვა გააჩნიათ:




გამოყენებულია შესრულებულ საკითხებთან მიმართებით

მწვანე საათი გამოყენებულია იმ საკითხებთან მიმართებით, რომელიც ნაწილობრივ შესრულდა, თუმცა პროცესი კვლავ გრძელდება ან საკითხი შესრულების პროცესშია

წითელი საათი გამოყენებულია იმ საკითხებთან მიმართებით, რომელიც არ/ვერ შესრულდა, თუმცა პროცესი არ დასრულებულა და შესაძლებელია, სიტუაცია შეიცვალოს

გამოყენებულია შესასრულებელ ან გაუარესებელ საკითხებთან მიმართებაში

სტატუსი



შესავალი

2022 წლის მარტში საქართველომ, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, ევროკავშირის წევრობის განაცხადი წარადგინა. ამავე წლის ივნისში, ევროკომისიამ მოლდოვასა და უკრაინისთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, ევროპული პერსპექტივის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. კომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინაპირობად 12 პრიორიტეტული მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა დაასახელა, რასაც ევროპული საბჭო დაეთანხმა.

2023 წლიდან სამოქალაქო საზოგადოების არაფორმალური კოალიცია ახორციელებდა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის იმპლემენტაციის მონიტორინგს. გასული წლის მანძილზე გამოიცა მონიტორინგის ექვსი ანგარიში, რომელიც დიდწილად თანხვედრაში იყო ევროკომისიის შეფასებებთან.

ამ პერიოდში, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან, ასევე ზოგადად ევროკავშირის წევრობის მიზანთან. ასეთ ნაბიჯებს შორის იყო 2023 წლის მარტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის ინიცირება (რომელიც ხალხმრავალი პროტესტის ფონზე უკან იქნა გაწვეული), სექტემბრის თვეში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის ინიცირება (რომელიც საბოლოოდ ვერ შედგა). თითოეულ ამ ქმედებას, მათ შორის მაისის თვეში რუსეთთან რეგულარული ფრენების აღდგენას, ევროკავშირის მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვა.

კანდიდატის სტატუსი

2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ გაფართოების პაკეტი წარადგინა, რომლითაც რეკომენდაცია გაუწია უკრაინისა და მოლდოვასათვის ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ევროკომისიამ საქართველოსთვის განსაზღვრული 12 პრიორიტეტიდან მხოლოდ 3 ჩათვალა შესრულებულად, მან საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გასცა, ამჯერად 9 ნაბიჯის შესრულების დათქმით, რასაც 2023 წლის დეკემბერში ევროპული საბჭო დაეთანხმა.

2023 წლის 25 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ნაბიჯების განხორციელების გეგმა [გამოაქვეყნა](#). დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების პროცესში სამოქალაქო ორგანიზაციები ჩართული არ ყოფილან.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არაფორმალურმა კოალიციამ, რომელიც 12 ორგანიზაციისგან შედგება¹, 2024 წლის თებერვალში წარადგინა ხედვა „9 ნაბიჯი ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკების დასაწყებად“ და გააგრძელა შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებებით განსახორციელებელი რეფორმების მონიტორინგი. 2024 წლის აპრილში კოალიციამ პირველი ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, 9 ნაბიჯიდან მხოლოდ ორი მიმართულებით დაფიქსირდა უმნიშვნელო პროგრესი, ხოლო 7 მიმართულებით წინსვლას ადგილი არ ჰქონია.

გარდა ამისა, 2024 წლის გაზაფხულიდან საქართველოს ხელისუფლებამ დააინიცირა და მიიღო მთელი რიგი ანტიდემოკრატიული კანონები, მათ შორის

¹ სამოქალაქო საზოგადოების ფონდი; საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS); რონდელის ფონდი (GFSIS); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); სასამართლოს გუშაგი; სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC); ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); მმართველობის მონიტორინგის ცენტრი (GMC); დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI); საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); საფარი

ღებტი+ ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები გაზარდა ანტი ევროპული და მაპოლარიზებული რიტორიკა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ევროინტეგრაციის გზიდან გადახვევა.

კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ

2024 წლის 3 აპრილს, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებიდან ოთხი თვის თავზე, დაპირებების მიუხედავად, მმართველმა გუნდმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონის ხელახალი ინიცირების გადაწყვეტილება დააანონსა და კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის პროცედურები წამოიწყო. პროცესი ხალხმრავალი საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. მმართველი გუნდის მხრიდან საკანონმდებლო პროცესს თანსდევდა მადისკრედიტირებული და დეზინფორმაციული კამპანია სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების მიმართ, რომელიც მტრულ რიტორიკაში გადაიზარდა. ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების ოფიციალური პირების მხრიდან კანონის არმიღების მოწოდებით ათეულობით განცხადება გაკეთდა. საერთაშორისო პარტნიორების შეფასებებით, ეს კანონი ეწინააღმდეგება ევროკავშირის ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, არის უკან გადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიზანს ამორებს. გარდა ამისა, კანონთან დაკავშირებით მომზადდა ვენეციის კომისიისა და ეუთო-ოდირის დასკვნები, რომელთა თანახმად კანონის შინაარსი, ისევე როგორც მისი მიღების ფორმა, შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და არაკმაყოფილებს დემოკრატიულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

„უცხოური გავლენის“ შესახებ კანონის წინააღმდეგ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას 200-ზე მეტი პირი იქნა დაკავებული. აქციების მსვლელობისას სამართალდამცავების მიერ გამოყენებული საპოლიციო ღონისძიებები უკანონო და დისპროპორციული იყო. პოლიციის მხრიდან მომიტინგეების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფიზიკური ძალადობის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რომელსაც შედეგად აქტივისტებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა სერიოზული დაზიანებები მოჰყვა. გარდა ამისა, არაერთი აქტივისტისა და პოლიტიკოსის მიმართ განხორციელდა თავდასხმები დაუდგენელი ჯგუფების მხრიდან. ამ ძალადობრივი ქმედებების გამო, არავინ მიცემულა პასუხისმგებამი.

მიუხედავად ქვეყნის შიგნით უპრეცედენტო წინააღმდეგობისა და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან მკაფიო მოწოდებებისა კანონპროექტის უკან გაწვევის შესახებ, მმართველმა პარტიამ კანონი სამივე მოსმენით მიიღო და საბოლოოდ, 28 მაისს პრეზიდენტის ვეტოც დაძლია. კანონი ძალაში 3 აგვისტოს შევიდა, ხოლო „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ“ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციისთვის ორგანიზაციებს ვადა 3 სექტემბრამდე მიეცათ, რის შემდეგაც ნებისმიერ დროს შესაძლებელია იუსტიციის სამინისტრომ იძულებითი აღსრულების პროცესი დაიწყო.

არსებული მონაცემებით, რეესტრში ორგანიზაციების მხოლოდ 2% დარეგისტრირდა. საგულისხმოა, რომ კანონი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ თავისუფალ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, არამედ შეეხება ფიზიკურ პირებსაც და მათზე ფინანსური სანქციების გავრცელების შესაძლებლობას იძლევა.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ანტიდემოკრატიული კანონის მიღება და თანმდევი პროცესები ნათლად მიუთითებს ხელისუფლების საგარ-

ეო პოლიტიკური კურსის მკვეთრ ცვლილებაზე, რაც, ფაქტობრივად, ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარის თქმას ნიშნავს.

2024 წლის 27 ივნისს ევროკავშირმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს „ფაქტობრივად შეჩერებული“ უწოდა. გარდა ამისა, ევროკავშირმა შეაჩერა საქართველოსთვის მხარდაჭერა ევროპული სამშვიდობო ფონდიდან (EPF) 30 მილიონი ევროს ოდენობით 2024 წლისთვის. ევროკავშირის ოფიციალური პირების განცხადებების თანახმად, სიტუაციის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, სხვა ზომების მიღებაც განიხილება. დახმარებების შეჩერება მოხდა ასევე ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის მხრიდანაც. საერთაშორისო პარტნიორების ყურადღება ამჟამად ფოკუსირებულია საქართველოში 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე. პარალელურად, ხელისუფლების ანტიდასავლური რიტორიკა უპრეცედენტო მასშტაბებს აღწევს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მხრიდან მკაფიო განცხადებების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ კანონის მიღება ქვეყანას ევროკავშირთან აახლოებს და 2030 წელს საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდება, რაც მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

2024 წლის ივლისში საქართველოს პრეზიდენტმა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა და 120 არასამთავრობო და მედია ორგანიზაციამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელი წარადგინეს და დროებითი ღონისძიების სახით,

სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონის არაკონსტიტუციური ნორმების ამოქმედების შეჩერებაც მოითხოვეს. ამ დრომდე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ვითარებაში ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია და ხელისუფლების მიერ საგარეო კურსის შემობრუნების მოლოდინი არ არსებობს, სამოქალაქო ორგანიზაციების არაფორმალური კოალიცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯის შესრულების მონიტორინგის გაგრძელებას. კოალიცია თვლის, რომ ევროინტეგრაციის გზაზე კვლავ დაბრუნების შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების მიერ მომზადებული ანგარიშები მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის სწრაფი რეფორმების გასატარებლად და ერთგვარი საგზაო რუკის ფუნქციას შეასრულებს.

2024 წლის „სტატუსმეტრის“ მე-2 გამოცემა დეტალურად აღწერს ევროკავშირის მხრიდან განსაზღვრული 9 მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებულ მოლოდინებს, ამ ეტაპზე რეფორმების განხორციელების კუთხით არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით 9 ნაბიჯიდან მხოლოდ 1 მიმართულებით (ანტიკორუფციული ზომები) ფიქსირდება მცირედი პროგრესი, ხოლო დანარჩენი მიმართულებებით წინსვლა არ არის. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა უკუსვლა.

ნაბიჯი N1 დეზინფორმაციასთან ბრძოლა

შესასრულებელია



ევროკავშირის მოთხოვნა:

ევროკავშირისა და მისი ფასულობების საწინააღმდეგო დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულირებასა და ჩარევასთან ბრძოლა

* მომზადებულია საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ



მოლოდინები:

- ხელისუფლების მხრიდან დეზინფორმაციასთან გამიჯვნა და დაპირისპირება, რომლის მიხედვითაც დასავლეთი საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს. ამასთან, ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ პროაქტიული კამპანიის წარმოება;
- ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის შეწყვეტა, რომელიც ტრადიციულ და რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად;
- ევროკავშირის და დასავლეთის სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის ხელშეწყობის და დაფინანსების დისკრედიტაციის შეწყვეტა;
- „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ (whole-of-society approach) გამოყენებით ჰიბრიდულ/კიბერ მედეგობის გასაზრდელად ძალისხმევის გაზრდა;
- დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ფაქტების შემმოწმებლების, აკადემიური წრეების, მედიისა და სხვა ძირითადი აქტორების ჩართვა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- თანამშრომლობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც წლებია ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით მუშაობენ;
- დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსის შედეგად. აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ,

როგორც პოლიტიკის შემუშავების, ისე მისი აღსრულების პროცესში, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პროფესიული წრეების ჩართულობის უზრუნველყოფა. დაუშვებელია, პირველი ნაბიჯის შესრულების საბაბით, იმგვარი საკანონმდებლო რეგულირების შემოღება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;

- პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც კომპანია Meta-ს ანგარიშში მითითებულ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან დაკავშირებულ კოორდინირებულ და არაავთენტური ქსელის საკითხს შეისწავლის და რეაგირების მიზნით შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებზე რეკომენდაციებს გასცემს;
- მთავრობის ადმინისტრაციის, ასევე სამინისტროებში მოქმედი სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების მხრიდან ინფორმაციის გაზიარება მათი სამოქმედო გეგმებისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- დეზინფორმაციის საკითხებზე მომუშავე პროფესიულ ჯგუფებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გამოწვევების განსაზღვრა და ეფექტიანი საპასუხო ნაბიჯების დაგეგმვა, რაც შესაძლოა მოიცავდეს ანტიდასავლური დეზინფორმაციის გამავრცელებელი ჯგუფების, მათი გზავნილების, ტაქტიკის გამოაშკარავებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს;
- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მავნე უცხოური (რუსეთის) ჩარევისა და ადგილობრივი საინფორმაციო მანიპულაციებისგან დაცვა.

არსებული მდგომარეობა:

✗ ხელისუფლებამ „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონის მიღებით სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან თანამშრომლობით „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ ჩამოყალიბების ნაცვლად დეზინფორმაციისა და პროპაგანდასთან ბრძოლის მიმართულებით მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობა მეტად გაართულა და საფრთხის ქვეშ დააყენა;

✗ კანონის მიღებას საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერება მოჰყვა, განსაკუთრებით მმართველი პარტიისა და მთავრობის წევრების მხრიდან;

✗ ევროკავშირის თანახმად, კანონი ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ პირველ ნაბიჯს დეზინფორმაციის შესახებ ეწინააღმდეგება;

✗ ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციისგან გამიჯვნისა და დაპირისპირების მაგივრად, ხელისუფლების წარმომადგენლები თავად ავრცელებენ ანტიდასავლურ პროპაგანდას და მის ფართოდ გავრცელებას უწყობენ ხელს. კერძოდ, ისინი ღონისძიებებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ასევე აშშ-ს, შიდა საქმეებსა და საარჩევნო პროცესში ჩარევაში, შანტაჟში, კოლონიურ დამოკიდებულებაში, სუვერენიტეტის შეზღუდვაში, რადიკალური ჯგუფებისა და პროპაგანდის დაფინანსებაში, რევოლუციური სცენარების ხელშეწყობაში და ტყუილის გავრცელებაში ადანაშაულებენ. „ქართული ოცნების“ თანახმად, ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების, ასევე აშშ-ის წარმომადგენლები საქართველოს წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციებს ავრცელებენ და საქართველოს მოსახლეობა შეცდომაში შეჰყვანთ, რათა ქვეყანაში არეულობა და დესტაბილიზაცია გამოიწვიონ, რაც რევოლუციურ სცენარებს ახალისებს;

✗ ხელისუფლების წარმომადგენლები აგრძელებენ მტკიცებას, რომ „გლობალური ომის პარტია“, რომელსაც ევროკავშირისა და აშშ-ის ინსტიტუტებზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არსებითი გავლენა აქვს, საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობს. ამავე კონტექსტში ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ აშშ-სა და ევროკავშირს დეოლიგარქიზაცია ესაჭიროება. ამავდროულად, „ქართული ოცნება“ „გლობალური ომის პარტიის“ შესახებ ეროვნული უსაფრთხოების მოტივით კონკრეტულ ინფორმაციას არ ასაჯაროებს, ხოლო, მარიამ ლაშხმა, „გლობალური ომის პარტია“ მასონებსაც კი [შეადარა](#);

✗ ქართული ოცნება ავრცელებს ცრუ ნარატივს, თითქოს ე.წ. აგენტების კანონი ევროკავშირისა და სხვა დასავლელი პარტნიორების მიერ მიღებული საკანონდებლო აქტების მსგავსი და მათზე „უფრო რბილიცაა“, და საქართველოს კანონის მიმართ დასავლეთის კრიტიკას „უსამართლობად“ [აფასებს](#);

✗ მმართველი პარტიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ოპოზიციური პარტიები, საქართველოს პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები და კრიტიკული მედიები „გლობალური ომის პარტიის“ წევრები და „უცხო ძალების აგენტები“ არიან, რომელთაც საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევა, რევოლუციის მოწყობა და საქართველოს ომში ჩართვა სურთ;

✗ რუსეთის ოფიციალური უწყებების მხრიდან საქართველოსთან დაკავშირებით კეთდება პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული განცხადებები არჩევნებსა და დასავლური სახელმწიფოების, განსაკუთრებით აშშ-ის, მიერ რევოლუციური გეგმების შესახებ, რაც არჩევნებში მავნე უცხოურ ჩარევას წარმოადგენს. თუმცა ხელისუფლება აღნიშნულის აღმოსაფხვრელად ნაბიჯებს არ დგამს, მეტიც - მმართველი პარტიის წარმომადგენლები რიგ შემთხვევებში მსგავს განცხადებებს ირიბად ეთანხმებიან კიდევაც. პარლამენტის

თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის, [განცხადებით](#), „თუკი მანამდე დეზინფორმაციის ტალღა მოდიოდა ჩრდილოეთიდან, სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე წელია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო უკრაინაში, ჩვენ ვართ მომსწრე, რომ ცრუ ნარატივები ვრცელდება დასავლეთიდან საქართველოს წინააღმდეგ“;

✗ მმართველი პარტიის წევრები ანტიდასავლური დეზინფორმაციას ავრცელებენ დასავლურ ფონდებზე და მათ მიერ დაფინანსებულ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე შეტევით. „ქართული ოცნების“ და „ხალხის ძალის“ წევრები სისტემატურად ესხმიან თავს ისეთ ორგანიზაციებს, როგორც არის: USAID, European Endowment for Democracy (EED), National Endowment for Democracy (NED), Swedish International Development Agency (SIDA). 2024 წელს მმართველი პარტიის წევრების მიერ სამოქალაქო საზოგადოებაზე და დასავლურ ფონდებზე თავდასხმები გახშირდა. ბოლო პერიოდში გააქტიურდა საუბარი ხელისუფლების მხრიდან, რომ საქართველოში საარჩევნო პროცესები „უპრეცედენტო უცხოური ჩარევის ფონზე“ წარმართება. დასავლურ ფონდებს მმართველი პარტია ასევე ადანაშაულებს საქართველოში „ღვბტ პროპაგანდის“ გავრცელებაში;

✗ გრძელდება ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია, რომელიც ტრადიციულ და რელიგიურ სენტიმენტებზე აპელირებით კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. „ქართულმა ოცნებამ“ დააინიცირა საკონსტიტუციო ცვლილებებისა და „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კონსტიტუციური კანონპროექტის ინიცირება, რაც პარტიის ლიდერების განცხადებით, „ღვბტ პროპაგანდისა“ და „ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან და მისი გარდაუვალი მავნე შედეგებისგან“ საზოგადოების დაცვას ემსახურება; ევროკავშირის მხრიდან აღნიშნული ინიცი-

ატივის კრიტიკას პრემიერმა „უკიდურესად შემამოფოთებელი“ უწოდა, რადგან ევროკავშირი ტრადიციული ფასეულობების დაცვის შესახებ კანონპროექტს ეწინააღმდეგებოდა;

✗ ხელისუფლების წარმომადგენლები აწარმოებენ პროპაგანდისტულ კამპანიას, თითქოს 2008 წლის ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა არა - რუსეთს, არამედ იმდროინდელ ხელისუფლებას ეკისრება, რომელმაც საომარი მოქმედებები გარე ძალების დავალებით დაიწყო;


✗ ანტიდასავლური დეზინფორმაციის გავრცელებას აქტიურად უწყობენ ხელს პროსახელისუფლებო მედიები;


✗ დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით არ მიმდინარეობს აქტიური და სისტემური თანამშრომლობა შესაბამისი გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან;

✗ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი არ ყოფილა გამჭვირვალე და ინკლუზიური; დოკუმენტში არ არის მიმოხილული უცხოური საინფორმაციო მანიპულირებისა და ჩარევის საფრთხეები; სტრატეგია ვერ უზრუნველყოფს ევროკავშირის მიერ რეკომენდებული ე.წ. „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ მხარდაჭერას, რადგან მასში უგულებელყოფილია სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აკადემიასთან თუ კერძო სექტორთან, თანამშრომლობის საკითხი;

✓ საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 11 დეკემბერს დაამტკიცა 2024-2027 წლების საკომუნიკაციო სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტად დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა დასახელდა. სტრატეგია ითვალისწინებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის შექმნას, რომელიც მოემსახურება

დეზინფორმაციის კუთხით დასახული მიზნების და მათი ამოცანების შესრულებას;

 საქართველო [შუერთდა](#) ევროსაბჭოს [კონვენციას](#) ხელოვნური ინტელექტის თაობაზე, რომელიც, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტისგან დეზინფორმაციისა და ინფორმაციის მანიპულაციის კუთხით მომდინარე საფრთხეებსაც არეგულირებს;

 საინფორმაციო ცენტრი NATO-სა და ევროკავშირის შესახებ განაგრძობს საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას ევროინტეგრაციის პროცესისა და მის ფარგლებში მიღებული ხელშესახები სიკეთეების თაობაზე, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის სიმულაციური სწავლებების ჩატარებას დეზინფორმაციასთან ბრძოლის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;

გამოწვევები:

! საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ აძლიერებს კრემლის ოფიციალური პირების და საქართველოში მოქმედი პრო-რუსული დაჯგუფებების ნარატივს, რომ დასავლეთს საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევა და „მეორე ფრონტის“ გახსნა სურს;

! ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მომდინარე ანტიდასავლური, მათ შორის ევროკავშირის საწინააღმდეგო, პროპაგანდა ევროკავშირის მხრი-

დან შეშფოთებას იწვევს და შეუძლებელს ხდის საქართველოს წინსვლას ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში;

! საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დასავლურ ფონდებზე და მათ მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმა ემთხვევა პრორუსული დაჯგუფებების მიერ გავრცელებულ ნარატივებს, აღვივებს ანტიდასავლურ განწყობებს და ქმნის ცრუ წარმოდგენებს, რომ დასავლეთი საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო ინსტიტუტებს და იდენტობას ძირს უთხრის;


! საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ „ღებტ პროპაგანდის და ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის“ შესახებ რიტორიკა და ნაბიჯები, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება, ხელს უწყობს ევროკავშირისა და მისი ფასეულობების საწინააღმდეგო დეზინფორმაციული ნარატივების გავრცელებას;

! ევროკავშირის მიერ რეკომენდებული ე.წ. „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ საპირისპიროდ, პირველი ნაბიჯის შესრულების მიზნით დეზინფორმაციის საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არ ხდება თანამშრომლობა და პირიქით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით, ხელისუფლება მათ საქმიანობას მეტ დაბრკოლებას უქმნის და საფრთხის ქვეშ აყენებს. ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად ეწევიან დეზინფორმაციის საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციების დისკრედიტაციას და სიტყვიერ თავდასხმებს;

! რუსეთი საპარლამენტო არჩევნებში საინფორმაციო საშუალებებით მავნე ჩარევას ცდილობს, რასაც ხელისუფლების მიერ წარმოებული ანტიდასავლური პროპაგანდა ამარტივებს.

ნაბიჯი N2

ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თანხვედრა



ევროკავშირის მოთხოვნა:

ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების
პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრის გაუმჯობესება

* მომზადებულია რონდელის ფონდის (GFSIS) და საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მიერ



მოლოდინები:

- ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გაცხადებებზე და შემზღუდველ ზომებზე მიერთების პრაქტიკის გადახედვა და ევროკავშირის განცხადებების მხარდაჭერის მაჩვენებლის საგრძნობლად [გაუმჯობესება](#);
- საერთაშორისო ფორუმებზე ევროკავშირის მიერ გამოსატული პოზიციების გაზიარებისა და მათი მხარდაჭერის გაგრძელება;
- ისეთი განცხადებებისა და ქმედებებისგან თავის შეკავება, რომლებიც საგარეო პოლიტიკაზე ევროკავშირის პოზიციას ეწინააღმდეგება;
- ჰიბრიდული და კიბერ საფრთხეების მიმართ მედეგობის გაზრდის მიზნით „ერთიანი საზოგადოებრივი მიდგომის“ ფარგლებში ძალისხმევისა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაგრძელება;
- ევროკავშირთან თანამშრომლობა და ძალისხმევის გაგრძელება რუსეთის, ბელარუსის თუ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების გვერდის ავლის არდამშვების მიზნით;
- რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისგან თავის ასარიდებლად საქართველოს ტერიტორიის გამოყენების წინააღმდეგ პრევენციული და, საჭიროების შემთხვევაში, ქმედითი ზომების გამოყენების გაგრძელება;
- რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშემწყობი ზომების მიღებისგან თავის შეკავება;

- რუსეთის ფედერაციასთან სატრანსპორტო კავშირების შემდგომი განვითარებისგან თავის შეკავება (ფრენები, საზღვაო-საბორნე მიმოსვლა, ახალი დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა)
- ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კრიზისების მართვის მისიებსა და ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობა.
- ევროკავშირის “სისტემურ მეტოქე” ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა (განსაკუთრებით პოლიტიკურ საკითხებში) და ურთიერთობების დონის შემდგომი [ამატლებისგან თავის შეკავება](#);

არსებული მდგომარეობა:

✗ უკანასკნელ პერიოდში მმართველი პარტიის მიერ ინიცირებული თუ მიღებული საკანონმდებლო აქტები, უპირველეს ყოვლისა ე.წ. უცხოური აგენტების კანონი, ასევე თანმხლები ანტიდასავლური რიტორიკა შეუთავსებელია ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასთან და წინააღმდეგობაში მოდის მის ღირებულებებთან, რაც ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თანხვედრას გამოიწვევს. ამას, მათ შორის, მოწმობს ევროკავშირის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის გასაძლიერებლად 30 მილიონი ევროს ოდენობით გამოყოფილი დაფინანსების გაყინვის თაობაზე, ასევე ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება და საქართველოში ევროკავშირის ელჩის განცხადება, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი შეჩერებულია;

✗ ასევე შეჩერებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატები;

⌚ საქართველოს მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 29 აგვისტომდე ევროკავშირის ერთობლივ განცხადებებთან შეერთების მაჩვენებელმა შეადგინა 52%. ევროკავშირის მიერ მიღებული 62 განცხადებისა და გადაწყვეტილებიდან საქართველო 32-ს შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო შეუერთდა ევროკავშირის პრაქტიკულად ყველა იმ განცხადებას, რომელიც ეხებოდა აზიის, ოკეანეთის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის თუ აფრიკის ქვეყნებში ადამიანის უფლებების, ან საკონსტიტუციო მართლწესრიგის დარღვევის მნიშვნელოვან ფაქტებს. ამ განცხადებების დიდი ნაწილი აწესებს შემზღუდველ ზომებს ქვეყნების, ან კონკრეტული პირების მიმართ. ასეთ ზომებთან შეერთებას საქართველო წინა წლებში თავს არიდებდა;

✓ საქართველო შეუერთდა ევროკავშირის საბჭოს 2024 წლის 19 თებერვლის [2024/633 გადაწყვეტილებას](#), რომელიც 2022 წლის 23 თებერვლის [2022/266 საბჭოს გადაწყვეტილებას](#) 12 თვით ახანგრძლივებს. ეს გადაწყვეტილება გმობს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციის მიზნით ძალის გამოყენებას და შემზღუდველ ზომებს უწესებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ სუბიექტებს. ეს ევროკავშირის ერთადერთი გადაწყვეტილებაა რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციას დაგმობის და სანქციების შესახებ, რომელსაც საქართველო უერთდება;

✗ საქართველო არ შეუერთდა ევროკავშირის არცერთ ერთობლივ განცხადებას, რომელიც გმობდა/გმობს რუსეთის ფედერაციის აგრესიას უკრაინის მიმართ და არცერთ გადაწყვეტილებას, რომლითაც წესდება სანქციები იმ კერძო, ან იურიდიულ პირებზე, რომლებიც ძირს უთხრიან, ან საფრთხეს უქმნიან უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას ([\(\(CFSP\) 2024/195](#)), ახლენენ უკრაინის დესტაბილიზაციას ([\(\(CFSP\) 2024/577](#)), ([\(\(CFSP\) 2024/1770](#)) ([\(\(CFSP\) 2024/1744](#)) ან ხელს უწყობენ რუსეთის ეროვნული ბანკის, ან ეროვნული კეთილდღეობის ფონდის სასარგებლოდ ნებისმიერი სახის ტრანზაქციის განხორციელებას ([\(\(EU\) 2024/576](#));

✗ საქართველომ არ გამოიყენა შესაძლებლობა, შეერთებოდა სირიის წინააღმდეგ 2013 წელს დაწესებულ შემზღუდველ ზომებს ([2013/255/CFSP](#)), რომლის დანამატს წარმოადგენს ევროკავშირის 2023 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება ([\(\(CFSP\) 2023/28761](#)). აღსანიშნავია, რომ სირიამ უკვე წლებია რაც ცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის “დამოუკიდებლობა” და მის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებზე თავმკავებისთვის არავითარი „მიზანშეწონილობის“ არგუმენტი აღარ არსებობს;

✗ საქართველო კვლავ არ უერთდება რუსეთთან დაკავშირებულ განცხადებებს. კერძოდ, ამ პერიოდში საქართველო არ შეუერთდა ევროკავშირის უმაღ-

ლესი წარმომადგენლის განცხადებას [\(26/24 17/01/2024\)](#), რომელიც რუსეთისგან მოითხოვდა უპირობოდ გაეთავისუფლებინა ვლადიმერ ყარამურზა, ილია იაშინი, ალექსეი ნავალნი და სხვა უკანონო პატიმრები. საქართველო არ შეუერთდა ალექსეი ნავალნის სიკვდილთან დაკავშირებით უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებას [\(134/24 19/02/2024\)](#). ამასთან, საქართველო არ შეუერთდა ევროკავშირის გლობალური ადამიანის უფლებების სასანქციო რეჟიმის [\(\(CFSP\) 2020/1999\)](#) ფარგლებში მიღებულ 2024 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებას [\(CFSP\) 2024/418](#), რომლითაც ევროკავშირმა დაგმო რუსი ოპოზიციონერის ვლადიმერ ყარამურზას წინააღმდეგ კრემლის სასამართლოს მიერ გამოტანილი პოლიტიკურად მოტივირებული 25 წლიანი განაჩენი და სანქციები დაუწესა რუსეთის ოთხ მოქალაქეს და ერთ ორგანიზაციას, ასევე არ შეუერთდა 27 მაისის [\(\(CFSP\) 2024/1484\)](#) განცხადებას, რუსეთში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული გარემოს დამძიმების საპასუხოდ პასუხისმგებელ პირებისთვის შემზღუდველი ზომების ახალი ჩარჩოს დაწესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების საკითხზე რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის ყველა განცხადებას შეუერთდნენ უკრაინა და მოლდოვა;

✗ საქართველო არცერთ ეტაპზე არ შეუერთდა დაწესებულ სანქციებს იმ მოქალაქეების და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც ეწევიან ძირ-გამომთხრელ საქმიანობას მოლდოვის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ [\(CFSP\) 2024/740](#), [\(\(CFSP\) 2024/1242\)](#);

✗ საქართველო არ შეუერთდა არცერთ გადაწყვეტილებას, რომელიც შემზღუდველ ზომებს უწესებდა ირანს განხორციელებული შიდა რეპრესიების [\(\(CFSP\) 2024/1019\)](#) და რუსეთისთვის უკრაინის წინააღმდეგ ომში გამოყენების მიზნით იარაღის მიწოდებისთვის [\(\(CFSP\) 2024/1605\)](#). იგივე შეიძლება ითქვას ისრაელის შესახებაც, სადაც საქართველო არ შეუერთდა დასავლეთ სანაპირ-

ოზე პალესტინელების წინააღმდეგ სერიოზული დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ სანქციებს [\(\(CFSP\) 2024/1175\)](#). აღსანიშნავია, რომ იგი ასევე არ შეუერთდა [2024 წლის 24 აპრილის](#) განცხადებას, რომელიც გმობს ირანის მიერ ისრაელზე განხორციელებულ დრონებისა და რაკეტების მასიურ შეტევას;

✗ ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველო კვლავ არ უერთდება არც ერთ განცხადება/გადაწყვეტილებას, რომელიც ბელარუსს ეხება, კერძოდ 2024 წლის 24 აგვისტოს [\(CFSP\) 2024/2116](#) გადაწყვეტილებას, რომელიც გმობს ბელარუსის მხარდაჭერას რუსეთის ფედერაციის უკრაინაში აგრესიის მიმართ და წინა გადაწყვეტილებასთან დამატებით 28 პირს უწესებს შემზღუდველ ზომებს;

✗ საქართველო არ შეუერთდა ჩრდილო კორეის მიმართ დამატებით შემზღუდველ ზომებს, რომლებიც ევროკავშირმა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციის დარღვევით ამ უკანასკნელის მიერ ბირთვული იარაღის კიდევ ერთი გამოცდის გამო პასუხისმგებელ პირებსა და ორგანიზაციებს დაუწესა ევროკავშირმა [\(CFSP\) 2024/1603](#);

☑ არსებული მონაცემებით საქართველო არ უთმობს საკუთარ ტერიტორიას სანქციების თავიდან არიდების მცდელობებს მესამე აქტორების მიერ. ამ კონტექსტში, საქართველოს მთავრობის მტკიცებით, უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე უარი ეთქვა ათას ხუთასზე მეტ მცდელობას, რომ დასავლეთის მიერ სანქცირებული საქონელი საქართველოს გავლით შესულიყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე;

✗ 2024 წელს საქართველომ შეწყვიტა მონაწილეობა ევროკავშირის მისიებში მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ევროკავშირის სხვა მისიებში მონაწილეობის მოთხოვნა საქართველოს მხრიდან არ ყოფილა

გამოწვევები:

! საკუთარი ქმედებებითა და რიტორიკით, ხელისუფლება წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასა და ღირებულებებთან, რაც იმთავითვე გამორიცხავს ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თანხვედრას;

! მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირის განცხადებებზე შეერთების საერთო მაჩვენებელი მცირედით გაზრდილია წინა წელთან შედარებით, მკაფიოდ იკვეთება საქართველოს მთავრობის უკიდურესად ფრთხილი პოზიცია რუსეთთან, ირანთან და ბელარუსთან მიმართებაში. საქართველო პრაქტიკულად არ რეაგირებს რუსეთის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო სამართლის (ჰუმანიტარულის ჩათვლით) დარღვევებზე;

! საქართველო არ იჩენს სოლიდარობას ასოცირებული ტრიოს პარტნიორების მიმართ და არ უერთდება უკრაინის და მოლდოვის მხარდამჭერ ევროკავშირის განცხადებებს, ან ნაბიჯებს;

! საქართველო ადეკვატურად არ პასუხობს რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ და არ უერთდება ევროკავშირის გადაწყვეტილებებს აგრესიის ხელშეწყობი პირებისა თუ ქვეყნების მიმართ შემზღვევლი ზომების დაწესების თაობაზე, რაც თავისთავად ზიანს აყენებს ქვეყნის ევროპული მისწრაფებების დაკმაყოფილების მოლოდინებს.

ნაბიჯი N3

პოლარიზაციის დაძლევა

შესასრულებელია



ევროკავშირის მოთხოვნა:

შემდგომი მუშაობა პოლიტიკური პოლარიზაციის დასაძლევად, მათ შორის, საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან ერთად მეტად ინკლუზიური საკანონმდებლო პროცესის უზრუნველყოფის გზით, განსაკუთრებით საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე.

* მომზადებულია საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მიერ



მოლოდინები:

- მმართველი პარტიის მიერ არსებულ მოქმედებათა კურსის შეცვლა და ევროინტეგრაციის გზაზე დაბრუნება;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან და მედიასთან დაკავშირებული კონფრონტაციული განცხადებების ან/და ქმედებების შეწყვეტა, მათი საქმიანობისთვის ხელშემშლელი კანონებსა და სამართლებრივ აქტებზე უარის თქმა;
- თავის შეკავება ისეთი ქმედებებისა და საკანონმდებლო ინიციატივებისგან, რომლებმაც შესაძლოა პოლიტიკური დაძაბულობის გაღრმავება, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და რეფორმების დღის წესრიგის შეფერხება და ევროკავშირთან ურთიერთობების შემდგომი გაართულება გამოიწვიოს;
- ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული განცხადებების შეწყვეტა;
- პოლიტიკურ ოპონენტებზე ძალადობის ან/და ძალადობის წახალისების გზით პოლარიზაციის გაღრმავების შეწყვეტა და აქამდე, მათ შორის გაზაფხულზე გამართული საპროტესტო აქციების დროს ჩადენილი ძალადობის ფაქტების, ადეკვატური გამოძიება;
- მმართველ პარტიასა და პრეზიდენტს შორის პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება, მათ შორის, პრეზიდენტის ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ არდაყენებით და მასთან თანამშრომლობის განახლებით;
- ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მწვავე რიტორიკის დასრულება;
- ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის, კომპრომისის მიღწევისა და ინკლუზიური კონსულტაციების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, ევროინტეგრაციის დღის წესრიგთან დაკავშირებული რეფორმების ირგვლივ.
- პარლამენტის ფარგლებში თანამშრომლობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მმართველი პარტიის მიერ ოპოზიციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საფუძვლიანი მონაწილეობის უზრუნველყოფას, ხოლო ოპოზიციას მხრიდან სამუშაო ჯგუფებსა და საკომიტეტო სამუშაო პროცესში ჩართულობას;
- საკონსტიტუციო ცვლილების დასრულება, მათ შორის, საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით, არჩევნებამდე სულ მცირე 6 თვით ადრე;
- ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების კვალიფიციური უმრავლესობით (2/3) არჩევა;
- პარლამენტში ძალაუფლების განაწილება რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის ოპოზიციისთვის დათმობის გზით, როგორც ამას 2020 წლის 19 აპრილის შარლ მიშელის შეთანხმება ითვალისწინებდა;
- მმართველი პარტიის მიერ ოპოზიციისთვის პარლამენტში მის ხელთ არსებული ბერკეტების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობის მიცემა, მათ შორის, ოპოზიციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პროექტების დროული განხილვით, საგამოძიებო კომისიების შექმნაში ხელის არშეშლით და ა.შ.;

- მმართველი პარტიის ლიდერების მხრიდან კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიების პოლიტიკური გადაცემების და დებატების ბოიკოტის შეწყვეტა და კრიტიკულ მედიასთან თანამშრომლობის განახლება; ანალოგიურად, პრო-სახელისუფლებო ტელევიზიებს და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის აღდგენა;
- მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსის მიღწევის მიზნით, კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმის ჩამოყალიბება ისეთ საპარლამენტო დანიშვნებზე, სადაც მაღალი კვორუმია საჭირო;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მრავალპარტიული დიალოგისა და კოალიციური მმართველობის პოლიტიკური კულტურის გაძლიერების ხელშეწყობა;
- ევროპარლამენტთან ჟან მონეს დიალოგის ჩამოყალიბება “ქართულ ოცნებასა” და ოპოზიციას შორის პოლიტიკური დიალოგის გასაგრძელებლად.

არსებული მდგომარეობა:

✗ მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებდნენ, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება პოლარიზაციას შეამცირებდა და პოლიტიკურ გარემოში ფუნდამენტურ ცვლილებებს შეიტანდა, კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ პოლიტიკური პოლარიზაცია ხელისუფლებასა და ოპოზიციას, ხელისუფლებასა და პრეზიდენტს, ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არათუ შემცირდა, წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა;

✗ ევროკავშირისა და სხვა სტრატეგიული პარტნიორების მოწოდებებისა და მასშტაბური საზოგადოებრივი პროტესტის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტის ვეტოს დაძლევიტ, მმართველმა პარტიამ დაამტკიცა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (ე.წ. აგენტების კანონი), რამაც ოპოზიციასთან, პრეზიდენტთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან არსებული პოლარიზაციის მკვეთრი გაღრმავება გამოიწვია. ამ საკანონმდებლო ინიციატივის მიღებით, „ქართულმა ოცნებამ“ დაარღვია 2023 წელს ანალოგიური კანონის გაწვევის შემდეგ არაერთგზის დადებული პირობა, რომ მისი ხელახლა ინიცირება არ მოხდებოდა;

✗ კანონის შემუშავების, ინიცირების, განხილვისა და მიღების პროცესმა უკიდურესად დესტრუქციულ და არაინკლუზიურ ვითარებაში ჩაიარა, დაინტერესებული მხარეების არსებითი ჩართულობის გარეშე. „ქართულმა ოცნებამ“ უარი განაცხადა ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოების, ექსპერტებისა და საერთაშორისო პარტნიორების არგუმენტების მოსმენაზე. ანალოგიურად, მმართველი პარტიის ლიდერებმა არ გაითვალისწინეს ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნები „სამართლებრივი არგუმენტების არქონის გამო“ და აღნიშნული ორგანიზაციები არაპროფესიონალიზმში, მიკერძოებულობასა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირში დაადანაშაულეს;

✗ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ სამართალდამცავების მიერ ძალის გადამეტებამ და პოლიტიკური ლიდერებსა და აქტივისტებზე ფიზიკურმა ძალადობამ და მუქარებმა პოლარიზაცია მნიშვნელოვნად გააღრმავა. არ მომხდარა კანონის წინააღმდეგ გამართული მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ სამართალდამცველების მხრიდან ძალის გადამეტების შემთხვევების გამოძიება, ისევე როგორც პოლიტიკურ ლიდერებსა და აქტივისტებზე ფიზიკური ძალადობისა და მოქალაქეებთან მუქარის შემცველი

ზარების განმახორციელებელი პირების მხილება და სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა;

✗ „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის, კახა კალაძის [განცხადებით](#), 9 ნაბიჯის შესრულების მიზნით ოპოზიციასთან თანამშრომლობა წარმოუდგენელი იყო;

✗ მწვავე რიტორიკა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის უფრო მძაფრი გახდა და უმეტეს შემთხვევაში შეურაცხმყოფელ ხასიათს იძენს. ოპოზიცია მმართველ პარტიას პრორუსული პოლიტიკის გატარებაში, არაკონსტიტუციურ ქმედებებსა და ქვეყნის დალატში ადანაშაულებს, ხოლო „ქართული ოცნება“ ოპოზიციას საქართველოს ყველაზე დიდ მტრად და „აგენტურად“ მოიხსენიებს და ქვეყნის საზიანოდ „უცხოელი პატრონების“, მათ შორის „გლობალური ომის პარტიის“ დავალებების შესრულებას ედავება. „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციური პარტიის წევრები ერთმანეთს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავენ. პარლამენტში ე.წ. აგენტების კანონის განხილვისას მნიშვნელოვნად იმატა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტებმაც. პოლარიზაცია ასევე გაამძაფრა „ქართული ოცნების“ მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დაბრალებამ და ამისთვის მათი გასამართლების დაპირებამ;

✗ საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციური ძალების დამოუკიდებელ იდენტობას არ აღიარებს, არ ცნობს ზღვარს პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის და ყველას „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ უწოდებს, რომელიც უნდა „განეიტრალდეს“. ბოლო პერიოდში ოპოზიციური პარტიების დამოუკიდებელ იდენტობის „ქართული ოცნება“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ კონტექსტშიც, რომ ისინი არა ქართული საზოგადოებისთვის მოქმედი პარტიები, არამედ გარე ძალების მიერ მართულები არიან. მეტიც, მმართველი პარტიის დაპირებაა არჩევნების შემდგომ

ოპოზიციური პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადება, გასამართლება და მანდატების ჩამორთმევა, რასაც „ქართული ოცნება“ საქართველოში „გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებისა და გამართული დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების“ მნიშვნელოვან წინაპირობად ასალებს;

✗ „ქართული ოცნება“ ოპოზიციას მორალურ ძალადობაში და ე.წ. ლიბერალურ ფაშიზმში ადანაშაულებს და ამტკიცებს, რომ ეს ერთგვარი ძალადობის ფორმაა, რომელსაც, მათ შორის, მოჰყვა წყალტუბოში „ქართული ოცნების“ წევრის, ერმილე გიგიაძის, გარდაცვალება;

✗ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობამ კანონის მიღების შემდეგ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მმართველი პარტია სალომე ზურაბიშვილს „არალეგიტიმურ“, „ფორმალურ“ პრეზიდენტს, მოღალატეს, ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ „აქტივისტს“ და „მარიონეტს“ უწოდებს და ოპოზიციასთან თანამშრომლობაში, დალატსა და არასახელმწიფოებრივ ქმედებებში ადანაშაულებს. მეტიც, პრემიერის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი საერთოდ არაა, არამედ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ პრეზიდენტი. პოლარიზაცია გამოიხატა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით - „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურის განხილვაზე უარს ამბობს. მთავრობა პრეზიდენტისთვის საგარეო ვიზიტებზე თანხმობაზე ხშირ შემთხვევაში უარს აცხადებს. „ქართულმა ოცნებამ“ მწვავედ გააკრიტიკა პრეზიდენტის მიერ პოლიტიკური დაძაბულობის განსამუხტად შემუშავებული „ქართული ქარტია“, რომელსაც 17 პოლიტიკური პარტია და 5 დამოუკიდებელი დეპუტატი შეუერთდა;

✗ ე.წ. აგენტების კანონის მიღების შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა ფაქტობრივად შეწყვეტილია, რადგან, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მას არა უცხოური დაფინან-

სების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტად, არამედ მათი საქმიანობის შეზღუდვისა და სტიგმატიზების მიზანმიმართულ ნაბიჯად მიიჩნევენ. „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის“ საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ შეაჩერა საქართველოს პარლამენტთან 2023 წელს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი. სამოქალაქო ორგანიზაციების უმრავლესობამ უარი თქვა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ რეგისტრაციაზე. უკვე სამმა ორგანიზაციამ საკუთარი ლიკვიდაციის თაობაზე განაცხადა.

✗ კანონის მიღებისა და აღსრულების პარალელურად, „ქართული ოცნება“ აგრძელებს სამოქალაქო სექტორზე სიტყვიერ თავდასხმებს და მათი დისკრედიტაციის მცდელობებს. მმართველი პარტიის ლიდერები სამოქალაქო სექტორს ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელებაში, მართლმადიდებლურ ეკლესიაზე თავდასხმაში, უცხოური ინტერესების გატარებაში, „რადიკალურ“ ოპოზიციასთან კავშირებში, დონორებისგან მიღებული „შავი ფულით“ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობებსა და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვის სურვილში ადანაშაულებენ;

✗ ე.წ. აგენტების კანონის მიღებამ გამოიწვია 9 ნაბიჯის შესრულების პროცესთან დაკავშირებით პარლამენტში შექმნილი სამუშაო ფორმატის შეჩერება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრები, ასევე „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის“ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები;

✗ მმართველ პარტიას არათუ არ განუახლება თანამშრომლობა კრიტიკულად განწყობილ ტელევიზიებთან, არამედ განაგრძო მათ მიმართ სიტყვიერი თავდასხმები. კრიტიკული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორ-

ებულია ფიზიკური ძალადობის, დაშინების, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის შემთხვევები, რომელთა გამოძიება არ მომხდარა. მაისი-ივნისის პერიოდში „ქართული ოცნებისა“ და „ხალხის ძალის“ დეპუტატების მოთხოვნით, საპარლამენტო აკრედიტაცია ღროებით შეუჩერდა „მთავარი არხის“, „ფორმულასა“ და „ტვ პირველის“ ოთხ ჟურნალისტს. უსაფრთხოების დაცვის საბაბით, ონლაინ-მედიის, გაზეთებისა და რადიოს ჟურნალისტებს რამდენჯერმე ჩამოერთვათ პარლამენტში შესვლის უფლება, მათ შორის ე.წ. აგენტების კანონის განხილვების დროს. ასევე არ განახლებულა თანამშრომლობა ოპოზიციურ პარტიებსა და პრო-სახელისუფლებო ტელევიზიებს შორის. საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2024 წლის ანგარიშის [თანახმად](#), პრესის თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველომ 26 ადგილით უკან გადაინაცვლა და 103-ე ადგილი დაიკავა;

✗ მმართველი პარტიის ლიდერების ანტიდასავლურმა რიტორიკამ უკანასკნელ პერიოდში უპრეცედენტო დონეს მიაღწია და მწვავე სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. „ქართული ოცნების“ ლიდერები ევროკავშირს და მის წევრ-სახელმწიფოებს, აშშ-ს და დონორ ორგანიზაციებს (IRI, NED, EED) საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ოპოზიციის „გაუმჭვირვალე“ დაფინანსების გზით ძალისმიერი რევოლუციის მოწყობისა და დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ჩარევის მცდელობებში, ასევე ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელებაში ადანაშაულებენ. „ქართული ოცნების“ გაღიზიანება განსაკუთრებით იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ მაღალი თანამდებობის პირებმა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ღიად დაუჭირეს მხარი მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს და თბილისში ვიზიტისას მათ მხარდამჭერი სიტყვით მიმართეს;

✗ გრძელდება მმართველი პარტიის ლიდერთა განცხადებები „გლობალური ომის პარტიასთან“ დაკავშირებით, რომელიც, მათი თქმით, განაგრძობს საქართველოს წინააღმდეგ „შანტაჟს“ და საქართველოში „მეორე ფრონტის“

გახსნას ცდილობს. მიუხედავად „ქართული ოცნების“ მტკიცებისა, რომ „გლობალური ომის პარტიაში“ ევროკავშირი არ იგულისხმება და პირიქით, ევროპული სახელმწიფოები მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ, განცხადებების კონტექსტიდან გამომდინარე ხშირად იკვეთება, რომ ხელისუფლება მინიმუმებს სწორედ ევროკავშირსა და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებზე აკეთებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჷის „სიცოცხლის მოსპობით მუქარაშიც“ კი დასდო ბრალი, რასაც ევროკავშირის მხრიდან მყისიერი რეაგირება მოჰყვა;

✗ ხელისუფლების წარმომადგენლები უარს ამბობენ დასავლელ პარტნიორებთან მაღალი დონის შეხვედრების გამართვაზე;

✗ „ქართულმა ოცნებამ“ მოახდინა რიგი კანონპროექტების ინიცირება, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა პოლარიზაცია და დაპირისპირება პოლიტიკურ ოპოზიციასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ასეთ საკანონმდებლო ინიციატივებს შორის არის „ლგბტ პროპაგანდის“ ამკრძალავი საკონსტიტუციო ცვლილებებისა და „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კონსტიტუციური კანონპროექტი. ამასთან, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისთვის, „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში (ე.წ. ოფშორის კანონი), ასევე მიიღო ახალი საარჩევნო ცვლილებები (გენდერული კვოტირების გაუქმება; ცესკო-ს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის შეცვლა, რაც გადაწყვეტილებების მიღებას უბრალო უმრავლესობით გულისხმობს ადრე არსებული კვალიფიციური უმრავლესობის ნაცვლად; საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატებისთვის დაწესებული 40%-იანი საარჩევნო ბარიერის მოხსნა, პროპორციული არჩევნების პირობებში მუნიციპალიტეტებში დელეგატების განსაზღვრის შესაძლებლობის შემოღება);

✗ ამასთან, მმართველმა პარტიამ არ გაითვალისწინა საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებით 2023 წლის დეკემბერში ვენეციის კომისიის მიერ გა-

მოქვეყნებული რეკომენდაციები და პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები და პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისთვის დაამტკიცა ცვლილებები საარჩევნო კოდექსსა და პარლამენტის რეგლამენტში. ცვლილებების თანახმად, ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევას მმართველი პარტია ოპოზიციასთან კონსენსუსის მიღწევის გარეშე შეძლებს, რაც პოლარიზაციის დაძლევის ერთ-ერთი ნაბიჯი შეიძლება ყოფილიყო;

✗ ცესკო-მ საპარლამენტო არჩევნებისთვის ქვეყნის კოდექსი შეიმუშავა და გაუგზავნა პოლიტიკურ პარტიებს მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. კოდექსზე ხელმოწერა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ იგეგმება;

✗ საპარლამენტო უმრავლესობამ არ გაითვალისწინა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების პოზიცია სასამართლო და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე; მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების (ე.წ. „ვეტინგის“) საკითხის განხილვამ პოლარიზაცია უფრო გააღრმავა; მეტიც, „ქართულმა ოცნებამ“ ე.წ. ვეტინგის პროცედურის საჭიროებასთან დაკავშირებით ევროკავშირის წარმომადგენლების, მათ შორის საქართველოში ელჩის, განცხადებებს სიტყვიერი თავდასხმით უპასუხა და მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების შესახებ მოწოდებები სუვერენიტეტში ჩარევად და შეურაცხყოფად შეაფასა; დაპირისპირების მიზეზი ასევე გახდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც შეაჩერა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრის დანიშვნის შესახებ;

✗ პარლამენტში არ მომხდარა ძალაუფლების განაწილება საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის;

✗ პარლამენტს არ დაუმტკიცებია 2021 წლის სექტემბერში, პირველი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც საპარლამენტო

არჩევნების 2%-იანი ბარიერით ჩატარებას ითვალისწინებს. მეტიც, მმართველი პარტიის გაცხადებით, ეს საკითხი მისთვის არააქტუალურია და დღის წესრიგში არ დგას;

✗ პოლიტიკურმა პოლარიზაციამ თავი იჩინა სპორტულ მოვლენებთან და კულტურის სფეროსთან დაკავშირებითაც, რომელსაც, შესაძლოა პირიქით, საზოგადოების გამაერთიანებელი ეფექტი ჰქონოდა.

გამოწვევები:

! პოლარიზაციას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მმართველი პარტიის მიერ საქართველოს საგარეო კურსის შეცვლის მცდელობა, რაც მისი ანტიდასავლური რიტორიკით, ე.წ. უცხოური აგენტების კანონის მიღებითა და სხვა საკანონმდებლო აქტების ინიცირებით გამოიხატება და რასაც ასევე ადასტურებენ ევროკავშირის მაღალი დონის წარმომადგენლები;

! მწვავე რიტორიკა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არ შემცირებულა; პოლიტიკური პროცესები ე.წ. უცხოური აგენტების კანონის მიღების შემდეგ და წინასაარჩევნო პერიოდში მეტად პოლარიზებული გახდა;

! 9 ნაბიჯის შესრულების პროცესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რეფორმების ირგვლივ ვერ შედგა კონსენსუსი;

! არ მომხდარა ძალაუფლების განაწილება საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. მეტიც, შემდგომი მოწვევის პარლამენტში „ქართული ოცნება“ ოპოზიციური პარტიების გაუქმებასა და მათ მიერ მოპოვებული მანდატების ჩამორთმევას გეგმავს;

! მმართველ პარტიას არ დაუმტკიცებია 2021 წლის სექტემბერში, პირველი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც საპარლამენტო არჩევნების ბარიერის დაწევას გულისხმობს;

! მმართველ პარტიასა და პრეზიდენტს შორის პოლარიზაცია იზრდება და შეურაცხმყოფელ ხასიათს იძენს, რამაც შეაფერხა მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნები, სადაც პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის თანამშრომლობაა საჭირო;

! შეწყვეტილი ან/და გაუქმებულია თანამშრომლობის ფორმატები ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის; სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ნაწილის მისამართით გრძელდება სიტყვიერი თავდასხმები და უსაფუძვლო ბრალდებები; მოსალოდნელია, რომ ე.წ. უცხოური აგენტების კანონის სრულფასოვანი ამოქმედებისა და პირველი შედეგების შემდეგ ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდება;

! გრძელდება ანტიდასავლური რიტორიკა, ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების, უსაფუძვლო ბრალდებებისა და დეზინფორმაციის შემთხვევების ჩათვლით; ამ კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა ევროკავშირისა და დასავლელი პარტნიორების, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების დადანაშაულება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის, შიდა საქმეებში ჩარევის, არატრადიციული ცხოვრების წესის თავზე მოხვევისა და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის მცდელობებში.

! საპარლამენტო დანიშნებზე, სადაც მაღალი კვორუმია საჭირო, შეთანხმების პოლიტიკური ნება არ არსებობს. ცალკეულ შემთხვევებში „ქართული ოცნება“ ცალმხრივად, საპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობის გარეშე იღებს კანონმდებლობას, რომელიც მაღალ კვორუმს ხელისუფლების სასარგებლოდ უბრალო უმრავლესობამდე სწევს და, შესაბამისად, იგნორირებას უკეთებს საპარლამენტო დანიშნებში ოპოზიციისა და პრეზიდენტის მონაწილეობას.

ნაბიჯი N4

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები

შესასრულებელია



ევროკავშირის მოთხოვნა:

თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით 2024 წელს, და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. არჩევნების დღემდე გაცილებით ადრე საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩევლის ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

* მომზადებულია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ



მოლოდინები:

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარება;
- საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, არჩევნების დღემდე საკმაო პერიოდით აღრე;
- ვენეციის კომისიისა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ეუთო/ოდირის) რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება, მათ შორის წინა წლებში გამართულ არჩევნებზე დაყრდნობით დაშინებასა და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების ჩათვლით;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2023 წლის დეკემბრის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ეუთო/ოდირის ანგარიშებში მოცემული საარჩევნო დარღვევების შესახებ ბრალდებების სათანადო გამოძიება.



არსებული მდგომარეობა:

✗ 2024 წლის 15 მაისს ცვლილება შევიდა „[საქართველოს საარჩევნო კოდექსში](#)“, რომლის მიხედვითაც, პარტიას უფლება მიეცა, პარტიული სიის შედგენისას მასში შეყვანილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი განსაზღვროს ამავე კანონის დანართით გათვალისწინებული 30 ოლქიდან რომელიმე ოლქის დელეგატობის კანდიდატად. დელეგატობის კანდიდატად განსაზღვრული საქართველოს პარლამენტის წევრი მისი, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობიდან უფლებამოსილების შეწყვეტამდე პერიოდში ამ ოლქის დელეგატად მიიჩნევა, თუ პარტიამ, რომელმაც იგი ოლქის დელეგატობის კანდიდატად განსაზღვრა, საქართველოს პარლამენტის შესაბამის არჩევნებში მონაწილე იმ ამომრჩეველთა ყველაზე მეტი ნამდვილი ხმა მიიღო, რომლებმაც აღნიშნული ოლქის ტერიტორიაზე მისცეს ხმა. აღსანიშნავია, რომ ცვლილებების თანახმად, დელეგატების სამოქმედოდ განსაზღვრული ტერიტორია თითქმის ზუსტად დაემთხვა სრულად პროპორციული სისტემის ამოქმედებამდე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არსებულ 30 მაჟორიტარულ ოლქს;

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, მოქმედი, სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის ფარგლებში, წარმოდგენილი ინიციატივა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში რეგიონების რეალურ წარმომადგენლობას, არ შეიცავს ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის კავშირის ინსტიტუციურ საფუძველს, როგორც ხმის მიცემის, ისე მანდატების განაწილების პროცესში. შესაბამისად, წარმოდგენილმა ცვლილებამ, შესაძლოა, ამომრჩეველი შეცდომაში შეიყვანოს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნილ საჭიროებებზე მყისიერი რეაგირება, დეცენტრალიზაციის სტანდარტის მიხედვით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოების პასუხისმგებლობაა;

✘ 2024 წლის 15 მაისს ცვლილება შევიდა [„საქართველოს საარჩევნო კოდექსში“](#), რომლის მიხედვითაც, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს წევრად ასარჩევად დადგენილი საჭირო 40%-იანი ბარიერი გაუქმდა;

✘ 2024 წლის 15 მაისს ცვლილება შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში [„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“](#), რომლის მიხედვითაც გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტები, როგორც საპარლამენტო, ისე მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის;

ასევე, შეიცვალა [„პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“](#) საქართველოს ორგანული კანონი, რომლითაც გაუქმდა პარტიულ სიაში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად დადგენილი 30%-იანი ფინანსური დანამატი;

საქართველოს პრეზიდენტმა მიღებულ კანონპროექტებს [ვეტო](#) დაადო, რომელიც პარლამენტმა არ გაითვალისწინა. აღნიშნული ორი ცვლილება უთო/ოდირის მიერ ნეგატიურად იქნა [შეფასებული](#);

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, სავალდებულო გენდერული კვოტებისა და ფინანსური დანამატის გაუქმება ნეგატიურად აისახება პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე და შეაფერხებს ქალთა არსებითი თანასწორობის მიღწევას. ცნობისათვის, 2020 წელს უთო/ოდირმა საპარლამენტო არჩევნებისთვის კვოტირების შემოღება გენდერულად დაბალანსებული წარმომადგენლობისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯად [შეაფასა](#);

✘ 2024 წლის 29 მაისს ცვლილებები შევიდა ორგანულ კანონში [„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“](#), რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში თუ პარტია ზედიზედ 2 წლის განმავლობაში ანტიკორუფციულ ბიუროს არ წარუდგენს კანონით გათვალისწინებულ საფინანსო დეკლარაციას ან მის მიერ ანტიკორუფციული ბიუროსთვის ზედიზედ 2 კალენდარული წლის განმავლობაში წარდგენილ ყველა ასეთ საფინანსო დეკლარაციაში ასახული ყველა

შემოსავალი და ხარჯი ნულის ტოლი იქნება, ანტიკორუფციულ ბიუროს შეუძლია, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს პარტიის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მიმართოს. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო პარტიის რეგისტრაციის გაუქმება ზედმეტად მკაცრ და არაპროპორციულ სანქციად შეიძლება ჩაითვალოს;

ამავე საკანონმდებლო [პაკეტის](#) ნაწილი იყო [„საქართველოს საარჩევნო კოდექსში“](#) შეტანილი ცვლილებებიც, რომელთა საფუძველზეც, ანტიკორუფციულ ბიუროს მიენიჭა უფლებამოსილება, საარჩევნო სუბიექტის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის მიზნით, გამოკითხოს ან/და დაკითხოს ფიზიკური პირი მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე. ასევე, მას შეუძლია საჯარო დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან, იურიდიული პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან), სხვა სუბიექტისგან საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის, სხვა პერსონალური მონაცემისა და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაციის, გამოთხოვა;

✘ 2024 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი [„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“](#). კანონის განხილვა უწყვეტი პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა, რომლის დროსაც საპროტესტო აქციების მუხტის შესუსტებისა და აქტივისტების დასჯის მიზნით, ხელისუფლება განაგრძობდა არაპროპორციული ძალის გამოყენების, მასობრივი დაკავებების, არაადამიანური მოპყრობის და სისხლის სამართლებრივი დევნის პრაქტიკას. საქართველოს პრეზიდენტმა მიღებულ კანონპროექტს [ვეტო](#) დაადო, რომელიც პარლამენტმა არ გაითვალისწინა. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით აღნიშნული კანონი აზიანებს საარჩევნო გარემოს და საფრთხის წინაშე აყენებს საპარლამენტო არჩევნების დაკვირვებას;

✂ 2024 წლის 27 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა [განკარგულება](#), რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები დაინიშნა 2024 წლის 26 ოქტომბერს. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას საქართველო ძლიერი პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში შეხვდა, გაძლიერდა ანტიდასავლური რიტორიკა. არაოფიციალურ წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე საგულისხმო შემთხვევა. კერძოდ, სავარაუდო მოსყიდვის 5 ფაქტი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლისა და ძალადობის რამდენიმე შემთხვევა;

✖ 2024 წლის 19 მარტს ცვლილებები შევიდა „[საქართველოს საარჩევნო კოდექსში](#)“, რომლითაც შეიცვალა ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის წესი. იმავე საკითხთან დაკავშირებით, იგივე [ჰაკეტი](#), 2024 წლის 20 თებერვალს შეიცვალა „[საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი](#)“. კერძოდ, ცესკოს თავმჯდომარეობისა და პროფესიული ნიშნით წევრობის კანდიდატებს კვლავ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეარჩევს და წარუდგენს პარლამენტს, რომელსაც, თავის მხრივ, უბრალო უმრავლესობით შეუძლია კანდიდატების სრული ვადით, 5 წლით არჩევა.² „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, ეს ფაქტორები აზიანებს ცესკოს დამოუკიდებლობას და საარჩევნო ადმინისტრაციაზე ერთი პარტიის გავლენის რისკებს ქმნის. ასევე, განხილული ცვლილებები ვერ პასუხობს ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის წესში არსებულ მთავარ გამოწვევებს და არ ითვალისწინებს ევროკავშირის, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციებს; ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად განაცხადი გიორგი კალანდარიშვილმა წარუდგინა, ხოლო ცესკო-ს წევრობის 3 ვაკანტურ თა-

² არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც კენჭისყრისას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამმა მესუთედმა (90 ხმა). თუ კენჭისყრის შედეგად ცესკოს წევრი არ აირჩა, ცესკოს წევრობის კანდიდატს ხელახლა ეყრება კენჭი. ხელახალი

ნამდებობაზე განცხადებები ლუხუმ ბურჯალიანმა, მაია ზარიძემ, გიორგი შარაბიძემ და გია ცაცაშვილმა [წარადგინეს](#). 2024 წლის 30 აპრილს პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარედ გიორგი კალანდარიშვილი, ხოლო წევრებად მაია ზარიძე, გიორგი შარაბიძე და გია ცაცაშვილი [აირჩია](#). აღსანიშნავია, რომ ისინი მაღალი კვორუმით (90 ხმა) ვერ აირჩიეს;

✖ 2024 27 ივნისს ცვლილებები შევიდა „[საქართველოს საარჩევნო კოდექსში](#)“, რომლის მიხედვითაც გაუქმდა ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ შერჩეული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისგან კომპლექტდებოდა. საკონსულტაციო ჯგუფი ცესკოს წარუდგენდა რეკომენდაციებს საარჩევნო დავების განხილვის პროცესთან დაკავშირებით.

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, საკონსულტაციო ჯგუფი საარჩევნო დავების განხილვის სამართლიანობის გაუმჯობესების მხრივ, დადებითი როლის მქონე შეიძლება ყოფილიყო, იმ შემთხვევაში, თუ საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობა სანდო და ობიექტური პირებით დაკომპლექტდებოდა;

✖ 2024 წლის 27 ივნისს, ასევე, [შეიცვალა](#) ცესკოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლის მიხედვითაც, თუ ცესკომ კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღო ის გადაწყვეტილება, რომლის მისაღებადაც მას სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის (12 ხმა) მხარდაჭერა ესაჭიროება, ამ გადაწყვეტილებას იმავე სხდომაზე კენჭი ხელახლა ეყრება და იგი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის უმრავლესობა (9 ხმა). მიღებული ცვლილებები ამცირებს კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

კენჭისყრისას არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც კენჭისყრისას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ (76 ხმა).

საქართველოს პრეზიდენტმა განხილულ კანონპროექტს [ვეტო](#) დაადო, რომელიც პარლამენტმა გადალახა;

✗ 2024 წლის 16 აგვისტოს ცესკოს მიერ მიღებული [დადგენილებით](#) შეიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრის ვადები, რომლის მიხედვითაც იგი ყველა საარჩევნო უბანში წინასწარ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღეს ჩატარდება. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, ხსენებული დადგენილება პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო, უპირველესად, იგი ეწინააღმდეგება „საარჩევნო კოდექსს“, ასევე იგი ქმნის კომისიის წევრებზე ზეწოლის შესაძლო რისკებს და ბოლოს, ის ართულებს წილისყრის პროცედურაზე დაკვირვების შესაძლებლობას;

⌚ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს.

გამოწვევები:

! 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის დადგენილი ბარიერი 5%-ია, რაც არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში მაღალ ბარიერს წარმოადგენს და შესაძლოა, პრობლემები შექმნას ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის კუთხით. საპარლამენტო პოლიტიკურმა პარტიებმა 2021 წლის 19 აპრილს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მედიაციით მიაღწიეს შეთანხმებას, მომდევნო ორი არჩევნებისათვის 2%-მდე საარჩევნო ბარიერის დაწესების შესახებ. ამ საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილებები მხოლოდ 1-ელი მოსმენითაა [მიღებული](#) და მმართველი პარტია შეთანხმების დატოვების შემდეგ უარს აცხადებს მის შესრულებაზე;

! არ ხდება საზოგადოების ინფორმირება 2022 წლის ივლისში გენერალურ პროკურატურაში საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით წარდგენილ ფაქტებზე გამოძიების შესახებ. „სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, დაწყებულია გამოძიება, თუმცა გამოძიებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ამ ეტაპამდე, ჩვენთვის შესაბამის ორგანოს არ მოუწოდებია;

! არ იქნა შესრულებული ვენეციის კომისიის, ეუთო/ოდირისა და სამოქალაქო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ყოვლისმომცველი და ინკლუზიური საარჩევნო რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით;

! ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებების შედეგად, პარლამენტის მიერ პროფესიული წევრების არჩევის შემდეგ, კვლავ რჩება კითხვები ცესკოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით;

! ცესკოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების ახალ წესთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებები, ამცირებს კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;

! პარტიის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ კანონში შესული ცვლილებები, შესაძლოა გამოწვევებს აჩენდეს სანქციის პროპორციულობასთან დაკავშირებით;

! გამოწვევად რჩება საარჩევნო ადმინისტრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ემიგრანტების საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის სათანადო გარანტიების შექმნა;

! ცესკოს მიერ მიღებული დადგენილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციების წილისყრის ვადის ცვლილებასთან დაკავშირებით ვერ პასუხობს „საარჩევნო კოდექსის“ მოთხოვნებს, ქმნის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე ზეწოლისა და ზემოქმედების რისკს, და ართულებს საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან აღნიშნული პროცესის სრულყოფილად დაკვირვებას.

ნაბიჯი N5

საპარლამენტო ზედამხედველობა და ინსტიტუტების დამოუკიდებლობა

შესასრულებელია



ევროკავშირის მოთხოვნა:

საპარლამენტო ზედამხედველობის აღსრულების შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურებზე. საკვანძო ინსტიტუციების, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების კომისიის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

* მომზადებულია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA), სოციალური სამართლიანობის ცენტრის (SJC), საქართველოს დემოკრატიული ინციატივის (GDI) და საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მიერ



მოლოდინები:

საპარლამენტო საგანგებო საგანგებო მუხარამების გაუმჯობესება:

ზოგადი რეკომენდაციები:

- საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვა; საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პროცედურული საბოტაჟის გზით ოპოზიციის მიერ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენების, მათ შორის დროებითი საგანგებო კომისიების შექმნის მცდელობებისთვის ხელის არ შეშლა;
- საპარლამენტო კონტროლის ისეთი მექანიზმების პროცედურული გაუმჯობესება და დახვეწა, როგორებიცაა: მინისტრის საათი, ინტერპელაცია, თემატური მოკვლევა და თემატური მომხსენებელი და ოპოზიციონერი დეპუტატების ჩართულობის უზრუნველყოფა, როგორც საპარლამენტო, ისე საკომიტეტო მექანიზმების [გამოყენებაში](#).
- საპარლამენტო ზედამხედველობის პრაქტიკის სრულყოფის მიზნით, პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ მექანიზმებისთვის „სამთავრობო საათის“ (Question Time) მექანიზმის დამატება, რომელიც უზრუნველყოფს აქტუალურ საკითხებზე/პრობლემებზე არსებულ შეკითხვებზე მთავრობის წევრებისგან პასუხების მოსმენას/დებატებს (სხვა ქვეყნების კარგი პრაქტიკის [გათვალისწინებით](#));
- თანამდებობის პირის მიერ რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სანქციების გამკაცრება; დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის მიერ ეფექტიანი რეაგირებისა და სანქციების პროაქტიულად გამოყენების უზრუნველყოფა;

- დეპუტატების ყველა შეკითხვაზე ყველა ანგარიშვალდებული უწყების მიერ დროული და ამომწურავი [პასუხის](#) გაცემა;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირების რეგლამენტის შესაბამისად [პარლამენტში](#) გამოცხადება;

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო საგანგებო საგანგებო მუხარამების გაუმჯობესება:

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების განხორციელება, რომელიც შეზღუდავს შესაძლებლობას, პროცედურული მანიპულაციის გზით ხელი შეუშალოს დროებითი საგანგებო კომისიის [შექმნას](#);
- ნდობის ჯგუფის ინსტიტუტის სისტემური ცვლილებების განხორციელება, საპარლამენტო სისტემაში მისი ინსტიტუციური მოწყობის და პარლამენტის წინაშე მისი ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით;
- ნდობის ჯგუფში საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; ნდობის ჯგუფის საზედამხედველო უფლებამოსილებების გაფართოება უსაფრთხოების სექტორში შემავალ [უწყებებზე](#);
- ნდობის ჯგუფის აპარატის გაძლიერება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით;
- საქართველოს პარლამენტში დროებითი საგანგებო კომისიის შექმნა 2021 წლის ფარული მოსმენების საქმესთან დაკავშირებით, რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არსებული სისტემური პრობლემები გამოავლინა;

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება (მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ღონისძიებების და მათზე ზედამხედველობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის სრულყოფილად გადახედვის გზით);
- პარლამენტში წარდგენილ სამთავრობო პროგრამაში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის წარმართვის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების ასახვა. ეს პარლამენტს საშუალებას მისცემს, ჯეროვნად გააკონტროლოს მთავრობის წევრთა საქმიანობა შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით;
- რეგლამენტის საგამონაკლისო წესის გაუქმება კომიტეტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორის ან/და სუს-ის უფროსის მოწვევასთან [დაკავშირებით](#). სხვა თანამდებობის პირების მსგავსად, პრემიერ-მინისტრის, გენერალური პროკურორის და სუს-ის უფროსის კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის ან ფრაქციის მოთხოვნის [საფუძველზე](#) გამოცხადება;
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა საზედამხედველო [მექანიზმის](#) აქტიურად გამოყენება;
- პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის მიერ კომიტეტის მუშაობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- თანამდებობის პირის მიერ რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სანქციების გამკაცრება; საქართველოს პარლამენტის მიერ ამ სანქციების პროაქტიულად გამოყენების უზრუნველყოფა;

- დეპუტატების ყველა შეკითხვას ყველა ანგარიშვალდებული უწყების მიერ დროული და ამომწურავი [პასუხის](#) გაცემა;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირების რეგლამენტის შესაბამისად [პარლამენტში](#) გამოცხადება;
- გრძელვადიან პერსპექტივაში, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის რეორგანიზაციის კონცეფციის მომზადება.

საარჩევნო ადმინისტრაცია

- უზრუნველყოს ცესკო-ს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი შეუსაბამოს ვენციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2023 წლის დეკემბრის რეკომენდაციებს.

ეროვნული ბანკი

- ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან პროგრამის შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის გზით;
- უმოკლეს დროში ეროვნული ბანკის საბჭოს სრულად დაკომპლექტება დამოუკიდებელი და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებით, არჩევის პროცედურის საუკეთესო პრაქტიკის დაცვით (რაც კანდიდატების საკომიტეტო მოსმენასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას გულისხმობს); საბჭოს სრულად დაკომპლექტების შემდეგ, ახლად არჩეულ წევრთაგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არჩევა, რათა ეროვნული ბანკი

განუსაზღვრელი ვადით მოვალეობის შემსრულებლის მიერ არ იმართებოდეს;

- ასევე საჭიროა ეროვნული ბანკის მიერ ევროკავშირის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ დაწესებული ფინანსური სანქციების აღსრულებაში საგამონაკლისო წესის შესახებ ბრძანების გაუქმება, რომლის მიღებაც აშშ-ის მიერ ყოფილი გენერალური პროკურორისთვის სანქციების დაწესებას მოჰყვას;
- IMF-ის [განცხადებით](#), ფონდი საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოელის მმართველობისა და დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას, მათ შორის, საბჭოში არა-აღმასრულებელი წევრების უმრავლესობით ყოფნით, მემკვიდრეობის გეგმის მკაფიო განსაზღვრითა და პრეზიდენტის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების მოდელიდან კოლეგიალურ მოდელზე გადასვლით.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია

- კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, კომისიის წევრთა არჩევის წესის ცვლილება ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფის გზით. კერძოდ:
- კომუნიკაციების კომისიის დაკომპლექტება იმგვარი პრინციპით, რომ კომისიაში უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მხარდაჭერილი წევრები. ამისათვის შესაძლებელია, წევრთა არჩევა წევრის დანიშვნისთვის საჭირო ხმათა რაოდენობის გაზრდით, მაგალითად 2/3-მდე, ან 3/4-მდე, ამჟამად მოქმედი უბრალო

უმრავლესობის ნაცვლად, რაც შესაძლებელს გახდის კომისიის წევრების კონსენსუსის საფუძველზე შერჩევას;

- კანდიდატურების შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი მონაწილეობით და საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების სიაში ხელისუფლების, ამ შემთხვევაში, პრემიერის მხრიდან თვითნებური ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის გამორიცხვა;

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- კომუნიკაციების კომისიის სხდომების ღიაობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია განიხილავს კონფიდენციალურ ბიზნეს ინფორმაციას;
- კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მხოლოდ კომისიის სიითი შემადგენლობით გათვალისწინებულ წევრთა (და არა დამსწრეთა) ხმების უმრავლესობით მიღება;
- კომუნიკაციების კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის შემცირება, ან ნ წლით განსაზღვრა, ხელმეორედ არჩევის უფლების გარეშე;
- მთავრობის როლის გადახედვა კომისიის წევრთა შერჩევის პროცესში, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს პროცესის პოლიტიზირების საფრთხე;
- საქართველოს პარლამენტის მიერ კომისიის წევრის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეწყვეტის წესისა და საფუძვლების გადახედვა. უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებისთვის კომისიის წევრის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის დამატება. კანონში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის მკაფიოდ განსაზღვრა. ამ პროცესში ევროსაბჭოს ადამიანის უფ-

ლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნის გათვალისწინება;

- კარგი პრაქტიკის შესაბამისად, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშესაწყობად, კომისიის მიერ ყოველწლიურ ანგარიშისთვის მომავალი წლის საქმიანობის გეგმის, ასევე, წინა წლის გეგმის შესრულების ანგარიშის თან დართვა;

არსებული მდგომარეობა:

საპარლამენტო საგადახედველო მექანიზმების გაუმჯობესება:

საქართველოს მთავრობის მიერ 25 დეკემბერს გამოქვეყნებული გეგმის მიხედვით „ევროკომისიის 2023 წლის გაფართოების პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციაში საქართველოსთვის განსაზღვრული ნაბიჯების განსახორციელებელი ღონისძიებების“ შესახებ, უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, განისაზღვრა 2 ღონისძიება:


- რეგულარული დიალოგის ხელშეწყობა ყველა საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ზედამხედველობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად;
- საპარლამენტო ნდობის ჯგუფის შემადგენლობის შევსება;


9 იანვარს ათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ერთობლივი [განცხადებით](#) კრიტიკულად შეაფასა მთავრობის მხრიდან ევროკომისიის 9 ნაბიჯის შესასრულებელი გეგმის შემუშავების არაინკლუზიური პროცესი. შესაბამის აქტორებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე განისაზღვრა ევროკომისიის მე-5 ნაბიჯის შესასრულებლად გასატარებელი აქტივობებიც;


საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილმა პარლამენტის თავმჯდომარეს [წერილობით](#) მიმართა და ევროკომისიის 9 ნაბიჯის შესასრულებლად პარლამენტში დაგეგმილ სამუშაო პროცესში ჩართვა ითხოვა. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პარლამენტს მოუწოდეს, გაეფართოებინა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის ფორმატი, უზრუნველყო ფართო სამუშაო ფორმატის გამართვა და მასში დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართვა. საქართველოს პარლამენტმა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სამუშაო პროცესში არ [ჩართო](#);


2024 წლის 29 იანვარს, უმრავლესობის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტში გაიმართა [შეხვედრა](#) ევროკომისიის 9 რეკომენდაციის, მათ შორის, მე-5 პრიორიტეტის შესრულების მიზნით. შეხვედრას უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ასევე "აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის" საქართველოს ეროვნული პლატფორმის 3 წარმომადგენელი ესწრებოდა. შეხვედრაზე მიწვეული არ იყვნენ ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებმაც პარლამენტს სამუშაო პროცესში ჩართვის მიზნით განცხადებით მიმართეს და ევროკომისიის პრიორიტეტებით განსაზღვრულ საკითხებზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ.


უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესება (2024 წლის 1-ელ აპრილამდე არსებული მდგომარეობა)


 პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერით, დამოუკიდებელმა დეპუტატმა თეონა აქუბარდიამ ნდობის ჯგუფის მე-5 წევრობაზე განაცხადი შეიტანა და სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მისაღებად შემოწმებას გადის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.


 2023 წლის 8 დეკემბერს საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ ორგანიზებით, ოპოზიციონერი დეპუტატები „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენლებს [შეხვედნენ](#). შეხვედრაზე განხილული იყო უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები.


 2023 წლის 8 ნოემბრიდან ანგარიშის წარდგენის მომენტამდე, უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები არ დაუბარებიათ საპარლამენტო კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე.


 11 მარტს ოპოზიციონერმა ქალმა დეპუტატებმა შინაგან საქმეთა მინისტრს ინტერპელაციის წესით შეკითხვებით მიმართეს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე.

 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ რეგლამენტის [პროექტი](#), რომელიც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მოამზადა და 2023 წლის სექტემბერში პარლამენტში დარეგისტრირდა, საპარლამენტო კომიტეტებზე დღემდე არ განხილულა. რეგლამენტის პროექტი, ნდობის ჯგუფის მანდატის გაძლიერებით, უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გაუმჯობესებას ეხება. საქართველოს პარლამენტმა [უარი თქვა](#) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ საია-ს [საკანონმდებლო წინადადებაზე](#), რომელიც პარლამენტის საზედამხებდველო მექანიზმების გაუმჯობესებას ეხებოდა.


 2024 წლის 19 თებერვალს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა [დამტკიცდა](#). გეგმა ასევე ეხება კომიტეტის საზედამხებდველო მექანიზმებს. გეგმის შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩართულები არ იყვნენ.

 2024 წლის 1-ელ აპრილამდე ნდობის ჯგუფის მიერ გამართული 4 სხდომიდან ოპოზიციის წარმომადგენელი არცერთ სხდომას არ დაესწრო;

 საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პარლამენტის წევრების ყველა წერილობით კითხვას უპასუხა;

 საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გაგზავნილი 4 და თავდაცვის სამინისტროში გაგზავნილი 17 წერილობითი კითხვიდან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დეპუტატებს არც ერთი შეკითხვა არ ეკუთვნით; შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი 31 წერილობითი კითხვიდან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მხოლოდ ერთი შეკითხვის ავტორია; თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უპასუხოდ დატოვეს პარლამენტის წევრების თითო-თითო შეკითხვა (თავდაცვის სამინისტროსთვის გაგზავნილი 14 და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი 28 წერილობითი კითხვიდან, რომლებზეც, პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი, პასუხის გაცემის ვადა ამოწურულია). თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილ თითო-თითო შეკითხვაზე, პასუხის გაცემის ვადა ამ დროისთვის ამოწურული არ არის.

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო საზედამხებდველო მექანიზმების გაუმჯობესება (2024 წლის 1-ელი აპრილი-9 სექტემბრის მდგომარეობა)

 საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის მიერ მხარდაჭერილი ნდობის ჯგუფის წევრობის კანდიდატი თეონა აქუბარდია ამ დრომდე (9 სექტემბრის მდგომარეობით) სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მისაღებად შემოწმებას გადის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

✗ დეპუტატმა თეონა აქუბარდიამ ნდობის ჯგუფის მე-5 წევრობაზე განაცხადი მარტის დასაწყისში შეიტანა. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გაცემად პირის შემოწმების პროცედურას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ატარებს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია, მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა, შემოწმების პროცედურის ჩამტარებელი ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირის თანხმობით.

✗ 2024 წლის 5 აპრილს, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის (და შესაბამისად ნდობის ჯგუფის) მაშინდელი თავმჯდომარე ირაკლი ბერაია დაზვერვის სამსახურის უფროსად დაინიშნა. რის გამოც დღეს, ნდობის ჯგუფში 3 წევრია. საპარლამენტო უმრავლესობას მას შემდეგ ნდობის ჯგუფის შემადგენლობაში 3 წევრის ნაცვლად, ორი წევრი ჰყავს.

✗ ნდობის ჯგუფის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ნდობის ჯგუფის წევრთა უმრავლესობით. ნდობის ჯგუფის წევრთა შემცირებამ, (ორი უმრავლესობის, ხოლო ერთი ოპოზიციის წევრია), ჩიხში შეიყვანა ჯგუფის მუშაობა. საანგარიშო პერიოდში, ნდობის ჯგუფის არც ერთი სხდომა არ გამართულა.

✗ მიუხედავად აპრილსა და მაისში გამართული მასშტაბური პროტესტის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილების გადამეტების არაერთი სავარაუდო შემთხვევისა, საქართველოს პარლამენტს ეფექტიანი კონტროლი ამ მიმართულებით არ განუხორციელებიათ. მათ შორის, აღნიშნულ საკითხზე, შინაგან საქმეთა მინისტრთან მიმართებით არ გამოყენებულა ინტერპელაციის ან/და კომიტეტის სხდომაზე დაბარების მექანიზმები.

⌚ საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი 16 წერილობითი კითხვიდან ერთი უპასუხოდ არის დარჩენილი (რეგლამენტის

მიხედვით, კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა ამოწურულია). მაგზავნილი 16 კითხვიდან 3 კითხვა აპრილსა და მაისში გამართულ საპროტესტო აქციებს უკავშირდებოდა. შსს-ს მიერ სამივე კითხვაზე პასუხი ფორმალურია და რეალურად არ პასუხებს დასმულ საკითხს. საანგარიშო პერიოდში, თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ ერთმა დეპუტატმა - თეონა აქუბარდიამ მიმართა კითხვით. პარლამენტის წევრს ჯამში 11 კითხვა აქვს გაგზავნილი. აქედან 2 კითხვა (ერთ შემთხვევაში, დეპუტატი თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის სამოქმედო გეგმის დოკუმენტის მიწოდებას ითხოვს, ხოლო მეორე კითხვა ეხება დასავლეთის ქვეყნებისგან თავდაცვისთვის გაყინული თანხების ოდენობას) უპასუხოდ არის დარჩენილი (რეგლამენტის მიხედვით, კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა ამოწურულია). საანგარიშო პერიოდში, უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებიდან ყველაზე ნაკლები კითხვა კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გაეგზავნა. უწყებას 2 კითხვა გაეგზავნა. ორივე კითხვის ავტორი დეპუტატი თეონა აქუბარდიაა. ზემოთ აღნიშნული კითხვებიდან არც ერთი არ ეკუთვნის საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს.

✓ 19 აპრილს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრი ინტერპელაციის წესით წარდგა. ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების შეკითხვები (შეკითხვები შსს-ს მინისტრს 11 მარტს გაეგზავნა) ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებს ეხებოდა.

საარჩევნო ადმინისტრაცია:

✗ 2024 წლის 19 მარტს ცვლილებები შევიდა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“, რომლითაც შეიცვალა ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის წესი. იმავე საკითხთან დაკავშირებით, იგივე [პაკეტი](#), 2024 წლის 20 თებერვალს შეიცვალა „[საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი](#)“. კერძოდ,

ცესკოს თავმჯდომარეობისა და პროფესიული ნიშნით წევრობის კანდიდატებს კვლავ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეარჩევს და წარუდგენს პარლამენტს, რომელსაც, თავის მხრივ, უბრალო უმრავლესობით შეუძლია კანდიდატების სრული ვადით, 5 წლით არჩევა.³ „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, ეს ფაქტორები აზიანებს ცესკოს დამოუკიდებლობას და საარჩევნო ადმინისტრაციაზე ერთი პარტიის გავლენის რისკებს ქმნის. ასევე, განხილული ცვლილებები ვერ პასუხობს ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის წესში არსებულ მთავარ გამოწვევებს და არ ითვალისწინებს ევროკავშირის, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციებს.

ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად განაცხადი გიორგი კალანდარიშვილმა წარუდგინა, ხოლო ცესკო-ს წევრობის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე განცხადებები ლუხუმ ბურჯალიანმა, მაია ზარიძემ, გიორგი შარაბიძემ და გია ცაცაშვილმა [წარადგინეს](#). 2024 წლის 30 აპრილს პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარედ გიორგი კალანდარიშვილი, ხოლო წევრებად მაია ზარიძე, გიორგი შარაბიძე და გია ცაცაშვილი [აირჩია](#). აღსანიშნავია, რომ ისინი მაღალი კვორუმით (90 ხმა) ვერ აირჩიეს.

ეროვნული ბანკი:

⌚ ამჟამად ეროვნული ბანკის საბჭოს 5 წევრი აკომპლექტებს, მათ შორის, პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ორი ვიცე-პრეზიდენტი. 4 ადგილი ვაკანტური რჩება, რაც განპირობებულია 2023 წლის სექტემბერში აშშ-ის მიერ სანქცირებული ყოფილი გენერალური პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო სამი წევრის მიერ თანამდებობის დატო-

³ არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც კენჭისყრისას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამმა მესუთედმა (90 ხმა). თუ კენჭისყრის შედეგად ცესკოს წევრი არ აირჩა, ცესკოს წევრობის კანდიდატს ხელახლა ეყრება კენჭი. ხელახალი

ვებით (აქედან, ერთ წევრს ვადა დეკემბერში ეწერებოდა) და 2023 წლის დეკემბერში ერთი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვით. 2024 წლის 7 თებერვალს დაიწყო ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის 4 ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების შერჩევის პროცესი, რომელიც 1 მარტს დასრულდა და მის შედეგად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 28 მსურველის განაცხადი შევიდა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, მალევე შეიქმნა სებ-ის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი დამოუკიდებელი კომისია, თუმცა მმართველმა პარტიამ მისი შემადგენლობა [გააკრიტიკა](#), ხოლო თავად სალომე ზურაბიშვილი დესტრუქციულ ქმედებებსა და საბანკო სისტემის საბოტაჟში დაადანაშაულა და კომისიაში ეროვნული ბანკის საბჭოს ყოფილი წევრის დანიშნვის გამო, რომელიც სექტემბერში გადადგა, მას „ნაც-მოძრაობის აქტივისტი“ უწოდა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად მიმართა პარლამენტს კომისიის მუშაობაზე დაკვირვების წინადადებით, თუმცა პარლამენტმა აღნიშნული შეთავაზება არ [მიიღო](#). კომისიის მუშაობის შედეგად, პრეზიდენტს სებ-ის წევრობის 5 კანდიდატი წარუდგინა, რომელთაგან სალომე ზურაბიშვილმა მხოლოდ ერთი (ეკატერინე ღაზაძე) შეარჩია და 2024 წლის 24 მაისს დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინა, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ მის განხილვაზე უარი განაცხადა და განხილვის წინაპირობად ოთხივე ვაკანტურ ადგილზე კანდიდატის წარდგენა [დაასახელა](#). პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურაზე მსჯელობა არც 18 ივლისის რიგგარეშე სესიაზე მომხდარა.

✗ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგრამა არ აღდგენილა, მიუხედავად 2024 წლის 18 მარტს IMF-ის შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური

კენჭისყრისას არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც კენჭისყრისას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ (76 ხმა).

აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე სუბირ ლალთან ერთობლივ ბრიფინგზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნათია თურნავას მიერ გაკეთებული განცხადებისა, რომ ამ მიმართულებით პოზიტიური მოლოდინი არსებობს. IMF-ის მუდმივი წარმომადგენლის, ენდრიუ ჯუველის [თანახმად](#), პროგრამა შეიძლება გაგრძელდეს, თუ საქართველოს ხელისუფლება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის მზადყოფნას აჩვენებს, რაც, მათ შორის, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასა და ასევე სახელმწიფო საწარმოების რეფორმას გულისხმობს. IMF-ის წარმომადგენლის განმარტებით, საარჩევნო წელს ხელისუფლებას, შესაძლოა, ფინანსური რეფორმების გატარების მზაობა არ ჰქონდეს და ამდენად, შეჩერებული პროგრამა შეიძლება აღარ გაგრძელდეს და მის ნაცვლად 2025 წელს ახალ პროგრამაზე დაიწყოს მოლაპარაკებები.

ეკონომიკის მინისტრის განმარტებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების შესახებ რეფორმაში ბევრი ნიუანსია და ამ საკითხზე IMF-თან მოლაპარაკებები გრძელდება.

✗ ეროვნული ბანკის მიერ ევროკავშირის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ დაწესებული ფინანსური სანქციების აღსრულებაში საგამონაკლისო წესის შესახებ ბრძანება არ გაუქმებულა.

⌚ ფინანსურ სანქციებთა ეფექტური მონიტორინგისა და საზედამხედველო პოლიტიკის კონტექსტში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას პოზიტიურად [აფასებს](#).

კომუნიკაციების ეროვნული კომისია:

☑ 2024 წლის თებერვალში კომუნიკაციების კომისიამ მედიაში სიძულვილის ენის, ტერორიზმისკენ მოწოდებისა და უხამსობის რეგულირების შესახებ

შემუშავებული სახელმძღვანელო ევროკომისიას, მაუწყებლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს უკუკავშირის მიზნით გაუზიარა. კომისიის [განცხადებით](#), საბოლოო დოკუმენტის დამტკიცება კომენტარების მიღების შემდგომ მოხდება. კომისიის ამგვარი მიდგომა დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან მედია საშუალებებთან ურთიერთდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას უზრუნველსაყოფად წინგადადგმული ნაბიჯია.

გამოწვევები:

საპარლამენტო საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესება:

! ევროკომისიის მე-5 ნაბიჯის შესრულების პროცესი არაინკლუზიურია. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მე-5 ნაბიჯში გაერთიანებულ საკითხებზე მუშაობენ, სურვილის მიუხედავად, არ ეძლევათ სამუშაო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა;

! საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, მთავრობის გეგმა არ პასუხობს ევროკომისიის მოთხოვნებს, მე-5 ნაბიჯის შესრულებასთან დაკავშირებით;

! კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან საპარლამენტო ზედამხედველობას. გაუმჯობესებას საჭიროებს საპარლამენტო კონტროლის ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა: მინისტრის საათი, ინტერპელაცია, თემატური მოკვლევა და თემატური მომხსენებელი;

! კვლავ ლიმიტირებულია ოპოზიციონერი დეპუტატების ჩართულობა, როგორც საპარლამენტო, ისე საკომიტეტო მექანიზმების გამოყენების თვალსაზრისით.

უსაფრთხოების საქმეებზე საპარლამენტო საგადახედველო მექანიზმების გაუმჯობესება:

! უსაფრთხოების სექტორზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის გადახედვა პარლამენტის დღის წესრიგში არ დგას;

! არასამთავრობო სექტორის მოტივირებულ და დასაბუთებულ საკანონმდებლო წინადადებებს დროულად არ განიხილავენ და ამავე დროს არასაკმარისი დასაბუთებით უბნებიან უარს;

! პარლამენტის ნდობის ჯგუფი სრულად კვლავ არ არის დაკომპლექტებული;

! პარლამენტის წევრები, განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობიდან, აქტიურად არ იყენებენ უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს;

! 2021 წლის ფარული მოსმენების საქმე პარლამენტის ყურადღების მიღმა დარჩენილი.

საარჩევნო ადმინისტრაცია:

! ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებების შედეგად, პარლამენტის მიერ პროფესიული წევრების არჩევის შემდეგ, კვლავ რჩება კითხვები ცესკოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბანკი:

! ეროვნული ბანკის საბჭოს ადმინისტრაციული წევრების რაოდენობა აღემატება არადმინისტრაციული წევრების რაოდენობას;

! არ მომხდარა საბჭოს სრული დაკომპლექტება და პრეზიდენტის არჩევა; პარლამენტი უარს აცხადებს ამ საკითხზე პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე და პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურის განხილვაზე;

! ძალაში რჩება ბრძანება ეროვნული ბანკის მიერ ევროკავშირის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს მიერ დაწესებული ფინანსური სანქციების აღსრულებაში საგამონაკლისო წესის შესახებ.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია:

! გამოწვევად რჩება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ინიციატივების არ არსებობა.

მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი რეფორმა

შესასრულებელია



ეკოკავშირის მოთხოვნა:

ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმის ჩათვლით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად განხორციელებისა და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფის გზით.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების შესახებ მოსამართლეთა გადაყვანასთან და დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში ეფექტიანი გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფა. ამ პროცესში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სავალდებულოდ აღიარება.
- სასამართლო სისტემაში უფრო ფართო რეფორმის გატარება, კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, საგანგებო სისტემის შექმნა, რომელშიც საერთაშორისო ექ-

სპერტებს ექნებათ გადამწყვეტი როლი, რათა შემოწმდეს კანდიდატებისა და სასამართლო სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე უკვე დანიშნული/არჩეული პირების კეთილსინდისიერება. იგულისხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და სასამართლოების თავმჯდომარეები. გარდა ამისა, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პერმანენტული და პერიოდული შემოწმების მიზნით სისტემის შექმნა, რომელშიც ჩართულები იქნებიან საერთაშორისო ექსპერტები საზედამხედველო და საკონსულტაციო მანდატით.

- საქართველოს პარლამენტის მიერ [2022 წლის ოქტომბერში პირველი მოსმენით მიღებული] საკონსტიტუციო ცვლილების მიღება, რომელიც ითვალისწინებს გენერალური პროკურორის არჩევას კვალიფიციური უმრავლესობით. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან, ვენეციის კომისიის, OECD-ისა და TAIEX-ის რეკომენდაციების მიხედვით.

* მომზადებულია სასამართლოს გუშაგის (Court Watch), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA), სოციალური სამართლიანობის ცენტრის (SJC) მიერ



მოლოდინები:

- სასამართლოს რეფორმირებისთვის ფართო, ინკლუზიური და პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსზე დაფუძნებული პროცესის წარმართვა;
 - კანდიდატების და სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე არჩეული პირების, მათ შორის, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, სასამართლოების თავმჯდომარეების კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის შექმნა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, რომლებსაც ექნებათ გადამწყვეტი როლი. აღნიშნული მექანიზმის შექმნა რეგიონში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით და ევროკომისიასთან და ვენეციის კომისიასთან კონსულტაციების გზით;
 - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პერმანენტული და პერიოდული შემოწმების სისტემის ჩამოყალიბება ამ პროცესში საერთაშორისო ექსპერტების საზედამხედველო და საკონსულტაციო ფუნქციებით;
 - წინა რეფორმების და სისტემაში დღეს არსებული გამოწვევების დეტალური ანალიზი, რომლის მიზანიც იქნება შემდგომი რეფორმების სრულფასოვანი დაგეგმვა;
- სასამართლო რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ძირითად გამოწვევებს და სტრატეგიულ საკითხებს.

ფუნდამენტური ინსტიტუციური რეფორმა:

საბჭოს უფლებამოსილებების, ფუნქციების, შემადგენლობის, მისი წევრების (მოსამართლე და არამოსამართლე) არჩევის წესების გადასინჯვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ხმების ბალანსის დაცვა, საბჭოს წევრების ეტაპობრივი არჩევა და მათი მეორე ვადით დანიშვნის შესაძლებლობის შეზღუდვა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეების მიერ სხვა ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შეზღუდვა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებების სავალდებულოობის მკაფიოდ განსაზღვრა;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას ეფექტური ანტი-ჩიხური მექანიზმის შემუშავება იმ შემთხვევისათვის, თუკი კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადასული კანდიდატების სიაში (Shortlist) კონპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებული ქულათა ჯამის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი ვერ მიიღებს საბჭოს წევრების 2/3 უმრავლესობის მხარდაჭერას, რის შემდეგაც ორგანული კანონის თანახმად დანარჩენ კანდიდატებს კენჭი აღარ ეყრებათ. ვენეციის კომისია ზემოთხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებით 2019, 2020 და 2021 წელს გამოქვეყნებულ მოსაზრებებში მიუთითებდა, რომ საჭიროა ორგანული კანონით განისაზღვროს ეფექტური ანტიჩიხური მექანიზმი.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ასაკობრივი და საკვალიფიკაციო კრიტერიუმის გაზრდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის შემცირება (სამომავლო საკონსტიტუციო ცვლილებების დროს უნდა გადაიხედოს).

ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიები:

- თანხმობის გარეშე მოსამართლეთა მივლინების წესის რეფორმა და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებამდე არსებული გარანტიების დაბრუნება კანონმდებლობაში;
- საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება მოსამართლის ფუნქციური იმუნიტეტთან დაკავშირებით;
- საქმეთა შემთხვევითად ელექტრონული წესით განაწილების სისტემის იმგვარი დახვეწა, რაც შეამცირებს ზოგადი წესიდან არაერთ გამონაკლისს და საქმეთა განაწილების პროცესში გამორიცხავს არასათანადო გავლენებს;
- „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის“ დარღვევის, როგორც მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობის დაზუსტება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და მისი პრაქტიკაში განმარტებისას მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა.

მართლსაჯულების სისტემის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეფექტიანობა:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის გაზრდა ვენეციის კომისიის და ODIHR-ის რეკომენდაციების საფუძველზე;

- სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაუყოვნებლივ, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესაბამისად;
- 2023 წლის სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებების მიღება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე;
- სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემის დაძლევა;
- მოსამართლეთა ვაკანსიების შევსება კვალიფიციური და კეთილსინდისიერი კადრებით, სამოსამართლო კონკურსში ე.წ. “მეორე რაუნდის” კენჭისყრის გაუქმება და დამსახურებაზე დაფუძნებული დანიშვნების სისტემის უზრუნველყოფა;
- მოსამართლეთა გადამზადება არაპირდაპირი მტკიცებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- გენერალური პროკურორის არჩევა პარლამენტის მიერ კვალიფიციური უმრავლესობით.
- არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვა პროკურორების შიდა დამოუკიდებლობასთან და დისციპლინური წარმოების პროცედურასთან დაკავშირებით ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, OECD-ისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- ვენეციის კომისიისა და OECD-ის რეკომენდაციების გათვალისწინება საპროკურორო ინსტიტუტებთან დაკავშირებით, რაც მათ შორის გულისხმობს: 1) საპროკურორო საბჭოს შემადგენლობის გადახედვას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბალანსი პროკურორ და არა-პროკურორ წევრებს შორის;

2) პროკურორების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაზრდას საკადრო და დისციპლინური საკითხების მართვის ფუნქციის საპროკურორო საბჭოსა და გენერალურ პროკურორს შორის გადანაწილებით და ამ მიმართულებით საბჭოს უფლებამოსილების გაძლიერებით;

- პროკურორების სწავლება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ფინანსური ხასიათის დანაშაულების გამოძიების კუთხით.

არსებული მდგომარეობა:

✗ 2024 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტში [ჩატარდა](#) სამუშაო შეხვედრა 9 ნაბიჯის შესრულებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ მონაწილეობის შესაძლებლობა, სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობა უზრუნველყოფილი არ იყო. პოლიტიკურმა პარტია „ლელომ“ 2024 წლის 29 იანვარს [განაცხადა](#), რომ პროცესში მონაწილეობას არ მიიღებდა. ხოლო კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ [მიმართა](#) იურიდიულ საკითხთა კომიტეტს პროცესში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა მათ უარი ეთქვათ იმ საბაბით, რომ მმართველი გუნდი აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან და შესაბამისად ის ორგანიზაციები, რომელთაც პლატფორმა დატოვებს ვერ ჩაერთვებოდნენ სამუშაო ჯგუფში. აღსანიშნავია, რომ ქართული ოცნებას შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა ორგანიზაციები/ექსპერტები არ მიუწვევია სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად.

✗ ქართულმა ოცნებამ [უარი განაცხადა](#) კანდიდატების და სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე არჩეული მოსამართლეების (იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, სასამართლოების

თავმჯდომარეები) კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის შექმნის თაობაზე, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. პრემიერ-მინისტრის განცხადებით ეს საკითხი მათთვის [დახურულია](#). ხელისუფლების [წარმომადგენლების თქმით](#) ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას. შესაბამისად, ამ მიმართულებით ხელისუფლებას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს. 2024 წლის მარტში კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის საკითხს უარყოფითად გამოეხმაურა საქართველოს უზენაესი სასამართლოც, რომლის ოფიციალური განცხადება მოგვიანებით განიხილეს მოსამართლეთა კონფერენციაზე, რომელსაც 295 მოსამართლე ესწრებოდა. იუსტიციის უმაღლესი [საბჭოს ვებ-გვერდზე](#) გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, „*ე.წ. „ვეტინგი“ ერთმნიშვნელოვნად, არსებითად და პრინციპულად ღახავს სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას*“. 2024 წლის 22 მარტში ევროკავშირმა [საგანგებო განცხადებით](#) კიდევ ერთხელ დაადასტურა და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს იმ ინდივიდუალურ მოსამართლეებზე თავდასხმები, რომლებსაც კეთილსინდისიერის შემოწმებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება [ჰქონდათ](#) და აღნიშნა, რომ სასამართლო სისტემაში არსებული სისტემური ხარვეზების გამოსასწორებლად, საქართველომ მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შესამოწმებლად საგანგებო სისტემა უნდა შექმნას, რომელშიც გადამწყვეტი როლი საერთაშორისო ექსპერტებს ექნებათ.

✗ არ გატარებულა ღონისძიებები მოსამართლეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების პერმანენტული და პერიოდული შემოწმების სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. [2024 წლის 5 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია](#), რომ ოთხმა მოსამართლემ, მათ შორის, მიხეილ ჩინჩალაძემ და ლევან მურუსიძემ, სასამართლოს მეშვეობით ანტიკორუფციულ ბიუროს მიერ მათი

ქონების შემოწმება შეაჩერეს. 2024 წლის ივნისში სტუდია „მონიტორმა“ მოამზადა საგამოძიებო ფილმი მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის, აშშ-ის მიერ სანქცირებული მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - ლევან მურუსიძის ქონებრივ დეკლარაციაში აღუ-რიცხავი ქონების სავარაუდო ფლობის შესახებ. აღმნიშნულ საკითხთან დაკავ-შირებით გამოძიების დაწყების თაობაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.

✗ არ გადადგმულა ნაბიჯები წინა რეფორმების და სისტემაში დღეს არ-სებული გამოწვევების დეტალური ანალიზის და შემდგომი რეფორმების სრულფასოვანი დაგეგმვის მიზნით. ხელისუფლებას არ წარმოუდგენია რაიმე ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს გატარებული რეფორმების მიზ-ნების, მასშტაბებისა და მიღწეული შედეგების დაწვრილებით მიმოხილვას, ასევე დღეს არსებული გამოწვევების მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ სისტემურ ხედვას.

✗ მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სასამართლო რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმა არ შეუსრულებია და მიზეზებიც არ განუმარტავს, ქართულ ოცნებას ამ დრომდე არ შეუმუშავებია ახალი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მართლმსაჯულ-ების სისტემაში არსებულ ძირითად გამოწვევებს და სტრატეგიულ საკითხებს. როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა 2024 წლის 4 მარტს გამართულ კომიტეტის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტი იხელმძღვანელებს 2022 წელს შემუშავებული სასამართლოს სტრატეგიით და მისი შემდგომი განახლება არ იგეგმება.

ფუნდამენტური ინსტიტუციური რეფორმა:

✗ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებები არ ითვალისწინებს რაიმე სიახლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

უფლებამოსილების, ფუნქციების გადასინჯვის, შემადგენლობის და სხვა ორ-განოებზე ძალაუფლების გადანაწილების თვალსაზრისით. აგრეთვე, არ ადგენს საბჭოს წევრების მეორე ვადით არჩევის ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეების მიერ სხვა ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შეზღუდვას.

2024 წლის მარტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა განახლდა და ორი მოსამართლე წევრი შეიცვალა. კერძოდ, ბადრი შონიამ და პაატა სი-ლაგაძემ, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში იღებდნენ მონაწილეობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამდებობა დატოვეს. ამავე წლის 24 მარტს, მოსამართლეთა კონფერენციაზე მათ ადგილზე გავლენიანი მოსამართლეები, ვასილ მშვენი-ერაძე და ლევან თევზაძე აირჩიეს.

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დისციპ-ლინურ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესს, საკანონ-მდებლო ცვლილებით, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს სრული შემადგენ-ლობის 2/3-ის მხარდაჭერა. თუმცა ვენეციის კომისიის მოსაზრებით საკმარისია თუნდაც ერთი არამოსამართლე წევრის მხარდაჭერა. გადაწყვეტილების მიღ-ების პროცესში მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის ბალანსი კვლავ არ არის დაცული. შესაბამისად, ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, რომელშიც იგულისხმება მინიმუმ სამი არამოსამართლე წევრის მონაწილ-ეობით მოსამართლეთა დისციპლინურ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას, გათვალისწინებული არ არის.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის წესის ცვლილებასთან დაკავ-შირებული რეკომენდაციიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გაზიარებული,

კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად ეტაპობრივი არჩევის წესი გავრცელდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებზეც. 2024 წლის 29 მაისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების ეტაპობრივ არჩევასთან დაკავშირებული ვადა გაიზარდა, კერძოდ, 4-ზე მეტი მოსამართლე წევრის არჩევა დაუშვებელია რომელიმე 6 თვიან პერიოდში, ნაცვლად 3 თვისა. ანალოგიურად 6 თვიანი ვადა განისაზღვრა არამოსამართლე წევრების ეტაპობრივ არჩევასთან დაკავშირებითაც, შესაბამისად საქართველოს პარლამენტის მიერ ერთი და იმავე სესიის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4-ზე მეტი წევრის არჩევა დაუშვებელია (47-ე მუხ. მე-12 პუნქ.).

2024 წლის ივლისში თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადა ამოეწურა საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, თამარ ღვამიჩავას. ახალი წევრის შესარჩევად, საქართველოს პრეზიდენტის 21 ივლისის განკარგულებით, გამოცხადდა საჯარო კონკურსი და პრეზიდენტისთვის წინადადების მომზადების მიზნით შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევი კომისია. კანდიდატებთან საჯარო გასაუბრებების შემდეგ, კომისიამ პრეზიდენტს ორი კანდიდატი - გიორგი ბურჯანაძე და კახა წიქარიშვილი წარუდგინა. პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობაზე კახა წიქარიშვილი დანიშნა. ერთ-ერთი კონკურსანტის, მანუჩარ კაკოჩაშვილის საჩივრის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ 22 ივლისის განჩინებით შეაჩერა პრეზიდენტის გადაწყვეტილება საბჭოს წევრად კახა წიქარიშვილის დანიშვნის შესახებ და პრეზიდენტს აუკრძალა ახალი კონკურსის ჩატარება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რითაც სასამართლომ პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილება ხელყო და ამით სასამართლოს გავლენიან ჯგუფს მხარდაჭერა გამოუცხადა.

შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო თითქმის სრულად (14 წევრი) დაკომპლექტებულია სასამართლო სისტემის გავლენიანი ჯგუფის წევრებითა და მათთან აფილირებული პირებით.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა:

⌚ საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ, კანდიდატის ხელახლა შეფასებისას და ხელახალი წარდგინების მიღებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ითვალისწინებენ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებას. ეს ინიციატივა ვენეციის კომისიის მხრიდან [შეფასდა](#), როგორც “სუსტი ფრაზა”, რადგან მისი განმარტებით “გათვალისწინება” ჯერ კიდევ არ ნიშნავს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ისეთ დაცვასა და შესრულებას, რომელსაც სავალდებულო ხასიათი აქვს. ამდენად მიუხედავად წესის გაუმჯობესებისა რეკომენდაცია სრულყოფილად არ სრულდება. მიუხედავად ვენეციის კომისიის კრიტიკული შეფასებისა 2023 წლის სექტემბერში ინიცირებულ კანონპროექტში მითითებული ფრაზა „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ითვალისწინებენ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებას“ უცვლელად აისახა ორგანულ კანონის 34³-ე მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებში.

✗ ხელისუფლების მიერ არ არის შემოთავაზებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღებისას ეფექტური ანტი-ჩიხური მექანიზმი, ასევე კვლავ შენარჩუნებულია ე.წ. „მეორე რაუნდის“ კენჭისყრა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს რაიმე მნიშვნელოვან ინიციატივას დამსახურებაზე დაფუძნებული

შერჩევის პროცესის უზრუნველსაყოფად. ამ საკითხებთან დაკავშირებით კვლავ არ არის წარმოდგენილი არავითარი ინიციატივა.

✘ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების სავალდებულო პროფესიული გამოცდილების მინიმალური ზღვარი 5 წლიდან 10 წლამდე გაიზარდა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საკვალიფიკაციო მოთხოვნები საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული აღნიშნული საკითხი საჭიროებს საკონსტიტუციო ნორმის ცვლილებას. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებას საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა დაეწყო, პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის ნორმა შეცვალა და უარი თქვა 10 წლამდე გაეზარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პროფესიული გამოცდილების მინიმალური ზღვარი. შესაბამისად 29 მაისს მიღებული ორგანული კანონის ცვლილებები აღარ ითვალისწინებს მინიმალური ზღვარის 5 წლიდან 10 წლამდე გაზრდას.

უცვლელი დარჩა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის განსაზღვრული მინიმალური ასაკობრივი ზღვარიც, რომელიც ასევე საკონსტიტუციო ნორმის ცვლილებას საჭიროებს.

✘ არ გადადგმულა ნაბიჯი საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებლად, რომელიც მოიცავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის შემცირებას და მოსამართლეობის კანდიდატის მინიმალური ასაკობრივ ზღვარს.

ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიები:

✘ კანონპროექტი მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინებასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ რეკომენდაციას იზიარებს და ისიც ნაწილობრივ. კერძოდ, მივლინების ვადის გაგრძელების შემთხვევაში მივლინების ვადა 2 წლიდან 1 წლამდე მცირდება, ხოლო თავდაპირველი ვადა (2 წელი) უცვლელი რჩება. არ არის გაზიარებული ისეთი რეკომენდაციები როგორც არის: მივლინების წესთან დაკავშირებული უფრო ნათელი და ვიწრო კრიტერიუმების განსაზღვრა; მოსამართლის შერჩევა შემთხვევითი პრინციპით (წილისყრის საფუძველზე); ტერიტორიული შეზღუდვის დაწესება; სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში მივლინების აკრძალვა.

✘ კანონპროექტი არ ითვალისწინებს მინიმალურ გარანტიებს მოსამართლის ფუნქციური იმუნიტეტის უზრუნველსაყოფად.

✘ არ შემუშავებულა ნორმები, რომელიც უზრუნველყოფდა საქმეთა შემთხვევითად ელექტრონული წესის განაწილების სისტემის იმგვარად დახვეწას, რომ შემცირდეს ზოგად წესში გათვალისწინებული გამონაკლისები და საქმეთა განაწილების პროცესში გამოირიცხოს პროცესზე არასათანადო გავლენები მოხდენის შესაძლებლობა.

✘ „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის“ დარღვევა კვლავ რჩება როგორც მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, მაგრამ საკანონმდებლო ცვლილებით უფრო მკაფიოდ დაზუსტდა და აფართოებს იმ საკითხთა წრეს, რომელთა შესახებ მოსამართლის მიერ აზრის გამოთქმა არ ჩაითვლება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევად, ესენია: სასამართლოს რეფორმის შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე ან/და სამართლის განვითარების სხვა

საკითხებთან დაკავშირებული მეცნიერული ან ანალიტიკური მსჯელობა. ამასთან დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის „აშკარა“ დარღვევა, რაც მეტ გარანტიებს ქმნის მოსამართლის გამონატვის თავისუფლების დაცვისათვის. შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაცია მეტწილად გაზიარებულია კანონპროექტში.

მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეფექტიანობა:

✗ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის გაზრდის მიზნით ვენეციის კომისიის და ODIHR-ის რეკომენდაციების საფუძველზე.

ამის საპირისპიროდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად და ღროულად არ აქვეყნებს მიღებულ გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმებს ოფიციალურ ვებგვერდზე; სისტემატურად არღვევს ორგანული კანონით განსაზღვრულ ვალდებულებას და სხდომის დაწყებამდე სამი დღით ადრე არ აქვეყნებს სხდომის შესახებ ინფორმაციასა და დღის წესრიგს; სათანადოდ არ გასცემს საჯარო ინფორმაციას, შესაბამისად იუსტიციის საბჭოს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პირობა (რეკომენდაცია) კვლავ შეუსრულებელი რჩება. მეტიც, ნაცვლად იმისა, რომ ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის სტანდარტები გაუმჯობესებულიყო, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრულიად უგულვებელყო საკონსტიტუციო ორგანოს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპები და კიდევ უფრო ჩაკეტილ ორგანოდ იქცა. საბჭომ მიმდინარე წლის აპრილში, სხდომების მონიტორინგისთვის ხელის შეშლის მიზნით ხელოვნური ბარიერი დააწესა და სხდომის დაწყებამდე შენობაში შესვლა აუკრძალა ორგანიზაციის წარმომადგენლებსა

და მედიას. მიმდინარე წლის ივლისში კი სავარაუდოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ზეპირი განკარგულებით, სრულიად ბუნდოვანი მოტივით აკრძალა საბჭოს სხდომებზე დასწრება. აღნიშნულის შესახებ წერილობით დასაბუთებული გადაწყვეტილება არ გამოქვეყნებულა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მსგავსად, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები მნიშვნელოვნად გაუარესდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობაში. კერძოდ, სამსახურის შექმნის დღიდან პირველად, 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, [სამსახურის ოფიციალური ვებგვერდზე](#) ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული ინსპექტორის გასული წლის(2023) საქმიანობის ანგარიში.

✗ მიმდინარე წლის 29 მაისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით, სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით განისაზღვრა, რომ ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტის სრული ტექსტი მისი [მიღებისთანავე ხდება საჯარო ინფორმაცია](#) და გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის დადგენილი წესით, სასამართლო აქტის დეპერსონალიზებული ტექსტი მისი მიღების შემდეგ სათანადო ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს. ორგანული კანონის ცვლილებების თანახმად, არავის არ აქვს უფლება, ამ აქტის ტექსტი საჯაროდ გამოაქვეყნოს მისი დეპერსონალიზაციის გარეშე. სასამართლო აქტის დეპერსონალიზებული ტექსტის გამოქვეყნებისათვის შესაბამისი ვებგვერდის განსაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სასამართლოს უფლებამოსილებას მიეკუთვნა. საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად, **სასამართლო აქტების საჯაროობა უზრუნველყოფილი არ არის კანონით დადგენილი წესით.** უფრო მეტიც, 2020 წლის 30 აპრილიდან დღემდე სასამართლოს ვებგვერდზე (www.ecc.court.ge) გამოქვეყნებული არ არის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

✗ სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემის დასაძლევად არ შემუშავებულა გეგმა და არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები, გარდა იმისა, რომ მთავრობამ 2023 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა „დეოლიგარქიზაციის გეგმა,“ რომელიც მართლმსაჯულების ნაწილში ზედმიწევნით [იმეორებს](#) 2022 წელს გამოქვეყნებულ სასამართლო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პუნქტებს, მათ შორის საქმეთა გაჭიანურების პრობლემის დაძლევასთან დაკავშირებულ საკითხს. ამ საკითხთან დაკავშირებით მცირედითაც არაფერი შეცვლილა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში.

✗ სასამართლოში კვლავ არსებობს მოსამართლის 100-ზე მეტი ვაკანსია, თუმცა დღემდე არ გატარებულა ადეკვატური ზომები ვაკანსიების კვალიფიციური და კეთილსინდისიერი კადრებით შესავსებად. 2024 წლის მაისში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ [უვადოდ დანიშნა](#) 21 მოსამართლე, რომლებიც 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით 2021 წლის 18 ივნისს გამწესდნენ, შესაბამისად სასამართლოს სიტემაში ახალი კადრი არ შესულა. ყველა მათგანის დანიშვნას საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

2024 წლის 24 იანვარს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა დაიწყო. საგულისხმოა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კანდიდატების შერჩევის პროცესი უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლის - ნინო ბაქაძურისა და ზურაბ ძლიერიშვილის 10-წლიანი უფლებამოსილების ამოწურვამდე, 9 თვით ადრე, დაიწყო. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად დარეგისტრირდა 18 პირი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორმა წევრმა განაცხადი წარადგინა უზენაესი სასამართლოს მოსამარ-

თლეობის შესარჩევ პროცესში, რომლებმაც კანდიდატად რეგისტრაციის შემდეგ, დაახლოებით ორ კვირაში, [დატოვეს](#) საბჭოს წევრის თანამდებობა. გარდა ამისა, კიდევ ერთი კანდიდატი, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან, [მოიხსნა](#) რეგისტრაციიდან დამატებითი ინფორმაციის წარუდგენლობის გამო.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს სამი კანდიდატი - ბადრი შონია, გოჩა ჯეირანაშვილი და გიზო უბილავა წარუდგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად. **პარლამენტმა სამივე კანდიდატი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.** ამდენად, უზენაესი სასამართლო თითქმის სრულად დაკომპლექტდა უვადოდ არჩეული მოსამართლეებით.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2024 წლის 31 მაისს მორიგი კონკურსი გამოაცხადა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ასარჩევად. აღსანიშნავია, რომ კონკურსი გამოცხადდა დაახლოებით ერთი წლით ადრე, ვინაიდან მოქმედ მოსამართლეს, ეკატერინე გასიტაშვილს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა 2025 წლის ივნისში ეწურება. ანდიდატებთან გასაუბრების შემდეგ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სწორედ მისი კანდიდატურა წარუდგინა პარლამენტს ასარჩევად. საქართველოს პარლამენტში ნიკოლოზ მარსაგიშვილის არჩევის რეგლამენტით განსაზღვრული პროცესი [2024 წლის 5 სექტემბერს](#) დაიწყო. კერძოდ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფი შექმნა.

✗ მოსამართლეთა გადამზადება ირიბი მტკიცებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით რა სახის ღონისძიებები გატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ უცნობია.

⌚ საკონსტიტუციო ცვლილებები პროკურორის დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გენერალური პროკურორის არჩევას პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის (90 ხმა) უმრავლესობით პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო 2022 წლის ოქტომბერში. ასევე შემოთავაზებულია ე.წ. ანტი-ჩიხური მექანიზმი, რომლის მიხედვითაც თუ სამი მეხუთედის უმრავლესობით პარლამენტი გენერალურ პროკურორს ორჯერ ვერ აირჩევს, გენერალური პროკურორის არჩევა სრული შემადგენლობის უმრავლესობით - 76 ხმით ხდება. აღნიშნული წესით გენერალური პროკურორი ერთი წლით აირჩევა. ამ ცვლილებების ამოქმედების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ გენერალური პროკურორის არჩევის წესთან დაკავშირებული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება.

2023 წლის 30 ნოემბერს ცვლილებები შევიდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, აღნიშნული ცვლილებები არ მოიცავს დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და პრაქტიკულად არაფერს ცვლის პროკურორების შიდა დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. შესაბამისად თუ გავითვალისწინებთ, რომ გასული წლის ნოემბრიდან დღემდე ორგანული კანონის ნორმების ცვლილებების სხვა პროექტი წარმოდგენილი არ ყოფილა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაციების შესასრულებლად ხელისუფლებას ნაბიჯი არ გადაუდგამს.

✗ ამ დრომდე არ შემუშავებულა ნორმები საპროკურორო საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან დაკავშირებით. არსებული საკანონმდებლო მოცემულობით საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან 8 პროკურ-

ორთა კონფერენციის მიერ არჩეული, ხოლო 7 არა-პროკურორი წევრია. გასული წლის ნოემბერში მიღებული ახალი ნორმები მინიმალურადაც არ ცვლის გენერალური პროკურორისა და საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს და ვერ უზრუნველყოფს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილების სამართლიან გადანაწილებას გენერალურ პროკურორსა და საპროკურორო საბჭოს შორის, რამდენადაც კარიერულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება კვლავ გენერალური პროკურორის კომპეტენციაში რჩება. გარდა ამისა არ ყოფილა წარმოდგენილი ნორმები დისციპლინური წარმოების წესის იმგვარად მოწესრიგების შესახებ, რომელიც უფრო მყარ გარანტიებს შექმნიდა პროკურორების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის დასაცავად. სიახლეს წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციის და გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - რანგირების საბჭოს შექმნა.

✗ პროკურორების სწავლებასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასთან დაკავშირებით ფინანსური ხასიათის დანაშაულების გამოძიების თაობაზე უცნობია რა ღონისძიებები გატარდა პროკურატურის მიერ (გაიგზავნა მიმართვა გენერალურ პროკურატურაში, თუმცა დოკუმენტის გამოქვეყნებამდე შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გამხდარა).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა 18 ივლისს, ირაკლი შოთაძის ადგილზე, რომელმაც თანამდებობა მიმდინარე წლის მაისში დატოვა, გენერალური პროკურორის პოზიციაზე 80 ხმით ნულის წინააღმდეგ, გიორგი გაბიტაშვილი აირჩია.



გამოწვევები:

! ხელისუფლებას არ წარმართავს ფართო და ინკლუზიურ პროცესს, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოებას ექნებოდა მონაწილეობის და წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა სასამართლო რეფორმის საკითხებზე.

! სასამართლო სისტემაში მაღალ თანამდებობაზე დანიშნული/არჩეული პირების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით არსებობს საფუძვლიანი კითხვები, თუმცა წამყვან თანამდებობებზე დანიშნული/არჩეული მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის დანერგვასთან დაკავშირებით პოლიტიკური ხელისუფლება და სასამართლოს წარმომადგენლები გამოსატყვევებ მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას და საკითხს აცხადებენ დახურულად. ხოლო 10-მდე მოსამართლეს, რომლებმაც განსხვავებული მოსაზრება გამოხატეს, მათ მადისკრედიტირებელი კამპანიით/განცხადებებით პასუხობენ პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლები.

! მოსამართლეთა ქონებრივი მდგომარეობის შემოწმების შესახებ ჯერ კიდევ არ შემუშავებულა მექანიზმი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებდა სასამართლოში კორუფციის რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ გავლენიანი მოსამართლის მიერ ქონებრივ დეკლარაციასთან შეუთავსებელი ქონების სავარაუდო ფლობის შესახებ მედიის მიერ არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, ხელისუფლება კვლავ არ ახდენს რეაგირებას ამ ფაქტებზე და მოსამართლეთა ქონებრივი მდგომარეობის პერიოდული და პერმანენტური შემოწმების სისტემის დანერგვაზე მუშაობაც კი არ დაწყებულა.

! შემუშავებული არ არის სასამართლოში რეფორმების და გამოწვევების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა არსებ-

ული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების სწორად იდენტიფიცირებას და მის საფუძველზე სასამართლოს რეფორმის ეფექტიანი სამომავლო სტრატეგიის შემუშავებას.

! ხელისუფლებას არ აქვს სასამართლოს რეფორმის ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

! იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფლობს ფართო, დაუბალანსებელ ძალაუფლებას და ითავსებს მრავალ სხვადასხვა ფუნქციას. საბჭოს შემადგენლობაში არიან ის მოსამართლე წევრებიც, რომლებიც იმავდროულად იკავებენ სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობას სასამართლოში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების წესი არ არის ინკლუზიური და არ შეესაბამება კოლეგიური ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტის პრინციპებს. მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის უზრუნველყოფილი არამოსამართლე წევრების სათანადო ჩართულობა და ბალანსი მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობის განმეორებით დაკავების უფლება კვლავ შენარჩუნებულია. ამასთან საბჭო სულ უფრო ჩაკეტილი და გაუმჭვირვალე ორგანო გახდა, რადგან 2024 წლის აპრილიდან შექმნა დაბრკოლებები საბჭოს სხდომების მონიტორინგის კუთხით, ხოლო ამავე წლის ივლისიდან სრულად აიკრძალა არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებისა საბჭოს სხდომაზე დასწრება.

! მიუხედავად იმისა, რომ სამოსამართლო კონკურსის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების წესი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ჯერ კიდევ არ არსებობს ნორმა, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს იუს-

ტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებაზე/განკარგულებაზე საჩივრის განმხილველი ორგანოს, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათს.

! უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით სრულად არ არის გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და პროცესი ვერ უზრუნველყოფს კანდიდატების დამსახურებაზე დაფუძნებით შერჩევას.

! უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისთვის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი ისევ 30 წელია, რაც ვენეციის კომისიის შეფასებით დაბალია.

! უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ზედმეტად ხანგრძლივი ვადით - 10 წლით ინიშნება თანამდებობაზე. აღნიშნული ვადის შემცირება საჭიროებს საკონსტიტუციო ნორმის ცვლილებას. საკითხზე მუშაობა არც კი დაწყებულა.

! მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინებისათვის განსაზღვრული საკანონმდებლო წესი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას. ორგანული კანონი აღარ ითვალისწინებს 2021 წლამდე არსებულ იმ სამართლებრივ გარანტიებს, რომლებიც პრაქტიკულად გამორიცხავდა ან შეამცირებდა მაინც მივლინების მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას ინდივიდუალური მოსამართლის წინააღმდეგ. კერძოდ, კანონი აღარ ითვალისწინებს მოსამართლის შემთხვევითი შერჩევის მექანიზმს, ტერიტორიულ შეზღუდვას, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოში მივლინების აკრძალვას. გარდა ამისა ვენეციის კომისიის შეფასებით მივლინების ვადა კვლავ ხანგრძლივია, ხოლო მივლინების საფუძვლები არ არის საკმარისად ნათელი. მივლინების არსებ-

ული წესი ქმნის მოსამართლის წინააღმდეგ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მაღალ რისკს.

! საქმეთა ელექტრონული განაწილების მოქმედი წესი ვერ უზრუნველყოფს ისეთი ძირითადი მიზნების შესრულებას, როგორცაა საქმეთა სამართლიანი განაწილება მოსამართლეებს შორის და მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა. გარდა ამისა, უფლებამოსილ პირებს უტოვებს საქმეთა განაწილების პროცესზე არასათანადო გავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

! მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება არ არის დაცული, მიუხედავად იმისა რომ კანონპროექტი გარკვეულ ცვლილებებს ითვალისწინებს, ამასთან მიმართებით ჯერ კიდევ რჩება მოსამართლის დისციპლინური წესით დასჯის რისკები.

! იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა კიდევ უფრო შემცირდა. ორგანო არ გასცემს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, რაც ართულებს მისი საქმიანობის ეფექტიან მონიტორინგს და უარყოფითად აისახება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხზე. 2024 წლის ივლისიდან კი საბჭოს სხდომები საზოგადოებისთვის სრულად დაიხურა.

! 2024 წლის 1-ელი იანვრიდან სასამართლო ხელისუფლებას აკისრია სასამართლოს მიერ ღია სხდომის შედეგად მიღებული სასამართლოს აქტის დეპერსონალიზებული ტექსტის, შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სათანადო ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება. მიუხედავად ამისა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები ვებგვერდზე (<https://ecd.court.ge/>) დღემდე არ ქვეყნდება.

! საქმის განხილვის ვადების დარღვევას სისტემატური ხასიათი აქვს, რაც წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და გადაუჭრელ პრობლემად რჩება სასამართლოში. ხელისუფლებას კი ამ დრომდე არ აქვს შემუშავებული ეფექტიანი სტრატეგია და გეგმა საქმეთა გაჭიანურების პრობლემის დასაძლევად.


! სასამართლო სისტემაში არ არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, რაც წარმოადგენს სასამართლოების გადატვირთულობის და საქმეთა განხილვის გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზს.

! ამ ეტაპისთვის გამოწვევას წარმოადგენს პროკურორის მიმართ დისციპლინური წარმოების არსებული წესი და გენერალური პროკურორის ფართო უფლებამოსილება დისციპლინური წარმოების პროცესში.

! არსებული მონაცემებით არ არსებობს სათანადო ბალანსი გენერალური პროკურორისა და საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას შორის. გენერალური პროკურორი სარგებლობს ფართო უფლებამოსილებით და იგი იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ საკადრო საკითხებზე როგორცაა: პროკურატურის თანამშრომელთა მიღება, დაწინაურება, დაქვეითება, რანგის მინიჭება და სხვ.

ნაბიჯი N7

ანტიკორუფციული ზომები, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური



ნაწილობრივ შესრულდა



ევროკავშირის მოთხოვნა:

ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტიანობის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შემდგომი უზრუნველყოფა. ამ ორგანოებთან მიმართებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულება ინკლუზიური პროცესის გზით; კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეების გამოძიების ძლიერი გამოცდილების (ევროკავშირის თარგმანში - მონაცემთა ბაზის) შექმნა.

* მომზადებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), მმართველობის მონიტორინგის ცენტრის (GMC), საქართველოს დემოკრატიული ინციატივის (GDI) მიერ



მოლოდინები:

- ანტი-კორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კანონმდებლობის გადახედვა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად;
- ODIHR-ის რეკომენდაციების შესრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურების ხელმძღვანელთა დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალ კანონში არსებული ხარვეზების გამოსწორება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად;
- ანტი-კორუფციული ბიუროსა და შესაბამისი ძალოვანი სტრუქტურების ეფექტიანი და დამოუკიდებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პოლიტიკური ნიშნით შერჩევითობის გარეშე; ქონებრივი დეკლარაციების შემოწმება ლეგიტიმურ შემოსავალთან მიმართებით და აუხსნელი განსხვავებების შემთხვევაში გამოძიებების დაწყება;
- დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულება სისტემური მიდგომის საფუძველზე, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად;
- კორუფციულ საქმეებზე ჩატარებული გამოძიებების, სამართლებრივი დევნის, სასამართლო გადაწყვეტილებების და საბოლოო განაჩენების მონაცემთა ბაზის მომზადება; საჯარო კომუნიკაციისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა მაღალი დონის კორუფციულ საქმეებთან დაკავშირებით;
- ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება; მის აღსასრულებლად შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნა;
- OECD-ის ანტიკორუფციული ქსელის დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების გაწვევა და წინა შეფასების რაუნდების რეკომენდაციების შესრულება.

იმგვარი სტატისტიკის წარმოება, რომელიც შესაძლებელს გახდის სისხლის სამართლის საქმეების მთელი ჯაჭვის მონიტორინგს. კერძოდ, დაწყებული გამოძიების, წარდგენილი ბრალდების და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების შემთხვევების რაოდენობის განსაზღვრა და სისხლის-სამართლებრივი დევნის მიმართ გამოძიების ხარისხის და პროკურატურის მიდგომის შეფასება.

ანტიკორუფციული ბიურო:

- ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური და პერსონალური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების უზრუნველყოფა ვენეციის [კომისიის](#) რეკომენდაციების შესაბამისად, იმგვარად, რომ გადაწყვეტილი იქნეს ევროკომისიის დასკვნაში იდენტიფიცირებული საკვანძო გამოწვევები, მათ შორის:
 - ანტიკორუფციული ბიუროსთვის მაღალი დონის კორუფციული საქმეების გამოძიების უფლებამოსილების მინიჭება; ამ მანდატის ეფექტურად განსახორციელებლად საჭირო ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსის გამოყოფა;
 - ანტიკორუფციულ უფროსს თანამდებობაზე არჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ კვალიფიციური უმრავლესობით ან მრავალპარტიული შეთანხმებით;
 - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის ასარჩევად საჭირო კრიტერიუმების გაზრდა; უფროსისთვის და მისი მოადგილეებისთვის იმუნიტეტის გარანტიების განსაზღვრა.
 - ანტიკორუფციული ბიუროს ანგარიშვალდებულების განსაზღვრა მხოლოდ პარლამენტის წინაშე;
 - არსებული სახით, ანტიკორუფციული საბჭოსადმი ბიუროს ანგარიშვალდებულების გაუქმება.


- ანტიკორუფციული ბიუროს მიერ უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის, მაღალი დონის კორუფციასთან მიმართებით; ბიურომ უნდა იმოქმედოს პოლიტიკური შერჩევითობის გარეშე, მათ შორის, ქონების დეკლარაციები უნდა შემოწმდეს ლეგიტიმურ შემოსავალთან მიმართებით და აუხსნელი განსხვავებების შემთხვევაში უნდა დაიწყოს გამოძიება;
- ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ინტერესთა კონფლიქტისა და უკანონო გამდიდრების შემთხვევების იდენტიფიცირება, რაც ქონებრივ დეკლარაციებზე დაკვირვების საშუალებით მოხდა, ხოლო შემდგომ საგამოძიებო უწყებას გადაცემა.


სხვა ანტიკორუფციული ღონისძიებები:

- კორუფციასთან ბრძოლის ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის გარდა, ევროკომისია საქართველოს ხელისუფლებისგან სხვა ნაბიჯების გადადგმასაც მოელის, მათ შორისაა:
- OECD-ის ანტიკორუფციულ ქსელში დაბრუნება და წინა შეფასების რაუნდების რეკომენდაციების სრული იმპლემენტაცია;
- ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და მის აღსასრულებლად შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფა და ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა;
- მაღალი დონის კორუფციული შემთხვევების აღრიცხვა და სტატისტიკის მუდმივად წარმოება/გასაჯაროება.

არსებული მდგომარეობა:

კანდიდატის სტატუსის მონიჭების შემდეგ, საქართველოს მთავრობას კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ახალ პირობებთან ერთად, წარსულში გადასადგმელი ნაბიჯებიც ხელახლა განესაზღვრა. 2024 წლის 21 თებერვალს, საპარლამენტო უმრავლესობამ დააინიციირა ცვლილებები კანონში “კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.” აღნიშნული ცვლილებები 2024 წლის 29 მაისს იქნა მიღებული გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არსებული მდგომარეობით, განხორციელებული ცვლილებები ძალიან მცირე დოზით მოიცავს ვენეციის კომისიის მიერ გაქდურებულ რეკომენდაციებს და არ ეხება ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ნდობასთან, ისევე როგორც ეფექტიანობასთან დაკავშირებულ საკვანძო მიმართულებებს. აღნიშნულის ნაკლოვანება ნორმატიულ დონეზე ეტაპობრივად იწყებს გამომქდავებას, სანიმუშოდ, [2024 წელს 5 აპრილს მოსამართლეებმა სასამართლოს მეშვეობით ქონებრივი დეკლარაციების შემოწმება გააჩერეს](#). ასევე გამოიკვეთა, რომ ანტიკორუფციული ბიუროს საკუთარ მანდატს მიკერძოებულად - [წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის მხარდასაჭერად იყენებს](#).

 2024 წლის 29 მაისს “კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, კანონში დაზუსტდა ვენეციის კომისიის მიერ, ანტიკორუფციულ ბიუროსთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული რამდენიმე საკითხი, მათ შორის, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის ხელშეუხებლობის დაცვა - რაც მას იცავს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის, დაკავებისა და გაჩრეკისგან, საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, ასევე უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულების მოხსნა.

 2024 წლის პირველ კვარტალში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარეობდა ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის

შემუშავების პროცესი.. აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ ამ დრომდე არაფერია ცნობილი.

✗ 2024 წლის 19 თებერვალს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2024 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი (საგაზაფხულო სესიის) [გეგმა](#). გეგმა ითვალისწინებდა “კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონში 2024 წლის 29 მაისს შეტანილ ცვლილებებს. თუმცა, ამის გარდა, სამთავრობო გეგმის მიხედვით, ცვლილებებით უნდა გადაწყვეტილიყო მათ შორის თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებულ პირთა წრის გაფართოება; საგაზაფხულო სესია ამოიწურა აღნიშნული ვალდებულების შესრულების გარეშე.

✗ ანტიკორუფციულ ბიუროს არ მიენიჭა კორუფციულ საქმეების გამოძიების უფლებამოსილება. ეს უფლებამოსილება კვლავაც სხვადასხვა უწყებ(ებ)ში რჩება და ამ საკითხზე საპარალმენტო დისკუსია შეწყვეტილია.

✗ უცვლელი რჩება ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნის წესი, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის ნაცვლად, ბიუროს ხელმძღვანელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს, საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.

✗ არ მცირდება პრემიერ-მინისტრის როლი, როგორც ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის შერჩევის, ასევე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რაც ვენეციის კომისიის თანახმად, პრემიერ-მინისტრს მეტისმეტად ძლიერ გავლენას ანიჭებს;

✗ ვენეციის კომისიის დასკვნით, ანტიკორუფციული ბიუროს ანგარიშვალდებულება პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე, ხოლო დამატებით პრემიერ-მინისტრის მიერ ბიუროს უფროსის დანიშვნა და გათავისუფლება, ფაქტობრივ დონეზე “სამმაგ ანგარიშვალდებულებას” აყალიბებდა. ვენეციის კომისიის რეკომენდაციების თანახმად, ანტიკორუფციული

ბიურო ანგარიშვალდებული უნდა იყოს მხოლოდ პარლამენტის წინაშე. 29 მაისის ცვლილებებით გაუქმდა ანტიკორუფციული ბიუროს ანგარიშვალდებულება უწყებათაშორისი საბჭოს წინაშე და განისაზღვრა ბიუროს უფროსის იმუნიტეტი. თუმცა არ შეცვლილა ანტიკორუფციული ბიუროს თანამდებობაზე დანიშვნის ან/და გათავისუფლების წესი, რომელიც გავლენას მოახდენდა ბიუროს უფროსის ანგარიშვალდებულების შემცირებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრთან მიმართებით და უზრუნველყოფდა პარლამენტის წინაშე რეალურ ანგარიშვალდებულებას ნორმატიულ დონეზე.

✗ უცვლელად რჩება ბიუროს უფროსისთვის კანონით დადგენილი მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ვენეციის კომისიის თანახმად არასაკმარისია.

✗ 2024 წლის 29 მაისის საკანონმდებლო ცვლილებებით, თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის არასწორად შევსების შემთხვევაში, ანტიკორუფციულ ბიუროს შეუძლია დაადგინოს ხარვეზი, რომლის აღმოფხვრისთვისაც გათვალისწინებულია ერთ თვიანი ვადა. ცვლილებებით პირდაპირი შეზღუდვა დაწესდა ამ პერიოდის განმავლობაში დეკლარაციის გასაჯაროების ან მასში ასახული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე.

✗ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელთან საქართველო ოფიციალურად 2023 წლიდან აღარ თანამშრომლობს. გადაწყვეტილების შეცვლა და ანტიკორუფციულ ქსელში დაბრუნება ევროკომისიის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რისკენაც OECD/ACN-მა კიდევ ერთხელ 14 მარტს [მოუწოდა](#) საქართველოს მთავრობას;

✗ OECD-ის ანტიკორუფციულ ქსელში დაბრუნების გარდა, საქართველოს მთავრობას არ შეუსრულებია OECD/ACN გასულ რაუნდებში გაცემული რეკომენდაციები;



გამოწვევები:

! ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხები, რაც მათ შორის ვენეციის კომისიის მიერ არის იდენტიფიცირებული და ანტიკორუფციული ბიუროს ეფექტიანობასა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს, გათვალისწინებული არ არის.

! საქართველოს მთავრობა კვლავაც არ ბრუნდება OECD-ის ანტიკორუფციულ ქსელში, სადაც საქმიანობა ოფიციალურად 2023 წელს შეწყვიტა. ასევე, უცნობია, რატომ არ ხდება ამ გადაწყვეტილების შეცვლა.

! ამ დრომდე არ იკვეთება რაიმე ნიშანი, რომელიც მაღალ დონის კორუფციის საქმეთა ეფექტიან გამოძიებაზე მიუთითებდა.

! ანტიკორუფციული რეფორმა შეჩერებულია და, ზოგადად, მეშვიდე ნაბიჯის შესასრულებლად საჭირო საკვანძო რეფორმებზე საპარლამენტო დისკუსია არ მიმდინარეობს. ანტიკორუფციული რეფორმის ნაკლოვანებებმა დაიწყო პრაქტიკაში გამოვლენა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიებისა და ეფექტიანობის გაძლიერება, სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევის წესის ცვლილება, ასევე მათი არსებული მანდატის დახვეწა და ახალი უფლებამოსილებების მინიჭება ევროკომისიის, ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR რეკომენდაციების შესაბამისად.
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიებისა და ეფექტიანობის გაძლიერება, სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევის წესის ცვლილება, ასევე მათი არსებული მანდატის დახვეწა და


ახალი უფლებამოსილებების მინიჭება ევროკომისიის, [ვენეციის კომისიისა](#) და [OSCE/ODIHR](#) რეკომენდაციების შესაბამისად. მათ შორის,


- a. სამსახურების უფროსის თანამდებობაზე განმწესების და თანამდებობიდან გადაყენების წესის ცვლილება, ასევე სამსახურის საკვანძო თანამშრომლებისთვის შესაბამისი ხარისხის იმუნიტეტის მინიჭება. მათ შორის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევი კომისიიდან გენერალური პროკურატურის ჩართულობის საკითხის გადახედვა. სამსახურის უფროსის შესარჩევი კრიტერიუმებისა და კომისიის მიერ კანდიდატთა შერჩევისთვის გადაწყვეტილების მიღების წესის გადახედვა;
- b. სამსახურის უფროსის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაზე პარლამენტის თანხმობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის ცვლილება;
- c. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატის გადახედვა. მანდატის დაახლოება სამსახურის არსებობის რეალურ მიზნებთან. მანდატის გაფართოება, მათ შორის, პროკურორებზე, ისევე როგორც შს მინისტრზე, სუს-ის უფროსსა და გენერალურ პროკურორზე;
- d. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ პროკურატურისგან საქმის მის იურისდიქციის დაქვემდებარების მოთხოვნაზე უარის, ასევე პროკურატურის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისგან საქმის ამოღების და გამოძიების მიზნებისთვის სხვა ორგანოსთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების წესის ცვლილება, იმგვარად, რომ არსებობდეს ამ გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება;
- e. საგამოძიებო სამსახურის ფუნქციური ავტონომიის უზრუნველყოფა საქართველოს პროკურატურისგან, მათ შორის, საგამოძიებო სამსახ-


ურისთვის საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობის მინიჭების გზით;

- f. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურისთვის უფლებამოსილების მინიჭება ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად მოამზადოს სპეციალური ანგარიშები საჭიროების არსებობის შემთხვევაში.
- g. სამსახურების აღჭურვა დაკისრებული ფუნქციების დამოუკიდებლად და ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით.

არსებული მდგომარეობა:

 2023 წლის 18 დეკემბერს, ვენეციის კომისიამ მიიღო დასკვნა, რომლითაც შეაფასა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. ამავე დასკვნაში ვენეციის კომისიამ გასცა რეკომენდაციები ორივე სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების თვალსაზრისით.

 2024 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს ახალი კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელ წესებს. მაგრამ ახალი კანონი, შინაარსობრივად, ნაკლებად ეხება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებით გათვალისწინებულ ინსტიტუციურ საკითხებს და არ ცვლის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ რეგულირებას.

 2024 წლის 21 თებერვალს მმართველმა პარტიამ დააინიციირა საკანონმდებლო პაკეტი, რომელშიც შევიდა კანონპროექტები “სპეციალური საგამო-

ძიებო სამსახურის შესახებ” და “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონებში ცვლილებების თაობაზე. კანონპროექტის განმარტებითი ბარათით, შემოთავაზებული ცვლილებების მიღების საჭიროებად სწორედ ევროკავშირის 9 ნაბიჯის ფარგლებში განსაზღვრული ვალდებულებები დასახელა. კანონპროექტები 2024 წლის 29 მაისს დამტკიცდა მესამე მოსმენით. საკანონმდებლო ცვლილებებით:

- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ დროს გამოაქვეყნოს სპეციალური ანგარიში იმ საკითხების თაობაზე, რაც მის საქმიანობას უკავშირდება და მას მნიშვნელოვნად მიაჩნია.
- სახალხო დამცველს ეძლევა უფლებამოსილება სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის შესარჩევი კომისიის წევრად არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის წევრთაგან წარადგინოს პირი, როგორც კონკურსის ჩატარების გზით, ასევე მის გარეშე.
- იზრდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის არჩევის მიზნით შესარჩევი კომისიის დაკომპლექტების ვადები.
- იცვლება სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი - კომისია სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით შეარჩევს კანდიდატებს.
- ცვლილება შედის სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტის წესში. კანონპროექტით, აღნიშნულ საკით-

ხთან დაკავშირებით პარლამენტი უბრალო უმრავლესობის ნაცვლად გადაწყვეტილებას მიიღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

- უქმდება გამონაკლისი, რომელიც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას გამორიცხავს პროკურორის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე–118-ე, 120-ე–124-ე, 126-ე, 126¹, 137-ე–139-ე, 143-ე–144-ე და 150-ე–151¹ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის შემთხვევაში.

✗ საგამოძიებო სამსახურის მანდატი კვლავ შეზღუდულია და არ ვრცელდება მაღალი თანამდებობის პირებზე (შსს-მინისტრზე, გენერალურ პროკურორზე და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსზე);

✗ საგამოძიებო სამსახურის წარმოებული გამოძიების ეფექტიანობა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება სრულად პროკურატურაზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, საქართველოს პარლამენტი უარს აცხადებს საგამოძიებო სამსახურს მიანიჭოს საგამონაკლისო შემთხვევებში საპროკურორო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ან იგივე ლეგიტიმურ მიზნებს მიაღწიოს სხვა სამართლებრივი მექანიზმით.

✗ საკანონმდებლო დონეზე არ გახსნილა დისკუსია, ვენეციის კომისიის მიერ იდენტიფიცირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევაზე - ფარულ მოსმენებზე და ფარული მიყურადების ტექნიკური ინფრასტრუქტურის ეფექტიან ზედამხედველობაზე, შესაბამისი დანაშაულების გამოძიებასა და ამ თვალსაზრისით - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და საგამოძიებო სამსახურის როლზე.



გამოწვევები:

! “სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ” და “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში ასახული ცვლილებები, მართალია ნაწილობრივ პასუხობს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, თუმცა ცვლილებები სპორადულია და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამსახურების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და ეფექტიანობას.

! სპეციალურმა საგამოძიებო სამსახური არაეფექტიანად წარმართავს რუსული სტილის აგენტების კანონის განხილვის პარალელურად მიმდინარე პროტესტის მონაწილეებზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალადობის შემთხვევების გამოძიებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა კი თავისი განცხადებებით, ირიბად დაუჭირა მხარი რუსულ კანონს და შეეცადა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები დღის წესრიგიდან მოეხსნა. მთლიანობაში, ჩვენი აზრით, დასტურდება, რომ აღნიშნული ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის განმტკიცების თვალსაზრისით საქართველოს შემდგომი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი.

ნაბიჯი N8

დეოლიგარქიზაცია

შესასრულებელია



ევროკავშირის მოთხოვნა:

დეოლიგარქიზაციის არსებული სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება მრავალსექტორული, სისტემური მიდგომის განსახორციელებლად, ვენეციის რეკომენდაციების შესაბამისად და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის წარმოებით, რომელშიც ჩართულები იქნებიან ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება.

* მომზადებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), მმართველობის მონიტორინგის ცენტრის (GMC), საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მიერ




მოლოდინები:


- დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის სრულყოფისა და შესრულების დაწყებისთვის შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, კორუფციულ საქმეებზე, განსაკუთრებით მაღალ დონეზე, ჩატარებული გამოძიებების, სამართლებრივი დევნის, სასამართლო გადაწყვეტილებების და საბოლოო განაჩენების მონაცემთა ბაზის მომზადება და პოლიტიკურ, სასამართლო და ეკონომიკურ სფეროებში ფართო პირადი ინტერესებისა და გავლენების კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირება;
- სამოქმედო გეგმის შესრულება სისტემური მიდგომის საფუძველზე, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად; აღნიშნული მოიცავს ახალი ანტი-კორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებას და მათ სრულყოფილ განხორციელებას სათანადო ფინანსური სახსრებისა და მონიტორინგის მექანიზმების უზრუნველყოფით;
- სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, ინკლუზიური და ეფექტიანი მექანიზმის დროულად ამოქმედება, რომელიც ასევე მოემსახურება გეგმის საჭიროებისამებრ გადახედვას და შევსებას;
- ოლიგარქიის მავნე გავლენებთან ბრძოლა „სისტემური“ მიდგომის საფუძველზე; დეოლიგარქიზაციის ნაბიჯის შესრულება სხვა პრიორიტეტების შესრულების გზით, რაც ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაშია;
- ვენეციის კომისიის მიერ დეოლიგარქიზაციის განხორციელების სისტემური მიდგომის ძირითადი მოთხოვნების ჯეროვნად იმპლემენტაცია, მათ შორის, მის იმპლემენტაციაში ჩართული საკვანძო ინსტიტუტების მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა;


- არსებული სამოქმედო გეგმის დახვეწა ევროკავშირის უკუკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებების დროულად მიღება და ადმინისტრაციული ღონისძიებების დროულად გატარება;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზომების პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება, მათ შორის, მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გამოძიება და შესაბამისი საქმის წარმოება, რათა მოხდეს მავნე გავლენის აღმოფხვრა როგორც პოლიტიკურ, ასევე სასამართლო და ეკონომიკურ სფეროებში;
- სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის პერიოდული, გამჭვირვალე და ეფექტიანი მონიტორინგის წარმოება.

არსებული მდგომარეობა:


საქართველოს ძალისხმევა დეოლიგარქიზაციის განსახორციელებლად თავდაპირველად სპეციალური კანონის მიღებაზე იყო ორიენტირებული („პერსონალური მიდგომა“). თუმცა 2023 წლიდან ვენეციის [კომისიის რეკომენდაციების](#) შესაბამისად, საქართველო სისტემურ მიდგომაზე გადაერთო. (უფრო დეტალურად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციებზე იხ. [ანალიზი](#)). ევროკომისიის ანგარიშის შემდგომ, საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 27 ნოემბერს საბოლოოდ დაამტკიცა „საქართველოში ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერესების გადაჭარბებული გავლენის თავიდან არიდების [სამოქმედო გეგმა](#)“. 2024 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში არ განხორციელებულა არცერთი საკვანძო მნიშვნელობის რეფორმა, რომელსაც დადებითი გავლენა ექნებოდა სახელმწიფო ორგანოებში ოლიგარქიული მმართველობის შემცირებაზე.

 დამტკიცებულია დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა. საქართველომ უარი თქვა სპეციალური კანონის მიღებაზე და აირჩია სრულად სისტემური მიდგომა.


 საქართველომ დაიწყო დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილის იმპლემენტაცია, მათ შორის, შეასრულა ან/და მიმდინარეობს მუშაობა GRECO-ს, MONEYVAL-ისა და FATF-ის რეკომენდაციების ნაწილის აღსასრულებლად. ინფორმაცია დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის არსებული რედაქციის შესრულების ანგარიშის შესახებ არ მოიპოვება.


 საკვანძო ინსტიტუციური რეფორმები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დეოლიგარქიზაციის ვალდებულების სათანადოდ შესრულებისთვის არ

ხორციელდება ან არსებითი ხარვეზებით მიმდინარეობს (სანიმუშოდ იხ. ნაბიჯი N6: მართლმსაჯულება და ნაბიჯი N7: ანტიკორუფციული რეფორმა).

 არსებული მდგომარეობით, სამოქმედო გეგმა, დამტკიცების შემდგომ აღარ განახლებულა.

გამოწვევები:

 დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა არ არის ამბიციური და არ მოიცავს ან არასრულად/არასწორად მოიცავს საკვანძო სისტემურ რეფორმებს. გეგმა არ შეიცავს სიღრმისეულ მულტისექტორულ მიდგომას და დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის მექანიზმების გაძლიერებას.

 დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და აღსრულების მონიტორინგის ეტაპზე არ იყო/არის უზრუნველყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.

2024 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში არ განხორციელებულა არცერთი საკვანძო ინსტიტუციური რეფორმა, რომელსაც გავლენა ექნებოდა საჯარო დაწესებულებებში ოლიგარქიული გავლენების შემცირებაზე. ამგვარი რეფორმის განხორციელება არც დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის ნაწილი გამხდარა. დეოლიგარქიზაციისთვის საჭირო საკვანძო რეფორმებზე მუშაობა საქართველოში შეჩერებულია.

ნაბიჯი N9

ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

შესასრულებელია



ევროკავშირის მოთხოვნა:

ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის ამბიციური სტრატეგიის განხორციელების და შეკრებისა და გამომხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის გზით. მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებების დაწყება ინციდენტებზე, რომლებიც ეხება დაუცველი ჯგუფების, მედიის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების უსაფრთხოებას, და ძალადობაში დამნაშავე პირებისა და ორგანიზატორების გასამართლება. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების წარმოება და თანამშრომლობა, რაც მათ საშუალებას მისცემს არსებითად ჩაერთონ საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში, და მათი თავისუფალი მუშაობის უზრუნველყოფა

* მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA), სოციალური სამართლიანობის ცენტრის (SJC), საქართველოს დემოკრატიული ინციატივის (GDI), რონდელის ფონდის (GFSIS), საფარის და დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ



მოლოდინები:

- რუსული კანონის გაუქმება და მიმდინარე კურსის შეცვლა, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას და *ლე ფაქტო* იწვევს გაწევრიანების პროცესის [შეჩერებას](#).
- ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების დასრულება ინკლუზიური მიდგომის საფუძველზე და მასში სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინება; ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერება; სიძულვილის ენისა და სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისთვის ეფექტიანი ზომების გატარება;
- სახელმწიფო სტრატეგიების დამტკიცება ყველა ტიპის სიძულვილსა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დასაცავად;
- 2021 წლის 5 ივლისს ჩადენილი ძალადობის გამოძიება და ორგანიზატორების დასჯა; ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში ლგბტქი+ თემის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების უფლების დაცვა, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების ფართო მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის შეცვლის გზით;
- სამართლებრივი რეაგირება 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე ძალის გადამეტებისა და არაპროპორციული ზომების გამოყენების შემთხვევებზე;
- სამართლებრივი რეაგირება 2024 წლის აპრილსა და მაისში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (რუსული კანონი) კანონის წინააღმდეგ

გამართულ აქციებზე, ძალის გადამეტებისა და არაპროპორციული ზომების გამოყენების შემთხვევებზე;

- ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათ წინააღმდეგ თავდასხმებზე დროული, მიუკერძოებელი და ჯეროვანი სამართლებრივი რეაგირება, მათ შორის 2021 წლის 5 ივლისს 50 ჟურნალისტის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის კონტექსტში;
 - საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი დაახლოება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილის ენის შესახებ, მათ შორის, 2008 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით რასიზმისა და ქსენოფობიის გამოსატვის ცალკეულ ფორმებთან ბრძოლის შესახებ;
 - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალ კანონში ხარვეზების აღმოფხვრა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერება ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა ახალი რეგულაციების ადეკვატური იმპლემენტაციის მიზნით;
- გენდერული თანასწორობის ეროვნული გეგმის შემუშავებისას ყველა იმ საერთაშორისო რეკომენდაციის გათვალისწინება, რომელიც საქართველოს მიმართ გამოცემულა. მათ შორის, ქართული კანონმდებლობის სტამბულის კონვენციასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

სამოქალაქო საზოგადოებისა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

- სამოქალაქო საზოგადოებასთან, აკადემიურ წრეებსა და ოპოზიციასთან ფართო კონსულტაციების მეშვეობით ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის გადასინჯვა სახალხო

- დამცველის, სამოქალაქო საზოგადოებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოჭრილი მთავარი საკითხების გათვალისწინება;
- მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების ყოვლისმომცველი სისტემის განვითარება, რათა შეფასდეს ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და სტრატეგიების იმპლემენტაციის დონე;
- სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან კონფრონტაციული რეჟიმის შეწყვეტა და მათი საქმიანობისთვის ხელის შემშლელი კანონების გაუქმება და არმიღება; მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობის დაწყება, განსაკუთრებით 9 ნაბიჯის შესრულების კონტექსტში;
- სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისთვის და მასთან თანამშრომლობისთვის ყოვლისმომცველი სახელმწიფო სტრატეგიის ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით შემუშავება და დამტკიცება; კანონპროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების კონტრიბუციისთვის ქმედითი მექანიზმის შექმნა და მათი მოსაზრებების გაზიარება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული [სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს](#) ინსტიტუტის ჩართულობის ქმედუნარიან ინსტრუმენტად ჩამოყალიბება;
- სამინისტროებთან სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საკონსულტაციო საბჭოების აღდგენა და აქტიურად გამოყენება დარგობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებასთან რჩევებისა და პოზიციების გაზიარებისა და შეჯერებისთვის;
- სამოქალაქო აქტივისტების დევნის (მათ შორის, სატელეფონო ზარების მეშვეობით), ფიზიკური ძალადობის, არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებისა და თანამშრომლების პირადი უძრავი და მოძრავი ნივთების დაზიანების საქმეებზე ეფექტური რეაგირება და გამოძიება;

წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფა

პირადი ცხოვრების დაცულობის უზრუნველყოფა

პირადი ცხოვრების უფლების დაცულობისთვის ფარული მიყურადების და ჩაწერის სისტემის სრულყოფილი გადახედვა. მოქმედი რეგულაციებით ხშირია დუბლირება სხვადასხვა საგამოძიებო უწყებას შორის და იქმნება ფარული ღონისძიებების არამართლზომიერად გამოყენების რისკები. საჭიროა, ფარული მიყურადების და ჩაწერის ღონისძიებებზე ზედამხედველობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის (მათ შორის, სასამართლო კონტროლის ხარისხის ზრდა ცალკეული ტიპის საქმეებზე და ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება) სრულყოფილად გადახედვა;

თანასწორი უფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა

- ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში ლგბტქი+ თემის უფლებების, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის საკითხების ასახვა. ასევე, პირადი ცხოვრების დაცულობის ეფექტური მექანიზმების და წამებასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინება;
- ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად სამართლებრივი ჩარჩოსა და მათი განმანორციელებელი მექანიზმების გაძლიერება და სრულყოფა;
- ეთნიკური უმცირესობებისთვის რეგულარული, დემოკრატიული და ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის ჩამოყალიბების მიზნით, სამთავრობო და საპარლამენტო დონეზე ამგვარი საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც, ცენტრალურ, ისე

ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების დაბალი პოლიტიკური რეპრეზენტაციის ფონზე;

- ქალი აქტივისტების და უფლებადამცველების უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა და მათზე განხორციელებული ფიზიკური, ვერბალური და კიბერთავდასხმების და ძალადობის გამოძიება, განსაკუთრებით ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა თემში. ულტრამემარჯვენე და ნაციონალისტური ძალების მიერ უმცირესობების მიმართ თავდასხმების აღკვეთა;
- სახალხო დამცველის აპარატის ქვეშ არსებული უმცირესობათა საკონსულტაციო მექანიზმის გაძლიერება;
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ასევე, ლგბტქი+ ადამიანების უფლებების ეფექტიანი დაცვისთვის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერების, ისევე, როგორც შესაბამისი სამოქმედო გეგმების დამტკიცების პროცესში “დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ” სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშების (2021-2023 წლები) რეკომენდაციების გათვალისწინება;
- სახალხო დამცველის მანდატის გაძლიერება, რათა მას შეეძლოს სავალდებულო სახით ინფორმაციის გამოთხოვა კერძო ორგანიზაციებისა და პირებისგან ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. ამასთან, დისკრიმინაციის საქმეებზე სახალხო დამცველის მიერ სასამართლოში მიმართვის ვადის 1 წლამდე გაზრდა;
- [ნულოვანი ტოლერანტობის](#) პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება ყველა ფორმის დისკრიმინაციის და ძალადობის/დისკრიმინაციის მოწოდების წინააღმდეგ;
- ლგბტქი+ და სხვა ჯგუფების დასაცავად ყოვლისმომცველი და მრავალგანზომილებიანი სახელმწიფო პოლიტიკის განვითარება და განხორციელება,

მათ წინააღმდეგ საზოგადოებაში არსებული შეუწყნარებლობისა და ცრურწმენების აღმოფხვრა, გამიზნული ცნობიერების ამაღლების კამპანიებით;

- სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის, ასევე, რელიგიის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, ძალადობის მასშტაბის სამწუხარო ზრდასთან ერთად, სპეციალიზებული საგამოძიებო განყოფილების შექმნისა და გამოძიების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო სხვა ხელშესახები ინსტიტუციური ღონისძიებების შესახებ მსჯელობის [დაწყება](#);
- ულტრა-მემარჯვენე რადიკალურ ჯგუფებთან და ანტიგენდერულ მოძრაობებთან გამკლავების და პრევენციის თანმიმდევრული პოლიტიკის, შემუშავება და მათი მხრიდან მომდინარე ძალადობის [პრევენცია](#);
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთა დაცვის და დახმარების მიზნით შესაბამისი სახელმწიფო სერვისების შემუშავება და დანერგვა;
- სიძულვილის ენისა და სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოწვევების საპასუხოდ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, ყველა ტიპის სიძულვილსა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის სტრატეგიის მიღების გზით;
- 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის დროული და ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების და სახალხო დამცველის მიერ მოგროვებული მტკიცებულებების დიდძალი რაოდენობის გათვალისწინებით, და ორგანიზატორებისა და წამქეზებლების დასჯა. ასევე, 2023 წლის 8 ივლისის მოვლენების გამოძიება და დამნაშავეების დასჯა;
- გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მოსამართლეებისა და სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლების (განსაკუთ-

რებით, რეგიონებში) კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობა გენდერული მგრძობელობის და მსხვერპლზე ორიენტირებული მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად;

- გენდერულ კვლევებთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღდგენა და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ხელშეწყობა;

შეკრების და გამოსატვის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესება

- შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ეუთო/ოღირის [დასკვნის](#) შესაბამისად მანიფესტაციების დროს დროებითი კონსტრუქციების მოწყობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების მიღებაზე უარის თქმა. ამასთან, შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების პრაქტიკაში უმაღლესი სტანდარტით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში;
- დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სისტემურ ცვლილებაზე მუშაობის დაწყება. კოდექსის ცვლილების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები. მათ შორის, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა უფლებების არასათანადო დაცვის გარანტიების გაუმჯობესება, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაუმჯობესება ისე, რომ დაკავებულებს არ უწევდეთ მათი უდანაშაულობის მტკიცება, დაკავების კანონიერების შემოწმების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის არსებობა და სხვა;
- საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების სასამართლო საქმეების სამართლიანი სასამართლოს უფლების სტანდარტების შესაბამისად განხილვა;

- მედიის საქმიანობაში ხელშეშლის პრევენციის მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის ცვლილებაზე მუშაობის დაწყება;
- სასამართლოების მიერ კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების გაჩუმების მიზნით, ცილისწამების საფუძვლით დაწყებული დავების გამოსატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტებით განხილვა და გადაწყვეტა;
- ხელისუფლების მიერ მედიის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონების პარლამენტში ინიცირებისგან თავის შეკავება, ხოლო უკვე არსებული კანონმდებლობის გადახედვა და გამოსატვის და მედიის თავისუფლების მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- საჯარო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში გაცემა;
- ხელისუფლების მიერ ოპოზიციური მედიების მფლობელთა უსაფუძვლო სამართლებრივი დევნის დაუშვებლობა;
- ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჟურნალისტთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანად გამოძიება;
- მაღალი თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან მედიის მადისკრედიტირებელი ნარატივების გავრცელებისა და კამპანიების განხორციელებისგან თავის შეკავება;

არსებული მდგომარეობა:

✗ საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის 28 მაისს მიიღო რუსული კანონი (საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“), რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების სტიგმატიზაციას და მათი საარსებო სივრცის შევიწროებას იწვევს. აღნიშნული კანონის ინიცირებისა და მიღების პროცესი ადამიანის უფლებების მძიმე და სისტემური დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა არაერთხელ და ცხადად განმარტა, რომ კანონის სულისკვეთება და შინაარსი შეუსაბამოა ევროკავშირის ძირითად ნორმებთან და ღირებულებებთან, კანონის გუქმებისთვის ნაბიჯები არ გადადგმულა.

✗ 2024 წლის აპრილსა და მაისში რუსული კანონის საწინააღმდეგო მასობრივი საპროტესტო აქციები სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების, მათ შორის, სამართალდამცავთა მხრიდან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტების ფონზე მიმდინარეობდა, თუმცა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს პროკურატურას ამ დრომდე არ გაუვრცელებიათ ინფორმაცია აქციებზე მოძალადე საპოლიციო ძალების წარმომადგენლების გამოვლენისა და ბრალდების შესახებ. 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე ძალის გადამეტებისა და არაპროპორციული ზომების გამოყენების შემთხვევები დღემდე არ არის გამოძიებული.

✗ ჟურნალისტური საქმიანობის ხელისშემლისთვის გამოძიება ტენდენციურად იწყება სამთავრობო პროპაგანდისტური მედიების შემთხვევაში, თუმცა არაეფექტიანია, ან საერთოდ არ იწყება ოპოზიციური ან/და ნეიტრალური მედია საშუალებებისთვის.

✗ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრებისა და ლიდერების მიმართ მუდმივად მიმდინარეობს სამთავრობო პროგრაპაგანდა, რაც გამოხატულია მათი სახელით, სოციალურ ქსელში დეზინფორმაციის გავრცელებით, მათი გამოსახულებით შეურაცხმყოფელ პოსტერებსა და საარჩევნო კამპანიების ვიდეოებში.

✗ 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორებიდან არცერთი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ არის. შეინიშნება კრიტიკული ჟურნალისტების მიმართ ძალადობის და შევიწროების ტენდენცია (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება, 2024). ამასთან, რუსული კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე გამოვლინდა ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობისა და საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები.

✗ ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიაში ლგბტქი+ ადამიანების უფლებები კვლავ არ არის ასახული, რაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა განსაკუთრებით კრიტიკულად შეაფასა და ხელისუფლებას, სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიაში ლგბტქი+ ადამიანების უფლებების დაცვისათვის საჭირო ყოვლისმომცველი და ინკლუზიური ზომების დროული ასახვისაკენ მოუწოდა, ასევე, სახალხო დამცველის შეფასებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია არ უნდა იქნას ჩათვლილი, ყოვლისმომცველ და სრულფასოვან პოლიტიკის დოკუმენტად, რადგან იგი სხვა, სოციალური ჯგუფებისგან განსხვავებით, ლგბტქი+ ადამიანებსა და მათთან დაკავშირებულ უფლებრივ საკითხებს სრულად უგულავს. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ იმავე პრობლემური მიდგომებია გატარებული მთავრობის მიერ დამტკიცებულ 2024-2026 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაშიც. ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2024-2026 წლებისთვის),

არ იყო სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური ჩართულობით (კონსულტაციებით, შეხვედრებით, ერთობლივი მუშაობით) შემუშავებული და მოიცავდა მხოლოდ ერთჯერად, წერილობით ჩართულობას, რომლის შინაარსობრივი ნაწილიც არ იქნა გათვალისწინებული საბოლოო სამუშაო ვერსიაში.

✗ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში და 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმაში ლგბტქ+ ადამიანების უფლებების ასახვის და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერების ნაცვლად, ხელისუფლებამ 2024 წლის 3 აპრილს დააინიცირა ორი დისკრიმინაციული [კანონპროექტი](#): საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“. ასევე, პარლამენტმა 2024 წლის 4 სექტემბერს მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო ცვლილებების [ჰაკეტს](#), რომელიც „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მიღებას და 18 არსებულ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. აღნიშნული კანონპროექტები არ შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს და მათი მხოლოდ ინიცირებაც კი ქმნის ლგბტქ+ ადამიანების მიმართ მტრული და მასტიგმატიზებული ატმოსფეროს გაძლიერების [რისკს](#). 2024 წლის 6 სექტემბერს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა [წერილით](#) მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომლითაც პარლამენტის წევრებს მოუწოდა, თავი შეიკავონ „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის მიღებისაგან და ლგბტქ+ ადამიანების მასტიგმატიზირებული რიტორიკის გამოყენებისაგან.

⚠ ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლის სამოქმედო გეგმა და სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა ვერ პასუხობს

ყველა ტიპის სიძულვილსა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიზანს. სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები არ პასუხობს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წინაშე მდგარ სისტემურ გამოწვევებს, მათ შორის, კანონმდებლობაში რელიგიური დისკრიმინაციის ჩანაწერებს; საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში დაბრუნების (რესტიტუციის) საკანონმდებლო რეგულირების არარსებობას; ეთნიკური უმცირესობების დაბალ პოლიტიკურ რეპრეზენტაციას წარმომადგენლობით ორგანოებში და სუსტ მონაწილეობას საჯარო ცხოვრებაში; ეთნიკური უმცირესობების საჯარო სამსახურში სუსტ დასაქმებას; ეთნიკური უმცირესობების ნაკლებ ჩართულობას სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებში და მკვეთრ ასიმეტრიას ამ მიმართულებით. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტი ხელისუფლების მიერ შემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტებს, ინკლუზიურობისა და თანასწორობის პრინციპებთან შეუთავსებლობის მიზეზით [აკრიტიკებს](#) და მიიჩნევს, რომ სამოქმედო გეგმასა და ეროვნულ სტრატეგიაში, ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები სრულყოფილად არ იქნა ასახული (§40).

⚠ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში შეტანილ იქნა [ცვლილებები](#), თუმცა აღნიშნული არ ფარავს ვენეციის კომისიის [დასკვნაში](#) წამოჭრილ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი და საკონკურსო კომისიაში გენერალური პროკურატურის მონაწილეობა.

✗ 2022 წელს ცალკე შემუშავებულ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში, რომელიც მოიცავს ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიას, კვლავ არ არის გათვალისწინებული გრევიოს რეკომენდაცია ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის

შემთხვევაში ქმედების გენდერულ / ოჯახში ძალადობის კვალიფიკაციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საზოგადოებისა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

✗ 2024 წლის 1 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა “უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და [მონიტორინგის წესი](#)”, რომელიც ასევე ამტკიცებს იმ ფორმებს, რომლითაც ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილ ვებგვედზე საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ვენეციის კომისიის [შეფასებით](#), კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის წესი შესაძლოა მნიშვნელოვან ფინანსურ და ორგანიზაციულ ტვირთს წარმოადგენს ორგანიზაციებისთვის და მათი პერსონალისთვის და ხელს უშლიდეს მათი ძირითადი ფუნქციების განხორციელებას.

✗ სამოქალაქო აქტივისტების დევნის (მათ შორის, სატელეფონო ზარების მეშვეობით), ფიზიკური ძალადობის, არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებისა და თანამშრომლების პირადი უძრავი და მოძრავი ნივთების დაზიანების საქმეებზე დაწყებული გამოძიებები არაეფექტიანად, სამართლებრივი შედეგის გარეშე მიმდინარეობს.

✗ ასევე, ნაკლებად აქტიურია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების“ ფუნქციონირება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საბჭოები ნომინალურად შექმნილია ქვეყნის მუნიციპალიტეტების უმეტეს ნაწილში, რეალურად საბჭო პერიოდულად იკრიბება მხოლოდ ათამდე მუნიციპალიტეტში. ასეთ შემთხვევებშიც კი შეხვედრების ოქმები იშვითად ხდებიან საჯარო და, მით უმეტეს, ნაკლებად არის ცნობილი ისეთი ფაქტის შესახებ, როდესაც მუნიციპალიტეტმა გაითვალ-

ისწინა სამოქალაქო საბჭოს წევრების წინადადებები. ამ მიმართულებით, ასევე, აუცილებელია მონიტორინგის და შეფასების წარმოება.

✗ სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შემლახველი დისკურსი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან კვლავ გრძელდებოდა ბოლო თვეების განმავლობაში. კერძოდ, პარლამენტის წარმომადგენლებმა არა ერთხელ საჯაროდ კვლავ დაადანაშაულეს არასამთავრობო ორგანიზაციები ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებებში. ასევე, გრძელდება არასამთავრობო ორგანიზაციებზე [თავდასხმები](#) მათ უცხოურ დაფინანსებაზე მითითებით.

✗ „ქართულმა ოცნებამ“ [წარმოადგინა](#) მის მიერვე ჩატარებული არასიდრმისეული კვლევა სამოქალაქო სექტორის დაფინანსებასთან დაკავშირებით. კვლევის მეთოდოლოგიური გაუმართაობისა, მანიპულაციური ხასიათისა და მთელი რიგი ხარვეზებისა და [უზუსტობების](#) მიუხედავად, მასზე დაყრდნობით „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო სექტორი გაუმჭირვალეობაში კიდევ ერთხელ დაადასაშაულა.

პირადი ცხოვრების დაცულობის უზრუნველყოფა

✗ ფარული მიყურადების დონისძიებებზე ზედამხედველობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის ნაბიჯები არ გადადგმულა.

თანასწორი უფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა

ქალები

✗ გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტა პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რითაც გაუარესდა თანასწორობის მისაღწევად არსებული მექანიზმები. გენდერული კვოტების გაუქმება უარყოფ-

ითად შეაფასა [ვენეციის კომისიამაც](#). აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა, ევროპული პერსპექტივის მინიჭებისას, ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრულ [12 პირობათაგან](#) ერთ-ერთი იყო და ის შესრულებულად მიიჩნეოდა.

✗ სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშში ხაზს უსვამს, რომ სასამართლოსა და სამართალდამცავ უწყებებს ისევ უჭირთ გენდერული მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირება.

✗ მოქმედი კანონმდებლობა ისევ არ არის სრულ შესაბამისობაში სტამბულის კონვენციასთან, კერძოდ, გაუპატიურების დეფინიცია არ ეფუძნება თანხმობის არარსებობას.

ეთნიკური უმცირესობები

✗ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი, უახლეს [ანგარიშში](#), ეთნიკური უმცირესობების დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს არაეფექტიანობასა და მისი იმპლემენტირების მექანიზმების გაძლიერების საჭიროებაზე მიუთითებს. მოქმედი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, პრობლემურია მისი გამოყენებისა და მცირე მიმართვიანობის გამო. ამასთან, ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარვეზიანია, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციით განმტკიცებული უფლებებით სარგებლობაც, განსაკუთრებით ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქმედითი მონაწილეობის კუთხით (§35).

🕒 ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ არსებულ პრობლემებს სახელმწიფო აღიარებს და ბილინგვური განათლების მოდელის დასაწესებლად მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

(საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა, 2022). ასევე გადაიდგა ნაბიჯები უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად: 2024-2025 სასწავლო წლიდან ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (1+4) ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით [დაფინანსება გაორმაგდა](#) – სწავლა ყოველწლიურად 100-100 სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტის ნაცვლად 200-200 სტუდენტს დაუფინანსდება.

🕒 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ [ანგარიშში](#), შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აღნიშნავს, რომ „1+4 საგანმანათლებლო პროგრამაში“, 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, 11.7%-ით მეტი ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული სტუდენტი ჩაერთო. აღნიშნული პროგრამის დაწყებიდან დღემდე 30 სტუდენტების რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა (გვ.7-8).

🕒 უმაღლესი განათლების საფეხურზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობებისათვის, გამოწვევად რჩება სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო განათლებაზე წვდომა. სახალხო დამცველის [შეფასებით](#), განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები სათანადოდ ვერ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ პრობლემებს, რის შედეგადაც, არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები კვლავ მთელი რიგი პრობლემების წინაშე დგანან. ინფრასტრუქტურული პრობლემების მიღმა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, კვლავ არასაკმარისია კვალიფიციური კადრები და ხარისხიანი სასწავლო ლიტერატურა (§123-133).

✗ საანგარიშო პერიოდში, ხელისუფლებას არ გაუდგამს ქმედითი ნაბიჯები, ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გაუმჯობესებისათვის. სახელმწიფოს მიერ არჩეული ენობრივი პოლიტიკა, მნიშვნელოვნად ამცირებს ეთნიკური უმცირესობების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქმედითი ჩართულობის შანსებს, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისა და სახელმწიფო სერვისებით ქმედითი სარგებლობის კუთხით. მათივე შეფასებით, ეთნიკური უმცირესობების 63%, ცუდად ან ძალიან ცუდად ცნობს ქართულ ასოებს და კითხულობს სიტყვებს. 60%-ს ძალიან ცუდად ან ცუდად შეუძლია ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან კომუნიკაცია. ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტის შინაარსის გაგება ძალიან ცუდად ან ცუდად შეუძლია კიდეც უფრო დიდ ნაწილს (84%).

✗ სახელმწიფოს არ გააჩნია მკაფიო ხედვა ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციაზე, რასაც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ [ანგარიშიც](#) ადასტურებს - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობ ფაქტორად, უმეტესად ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოიაზრებს, რაც არასაკმარისია ეთნიკური უმცირესობების სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის მრავალმრიანი პროცესისათვის (გვ.8).

✗ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით უმცირესობების სოციო-ეკონომიკური მონაწილეობის გაზომვის ინსტრუმენტი გახდებოდა. ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში სახელმწიფომ აიღო აღნიშნული სტატისტიკის წარმოების ვალდებულება. სტატისტიკის არსებობა გამოავლენს იმ სფეროებს, სადაც სახელმწიფოს პოზიტიური ჩარევა არის საჭირო უმცირესობების სოციო-ეკონომიკური გარიყულობის [აღმოსაფ-](#)

[ხვრილად](#) (გვ.30-31). ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის [მრჩეველთა კომიტეტის შეფასებით](#), სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების გარეშე, შეუძლებელია ეთნიკურ უმცირესობებზე მორგებული სოციო-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი ეფექტიანობის შეფასება (§168).

✗ საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფოს არ გაუძლიერებია საჯარო სამსახურში ეთნიკური უმცირესობების დასაქმების, პოლიტიკური რეპრეზენტაციისა და მონაწილეობის ხარისხი, მათ შორიც არც, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობისთვის ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და თარგმანის რესურსების შექმნის გზით.

✗ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო [ანგარიშის](#) მიხედვით (გვ.307-308), ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში ეროვნული უმცირესობები წინა წლების მსგავსად, კვლავ ძალიან იშვიათად, ან/და ძირითადად არ არიან წარმოდგენილნი. ამის შესახებ აღნიშნულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ, საქართველოს მეხუთე პერიოდული ანგარიშის შეფასების საფუძველზე გაცემულ დასკვნაშიც. დაბალია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თვითმმართველობებში უმცირესობების წარმომადგენლობის მაჩვენებელიც.

✗ ISSA კვლევის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულთა მხოლოდ 36%-ია ეთნიკური უმცირესობა, ეს მაშინ, როდესაც მარნეულის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების საერთო რაოდენობა მოსახლეობის 91,4% შეადგენს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში იგივე მონაცემი კიდეც უფრო დაბალი იყო და მხოლოდ 14%-ს უტოლდება, მაშინ, როდესაც

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 69,1% ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში კი დასაქმებულთა მხოლოდ 21,5% ეთნიკური უმცირესობა, მიუხედავად იმისა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის 66,9% ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ. მძიმე ვითარებაა საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც. (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, ISSA, 2019, გვ.78)

✗ საქართველოს მთავრობა არ აწარმოებს ოფიციალურ სტატისტიკას საჯარო სამსახურში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ. ქვეყნის მასშტაბით საჯარო მოხელეთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მონაცემების შეგროვების ერთიანი პრაქტიკის და სანდო სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა, იმთავითვე გამორიცხავს ეთნიკური უმცირესობების დასაქმების ხარისხის ფაქტობრივ შესწავლასა და არსებული პრაქტიკის [გაუმჯობესებას](#). (გვ.308)

✗ არ შექმნილა ფორმალური, რეგულარული და დემოკრატიული საკონსულტაციო პლატფორმები მთავრობის და პარლამენტის დონეზე ეთნიკური უმცირესობების ინკლუზიური მონაწილეობისთვის და ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით, არც იგეგმება მათი შექმნა უახლეს წლებში.

✗ სახელმწიფოს არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები არსებული საკონსულტაციო პლატფორმების გაუმჯობესებისაკენ. სახალხო დამცველის [შეფასებით](#), მოქმედი საკონსულტაციო მექანიზმები ეთნიკური უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. საკონსულტაციო ორგანოებთან თანამშრომლობის, კონსულტაციის ვალდებულება კანონმდებლობაში გაწერილი არ არის. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკონსულტაციო ორგანოების ჩართულობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს, შესაბამისად, საკონსულ-

ტაციო მექანიზმების საქმიანობას საქართველოში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოსთან ინსტიტუციონალიზებული დიალოგის ფორმა არ აქვს (გვ.307). საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერებისკენ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტიც, საქართველოს მეცხრე და მეთექვრთხეტიანი პერიოდული ანგარიშების შეფასების საფუძველზე გამოცემულ [დასკვნაშიც](#). (§12)

✗ ევროპის საბჭოს უახლესი [რეკომენდაციების](#) მიუხედავად, კვლავ არ გაძლიერებულა სახალხო დამცველის აპარატის ქვეშ არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკონსულტაციო პლატფორმები. კვლავ ბუნდოვანია ეთნიკურ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოების კომპეტენციები და როლები.

✗ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული ქალი უფლებადამცველების მიმართ განსაკუთრებით მაღალია ფიზიკური თავდასხმისა და ძალადობის რისკი, ვინაიდან მათი ინტეგრაცია ხელისუფლების მიერ არ არის მხარდაჭერილი და ისინი ხშირად, ულტრამემარჯვენე და ულტრანაციონალისტური ჯგუფების რისხვის ადრესატი [ხდებიან](#). სამწუხაროდ, ამ დრომდე მსგავსი ინციდენტები სათანადოდ გამოძიებული და დამნაშავე პირები იდენტიფიცირებული არ არიან.

რელიგიური უმცირესობები

✗ ხელისუფლებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები რელიგიური უმცირესობების უფლებების დასაცავად და შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრებად. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის [შეფასებით](#), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები, კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ, მათ შორის შემსუბუქებული საგადასახადო და ქონებ-

რივი ვალდებულებებით (გვ.4). ამასთან, შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები, სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულებისაგან, ექსკლუზიურად, მხოლოდ მართლმადიდებელი სასულიერო პირებს ათავისუფლებს, რაც კომიტეტის აზრით, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური კონფესიებისადმი არათანასწორ მოპყრობაზე მიუთითებს.

✗ მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სახელმწიფო ვერ პასუხობს ქართველი მუსლიმების თემის წინაშე მდგარ გამოწვევებს, რომელიც მათი უსაფრთხოების, რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვის წუხილებს უკავშირდება. აღიგნელი მუსლიმი მოსახლეობა ვეღარ ახერხებს ყოველკვირეულად ლოცვის მიზნით შეკრებას, რადგან, მუსლიმი თემის კოლექტიური ლოცვის ეს პრაქტიკა მიუღებელია ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებისა და მრევლისთვის. [2024 წლის 8 მარტს](#), დაბა აღიგნში რელიგიური მიზნით მოქმედი შენობის მესაკუთრის, იმამ მერაბ (იუსუფ) მიქელაძის მიმართ ძალადობრივი მუქარის და სიძულვილის ენის იქნა გამოყენებული. ინციდენტი [5 აპრილსაც განმეორდა](#). აშკარაა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო ადგილზე შექმნილი კონფლიქტის რეგულირება და საკითხის იმგვარი მოგვარება, რომ ერთი მხრივ დაცული ყოფილიყო ადგილზე უსაფრთხოება და მუსლიმი თემის რელიგიის თავისუფლება, მეორე მხრივ, კი სიტუაციის ესკალაციის გრძელვადიანი პრევენცია უზრუნველყო. სამწუხაროდ, სახელმწიფომ ამ დრომდე არ უზრუნველყო არც მომხდარ ინციდენტებზე გამოძიების დაწყება, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ისეთი დანაშაულის ნიშნები, როგორცაა რელიგიური წესის აღსრულების უკანონო ხელშეშლა და დევნა.

✗ [გამოწვევად რჩება](#) საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების საკითხიც (გვ.174). სამწუხაროდ, დღემდე არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რომლის შედეგადაც

სახელმწიფო საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა აღიწერებოდა და შეფასდებოდა.

✗ სახალხო დამცველი არაერთი წელია პარლამენტის მიმართ [გაცემს წინადადებას](#), რომლითაც მოუწოდებს საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს შრომის კოდექსში გაწეროს ალტერნატიული საკანონმდებლო დათქმა, რათა არამართლმადიდებელ მოსახლეობას, მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული დასვენებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია, ამ დრომდე არ შესრულებულა. (გვ.174)

✗ კვლავ გადაუჭრელია რელიგიური უმცირესობებისათვის, რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის სამშენებლო ნებართვის გაცემის დისკრიმინაციული ადმინისტრაციული პრაქტიკაც. სახალხო დამცველი დანაშაულებით აღნიშნავს ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხს და [მიიჩნევს](#), რომ მეჩეთის მშენებლობაზე უარის გადაწყვეტილება, პასუხისმგებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე მიიღო (გვ.180).

ღობტქი+ ადამიანები

✗ ღობტქი+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. თემის წევრები კვლავ ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლები არიან.

✗ 2024 წლის 4 აპრილს, „ქართულმა ოცნებამ“ [ჰომოფობიური საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი](#) დააინიცირა. „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის“ შესახებ ახალი კონსტიტუციური კანონის პირ-

ველი ხუთი პუნქტი ადამიანის იდენტობისა და პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დათქმებს, მათ შორის, ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის სერვისების და გენდერის სამართლებრივი აღიარების ამკრძალავ ჩანაწერს ითვალისწინებს, ბოლო სამი კი შეკრებასა და ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ აკრძალვებს შეეხება.

✗ “ქართულ ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვს, ამდენად მოქმედი პარლამენტი ვერ შეძლებს საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის საჭირო მხარდაჭერის მოპოვებას, რის გამოც, მმართველმა პარტიამ, 2024 წლის 4 ივნისს, ლგბტქი+ ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების მზღუდავი, [ახალი, მასშტაბური, 19 კანონპროექტისგან შემდგარი პაკეტი](#) დააინიცირა. საკანონმდებლო ცვლილების სამართლებრივი საფუძველი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ ძირითადი კანონპროექტია, დანარჩენი 18 კანონის პროექტი კი, დამატებით სხვადასხვა მოქმედ კანონში ცვლილებას შეეხება. პარლამენტმა „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი ორი [მოსმენით უკვე მიიღო](#).

✗ ხელისუფლების მიერ ინიცირებული ჰომოფობიური საკანონმდებლო ცვლილებები ლგბტქი+ ადამიანებს, [საბაზისო უფლებრივი გარანტიების მიღმა ტოვებს](#), აწესებს დისკრიმინაციულ შეზღუდვებს პირადი ცხოვრების დაცულობასთან დაკავშირებით, ექსპლიციტური საკანონმდებლო ჩანაწერებით კრძალავს ლგბტქი+ საკითხებთან დაკავშირებულ გამოსატყვასა და შეკრებას. საგანგაშოა, რომ „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსაზღვრული.

✗ ხელისუფლება არათუ ცდილობს ნულოვანი პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავებას ყველა ფორმის დისკრიმინაციის მოწოდების წინააღმდეგ, დღეს იგი თავად წარმოადგენს იმ ძირითად აქტორს, რომელიც ლგბტქი+ ადამიანების საბაზისო უფლებების აღიარებას ნორმატიულად უპირისპირდება და ლგბტქი+ ადამიანების წინააღმდეგ ყველაზე მარგინალურ პოლიტიკურ და სოციალურ დისკურსებს იყენებს. ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვებისას მმართველი პარტიის წევრები დიად პოლიტიზებული [ჰომოფობიით გამოირჩეოდნენ](#)-გზავნილები „ღგბტ პრო-პაგანდის“ ბავშვებზე მავნე ზეგავლენის შესახებ, სენსიტიურ თემებზე აპელირების გზით ხელისუფლების მიმართ მხარდაჭერის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

✗ ხელისუფლების მხრიდან ჰომოფობიის ამგვარ პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზებას, უკვე აქვს გარკვეული შედეგები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაგალითისათვის, ჰომოფობიური ენა შესამჩნევი გახდა პოლიციის რუტინულ საქმიანობაშიც.

ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები

⌚ მართალია, ბოლო წლებში არსებითად გაუმჯობესდა ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა დისკრიმინაციის შემთხვევებზე ინდივიდუალური დავებისთვის, თუმცა, არ არსებობს თანასწორობის პოლიტიკის სპეციალური სამოქმედო გეგმა და მაღალ დონეზე ამგვარი პოლიტიკის კოორდინაციისა და კონსულტირების მექანიზმები (განსაკუთრებით, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისთვის, ასევე, ლგბტქი+ ადამიანებისთვის). აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებული ცვლილებებით აღნიშნულ პროგრესს საფრთხის ქვეშ აყენებს.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირება

✗ ხელისუფლება, როგორც წესი, რუტინულად იწყებს გამოძიებას სიძულვილით მოტივირებულ საქმეებზე, თუმცა ის აშკარა ლოიალობას იჩენს იმ ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების მიმართ, ვინც უკვე წლებია ლგბტქი+ აქტივისტებს ხელს უშლის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაში და მათ წინააღმდეგ ძალადობრივ დარბევებს ახორციელებს.

✗ დღემდე, 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორებიდან არც ერთი სისხლისსამართლის პასუხისგებაში მიცემული არ არის. (საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი №21/237 განცხადებაზე)

✗ სახელმწიფოს არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები ულტრამემარჯვენე, რადიკალური ჯგუფების მხრიდან მომდინარე ძალადობის პრევენციისთვის და ეფექტური რეაგირებისთვის. არ არსებობს სტრატეგია ან სახელმწიფოს ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამ ჯგუფებთან გამკლავების თანმიმდევრულ პოლიტიკას შეიმუშავებს.

✗ შეინიშნება კრიტიკული ჟურნალისტების მიმართ ძალადობის და შევიწროების ტენდენცია. (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის [შეფასება](#), 2024).

✗ სახელმწიფო არასაკმარის მნიშვნელობას ანიჭებს და [ნაკლებად იძიებს](#) რელიგიისა და რასის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს (გვ.12);

✗ 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, 50%-ით შემცირდა რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2021 წელთან შედარებით კი, აღნიშნული ტენდენცია 66%-ითაა შემცირებული. ამასთან, 16,6%-ით შემცირდა რასის

ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელიც.

✗ დრამატულადაა შემცირებული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ტენდენცია. 2022 წელთან შედარებით (გვ.2), 2023 (გვ.2) წელს აღნიშნული მაჩვენებელი 81%-ით შემცირდა.

⚠ მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მსჯავრდებულთა რიცხვი, აღნიშნული ზრდა განპირობებულია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მსჯავრდებულთა რიცხვის [ზრდის ხარჯზე](#).

⚠ ხელისუფლების პოზიციას, რომ სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის, ასევე, რელიგიის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად სპეციალური მექანიზმის შექმნის საჭიროება არ დგას და მის ნაცვლად გეგმავენ სპეციალიზირებული გამოძიებლების რესურსის შექმნას. ამგვარი სპეციალიზირებული გამოძიებლების რესურსის შექმნა დაპირება მთავრობას რამდენიმე წლის წინაც ჰქონდა. აღნიშნული პოზიცია გაჟღერდა ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრასა და სხვადასხვა სამუშაო შეხვედრის ფორმატშიც.

✗ სახელმწიფოს არ აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის გრძელვადიანი სამუშაო სტრატეგია, რომელიც, მათ შორის, გულისხმობს ცალკეული სოციალური ჯგუფების მიმართ (მათ შორის, ლგბტქი+, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები) არსებული ნეგატიური წინასწარგანწყობების ცვლილებას და თანასწორობის, მულტიკულტურალიზმის და სხვა პროგრესული იდეების ინკლუზიას სხვადასხვა პროგრამასა და კამპანიაში.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთა დაცვა

⌚ დღევანდელი მოცემულობით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის სახელმწიფოს ბაზაზე მოქმედებს შვიდი კრიზისული ცენტრი და ხუთი თავშესაფარი, თუმცა მათი გეოგრაფიული დაფარვა არასაკმარისია ძალადობის მსხვერპლებისთვის. (ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მხარდამჭერი სერვისები და მექანიზმები საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023. გვ. 42-45)

✗ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლებს (გარდა გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ან ოჯახში ძალადობისა) არ აქვთ ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სერვისებზე/თავშესაფრებზე/კრიზისულ ცენტრებზე.

⌚ არ არსებობს მსხვერპლთა გრძელვადიანი დახმარების და გაძლიერების მექანიზმები და რესურსები, განსაკუთრებით, მათ საცხოვრებელთან დაკავშირებული საჭიროებების საპასუხოდ.

შეპრების და გამოხატვის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესება

✗ აპრილ-მაისში, რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს, სამართალდამცავებმა უკანონოდ და არაპროპორციულად, არაერთხელ გამოიყენეს იძულებითი ღონისძიებები - ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები. ამასთან, სამართალდამცავებმა არც ერთხელ არ დაიცვეს აქციის დაშლის წინ, აქციის მონაწილეების წინასწარი გაფრთხილების [ვალდებულება](#) (გვ. 27);

✗ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული აქციების დროს, სამართალდამცავებმა მედიის წარმომადგენლებს პროფესიული საქმიანობის განხორციე-

ლებაში არაერთხელ შეუშალეს ხელი (გვ. 39). კანონპროექტის განხილვის პროცესში ონლაინ და ბეჭდურ მედიებს აკრძალათ საქართველოს პარლამენტში შესვლა.

✗ „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ აქციებზე 300-ზე მეტი პირი დააკავეს. დაკავებულებს, როგორც წესი, არ განემარტებოდათ დაკავების საფუძველი და მათი საპროცესო უფლებები. ხშირად უზღუდებოდათ ადვოკატის ყოლის უფლება. შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს არ აწვდიდა ინფორმაციას დაკავებული პირების ადგილსამყოფლის შესახებ (გვ. 41). დაკავებული აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესების 90 პროცენტზე მეტში დაკავებული პირები სასამართლომ სამართალდამრღვევად სცნო და მათ წინააღმდეგ სანქციის სახით გამოიყენა ჯარიმა;

✗ რუსული კანონის წინააღმდეგ აქციებზე დაკავებული მოქალაქეების ნახევარზე მეტი მიუთითებს სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე.

✗ “რუსული კანონის” საპროტესტო აქციის მონაწილეების დიდი ნაწილი დაჯარიმდა “გზის გადაკეტვისათვის” ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით, რეალური საფუძვლის გარეშე, საპროტესტო აქციებში მონაწილეობის პრევენციის მიზნით.

✗ ხელისუფლების მიერ დიად მხარდაჭერილმა ორგანიზებულმა ჯგუფებმა აქციის მონაწილეთა დაშინების მიზნით, არაერთხელ გამოიყენეს ფიზიკური ძალა და კოორდინირებული მუქარის კამპანია აწარმოეს, რაც ასევე უარყოფითად აისახება შეკრებისა და გამოხატვის უფლების სრულფასოვნად რეალიზებაზე (გვ. 42).

✗ პარლამენტს დროებითი კონსტრუქციების მოწყობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო ჯერ არ დაუძლევა, თუმცა, ასევე, არ უთქვამს უარი აღნიშნული ცვლილებების მიღებაზე.

✗ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2024 წლის [სამოქმედო გეგმაში](#), წინა წლების სამოქმედო [გეგმების](#) მსგავსად, გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალ კოდექსზე მუშაობა. მიუხედავად ამისა, დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით ამ დრომდე არ დაწყებულა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემურ ცვლილებებზე მუშაობა.

✗ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის ცვლილებაზე მუშაობა არ დაწყებულა.

✗ კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების გაჩუმების მიზნით, კვლავ გრძელდება ცილისწამების სარჩელების (SLAPP) აღძვრა. საერთო სასამართლოები აღნიშნულ საქმეებს კვლავ გამოსატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტების საწინააღმდეგოდ, განიხილავენ და მათი უმრავლესობა ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ან თავად ხელისუფლების წარმომადგენლების სასარგებლოდ სრულდება.

✗ კვლავ პრობლემურია ჟურნალისტებისთვის შექმნილი საკანონმდებლო ბარიერები, მაგალითად, 2023 წლის 19 ოქტომბერს მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რეგულაცია სასამართლო პროცესის გადაღების შესახებ და პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის წესის შესახებ (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის [შეფასება](#), 2024).

✗ პრობლემად რჩება ჟურნალისტების საჯარო ინფორმაციაზე წვდომის [მეზღუდვა](#).

✗ კვლავ პრობლემურია ჟურნალისტების მიმართ ძალადობის გამოუძიებლობა და მათზე ძალადობა, განსაკუთრებით, საპროტესტო აქციების გაშუქების კონტექსტში. რუსული კანონის ინიცირების შემდგომ კიდევ უფრო განხირდა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და ხელშეშლის შემთხვევები (მედიის ადვოკატირების კოალიციის [განცხადება](#); საია, [საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ](#), 2024.).

✗ აღნიშვნის ღირსია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ოპოზიციური მაუწყებლების დაჯარიმების პრაქტიკა არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით. მაგალითად, კომუნიკაციების კომისიამ ვიდეორგოლში რუსული კანონის ხსენება ქართული ოცნებისთვის ხელისშემშლელ პოლიტიკურ რეკლამად მიიჩნია და მისი არაწინასაარჩევნო პერიოდში განთავსების გამო “მთავარი არხი” დააჯარიმა.

✗ საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები უსაზღვრებოდ“ (RSF) გამოაქვეყნა პრესის თავისუფლების ტრადიციული ინდექსი, რომლის მიხედვითაც 2024 წლის რეიტინგში საქართველოს პოზიცია წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესებულია. კერძოდ 2023 წელთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა 26 პოზიციით გაუარესდა და 103-ე ადგილს იკავებს.

გამოწვევები:

! რუსული კანონი ქმნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და მედია ორგანიზაციების სტიგმატიზაციის, გაჩუმების და, საბოლოოდ, გაქრობის [საფრთხეს](#). ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციების და მედიის გაქრობა უარყოფითად აისახება ღია, ინფორმირებულ საჯარო დისკუსიაზე, პლურალიზმზე და დემოკრატიაზე. აღნიშნული კანონის მიღება [უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს](#) ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯის შესრულების გზაზე.

! გამოწვევად რჩება ჟურნალისტების და აქტივისტების საქმიანობაში ხელშეშლის, საპროტესტო აქციებზე მათი დაკავების, ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, ასევე, მედიის და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მტრულად განწყობილი რიტორიკა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ([Commission, Georgia 2023 Report](#); [მედიაკთალიციის განცხადება](#); [საია](#), [საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ](#)).

! მიუხედავად ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის არსებობისა, რელიგიური უმცირესობები თავიანთი უფლებების რეალიზებისთვის გამოწვევებს აწყდებიან, მათ შორის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების [არაეფექტიან გამოძიებას](#). (გვ.33)

! ინიცირებული კონსტიტუციური კანონის [პროექტები](#), „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მასთან დაკავშირებული ცვლილებების [პაკეტი](#) ახდენს ლგბტი+ ადამიანების სტიგმატიზაციას, ახალისებს ჰომოფობიასა და ტრანსფობიას და

უსაფუძვლოდ, დისკრიმინაციულად ზღუდავს შეკრების, გამოსატყვის და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებებს.

! ძალადობა, სოციალური გარიყულობა, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია ლგბტი+ ადამიანების მიმართ კვლავ მზარდი პრობლემაა და სახელმწიფოს არათუ არ გააჩნია სტრატეგია და გეგმა აღნიშნული ჯგუფის უფლებების ყოვლისმომცველი დაცვისთვის, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები დისკრიმინაციული საკანონმდებლო [ინიციატივებით](#), სიძულვილის ენის გამოყენებით და დისკრიმინაციული, მცდარი ნარატივების [გავრცელებით](#) თავად ახალისებენ ჰომოფობიასა და ტრანსფობიას. ასევე, სახელმწიფო ჰომოფობიური ძალადობრივი ჯგუფების დანაშაულებრივი საქმიანობის და მოწოდებების მიმართ ამკარა ლოიალობას იჩენს (მაგალითად, 2021 წლის 5 ივლისის და 2023 წლის 8 ივლისის მოვლენების გამოძიების არაეფექტიანობა).

! სახელმწიფოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით არ პასუხობს ევროპის საბჭოს მიერ გაცემულ მნიშვნელოვან რეკომენდაციებს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის ფარგლებში, მათ შორის პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების, საკონსულტაციო მექანიზმების გაუმჯობესების, უმცირესობების სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვის [მიმართულებით](#). (გვ 46-47)

! [ვენეციის კომისიის](#) მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური არაა ის ორგანო, რომელიც ეფექტიანად შეძლებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კანონიერების კონტროლს და უმჯობესი იქნება თუ აღნიშნულ ფუნქციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური შეასრულებს. ასევე, პრობლემურია საკონკურსო კომისიაში გენერალური პროკურატურის მონაწილეობა და უმჯობესი იქნება თუ იგი სამოქალაქო საზოგადოების მიერ შემოთავაზებული წევრის მონაწილეობით შეიცვლება.

სამოქალაქო საზოგადოების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

! აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ (პარლამენტმა და მთავრობამ) გააფართოოს 9 ნაბიჯის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და დაუმზას ყველა კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაცია მასში მონაწილეობის მისაღებად;

! აუცილებელია, ხელისუფლებამ უარი თქვას რუსულ კანონზე, შეწყდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ აგრესიული და მტრული ტონის გამოყენება, რომლებიც რეფორმების პროცესს აკვირდებიან და კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ შეუსრულებელ ვალდებულებებთან მიმართებაში.

! აუცილებელია, ხელი შეეწყოს, მათ შორის, საერთაშორისო დახმარების მეშვეობით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების მეტად გამჭვირვალე და ქმედით ფუნქციონირებას.

! აუცილებელია, რომ სამოქალაქო აქტივისტების და უფლებადამცველების ღირსების (მათ შორის, სატელეფონო ზარების მეშვეობით), ფიზიკური ძალადობის, არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებისა და თანამშრომლების პირადი უძრავი და მოძრავი ნივთების დაზიანების საქმეები იყოს ეფექტურად მოძიებული და სათანადოდ აღკვეთილი.

პირადი ცხოვრების დაცულობის უზრუნველყოფა

! გამოწვევად რჩება ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რომელიც 2022 წელს კიდევ უფრო გაუარესდა ნაჩქარევად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ([კენეციის კომისიის მოსაზრება](#)). გამოწვევას წარმოადგენს არაადეკვატური ზედამხედველობის მექანიზმების [არსებობა](#). ასევე, გამოწვევად რჩება ის, რომ 2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მასშტაბური, სავარაუდოდ

უკანონო, ფარული მოსმენა-მიყურადებისა და თვალთვალის შემთხვევები დღემდე არაა ეფექტიანად მოძიებული (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის [შეფასება](#), 2024).

თანასწორი უფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა

ქალები

! ვენეციის კომისიის [შეფასებით](#), სახელმწიფომ უნდა მიიღოს სპეციალური ღონისძიებები ზომები, რათა გააუმჯობესოს ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტსა და საკრებულოებში, გენდერული კვოტების კვლავ მიღებით ან, სხვა აღიარებული მეთოდებით, ხელი ხელი შეუწყოს ქალი კანდიდატების არჩევას ისე, რომ არჩეულ ქალთა არსებული პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

! აუცილებელია, გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მოსამართლეებისა და სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლების (განსაკუთრებით, რეგიონებში) კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა სამართალწარმოების პროცესი აღარ იყოს ქალებისთვის ბარიერი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე

ეთნიკური უმცირესობები

! უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა ცენტრალურ დონეზე კვლავ რჩება გამოწვევად, განსაკუთრებით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა უმცირესობების წარმომადგენლობა პარლამენტში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მცირეა (6 წარმომადგენელი). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა კვლავ დაბალია იმ ადგილობრივ თვითმმართველობებშიც კი, სადაც ეთნიკური უმცირესობები სტატისტიკურად

მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ მუნიციპალიტეტების მოქმედ საკრებულოებში 938 ქართველს, 3106 ეთნიკურ აზერბაიჯანელსაც და 1206 ეთნიკურ სომეხსაც 1 წარმომადგენელი ყავს. ამ რეალობის მიუხედავად, სახელმწიფო არ მუშაობს სპეციალური მექანიზმების დასაწერად, რომელიც არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობის გაზრდას შეუწყობს ხელს, რაც ევროპის [საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციითაც არის განსაზღვრული](#). (§142)

! ეთნიკური უმცირესობების დასაქმება საჯარო სამსახურში მკვეთრად დაბალია. სახელმწიფო არ აწარმოებს სტატისტიკას და კვლევას, რომელიც შესაბამის უწყებებში ეთნიკური უმცირესობების დასაქმების მონაცემებს აჩვენებდა. ამდენად ხელისუფლებას ყურადღების მიღმა რჩება ეთნიკური უმცირესობების დასაქმების მონაცემები.

! საპარლამენტო და სამთავრობო დონეზე არ არსებობს ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის მდგრადი საკონსულტაციო პლატფორმები, შესაბამისად, პარლამენტისა და მთავრობის დონეზე ისე მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომ ეთნიკურ [უმცირესობებს არ აქვთ საკონსულტაციო სივრცე კი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენის მოსახდენად](#). (§136)

! ეთნიკური უმცირესობებისთვის კვლავ სირთულეებთანაა დაკავშირებული ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა ქართულ ენაზე. არსებული ენის პოლიტიკა კი, რომელიც არც ცენტრალურ დონეზე, და არც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არ უზრუნველყოფს უმცირესობების თარგმანის რესურსების ინტეგრირებას ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში, ეთნიკურ უმცირესობებს რიყავს საჯარო პროცესებიდან.

! ეთნიკური უმცირესობები არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაში გარიყულობას განიცდიან. ეთნიკური უმცირესობების სოციალური ექსკლუზია ყველაზე აშკარად ჩანს განათლების [ხელმისაწვდომობაში](#). (გვ.10)

! ენის არსებული პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფო ენის შესახებ კანონისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის მოთხოვნების მიუხედავად, ეთნიკურ უმცირესობების ენებზე თარგმანის სერვისებს ადმინისტრაციულ პრაქტიკაში არ ნერგავს, ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობას სახელმწიფო პროგრამების მიმართ მკვეთრად ამცირებს.

! სომეხი ეთნიკური უმცირესობებისთვის პრობლემას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის მიღება. მათმა დიდმა ნაწილმა მოქალაქეობა შრომითი მიგრაციის პრაქტიკიდან გამომდინარე დაკარგა და ახლა მის დაბრუნებას ათი ათასზე მეტი ეთნიკურად სომეხი ვეღარ ახერხებს. ცხადია, რომ მოქალაქეობის არ არსებობა მათ ყველა სხვა უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას [ართმევს](#).

! დაბალი პოლიტიკური მონაწილეობის ფონზე რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმების არარსებობა უმცირესობებს რიყავს პოლიტიკური პროცესებიდან და მათ არ აქვთ გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

! საბჭოების საქმიანობა არ არის ფორმალისებული და მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო დონეებზე არ არის რეგულარული, განსაზღვრული შესაბამისი წესებით ან თანამშრომლობის მემორანდუმებით შესაბამისი უწყებებთან/პარლამენტთან/თვითმმართველობასთან. (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორთან, 15 მარტი, 2024)

! არ არის განსაზღვრული საბჭოების მანდატი და საქმიანობის წესი, მათი დაფინანსება დამოკიდებულია დონორულ მხარდაჭერაზე, რის გამოც აღნიშნული საკონსულტაციო პლატფორმების საქმიანობა არ არის მდგრადი და რეგულარული.

! სამართალდამცავი ორგანოები უგულებელყოფენ ულტრა-მემარჯვენე ნაციონალისტური ძალების მიერ განხორციელებული ქმედებების დამაზიანებელ ეფექტს როგორც, უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი უფლებადამცველების საქმიანობის, ისე [თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისთვის](#).

! სახელმწიფოს არაეფექტიანი რეაგირება დაუსჯელობისა და დაუცველობის გარემოს ქმნის, სხვა ქალი აქტივისტების საჯარო საქმიანობისა და გამოხატვის კუთხით და ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის, ულტრამემარჯვენე და ნაციონალისტური ძალების მიერ უმცირესობებზე თავდასხმების პრევენციას.

! სამართალდამცავი ორგანოები ხშირად, [განზრახ აჭიანურებენ](#) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი უფლებადამცველების მიმართ განხორციელებული თავდასხმებისა და შეურაცხყოფის შემთხვევების გამოძიებას.

! ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში უფლებადამცველების, მათ შორის, ქალი უფლებადამცველების დაცვაზე მიმართული აქტივობები გაწერილი არ არის და ეს პერსპექტივა სრულად იგნორირებულია სამოქმედო გეგმიდან.

! სახალხო დამცველს არ აქვს უფლებადამცველების, მათ შორის, ქალი უფლებადამცველების წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევების რეგულარული მონიტორინგისა და პრევენციის ეფექტიანი მექანიზმები.

[ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები](#)

! ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, ხაზი გაუსვა 2022-2030 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიის არაეფექტიანობასაც, ვინაიდან, კომიტეტმა მიიჩნია, რომ ეროვნული სტრატეგია ვერ პასუხობს რელიგიური და სხვა უმცირესობების ჯგუფების უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ [გამოწვევებს](#).

! სახალხო დამცველისთვის გამოწვევად რჩება დისკრიმინაციის საქმეებზე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულება, რაც აღსრულების სამუშაოების გაძლიერებას და ამ პროცესის უკეთეს ინსტიტუციონალიზებას (შესაბამისი მეთოდოლოგიების დამკვიდრება, აპარატის შიგნით შესაბამისი ერთეულის და ადამიანური რესურსების მობილიზება) გულისხმობს.

! სახალხო დამცველს არ აქვს სიძულვილის ენის პროაქტიული და რეგულარული მონიტორინგისა და მასთან გამკლავების ინსტრუმენტები და რესურსები, რაც ასევე საჭიროებს პრიორიტეტიზაციას.

! სახალხო დამცველთან არ არსებობს თანასწორობის პოლიტიკის მხარდაჭერი საკოორდინაციო პლატფორმა, რომელიც ლგბტქი+ თემისთვის, ასევე რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების გაერთიანებებს, ასევე ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს სახალხო დამცველის აპარატთან მდგრადი და რეგულარული მუშაობის შესაძლებლობას მისცემდა.

[სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირება](#)

! სახელმწიფოს არ აქვს პოლიტიკური ნება დაიწყოს გამოძიებები ისეთი ტიპის სიძულვილით მოტივირებულ ან დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ საქმეებზე, რაზეც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ან პოლიტიკური

ინტერესი. ამგვარი ქმედებები არ არის გამოძიებული შესაბამისი სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაციით.

! არ არსებობს სტატისტიკა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციაზე, რადგან ამ კვალიფიკაციით გამოძიება არც ერთ საქმეზე არ დაწყებულა.

! ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა კოდექსში ამ დრომდე არ არის სიძულვილის მოტივის აღმნიშვნელი მუხლი, რომელიც ასეთი ტიპის სამართალდარღვევების დროს გამოყენებულ პასუხისმგებლობას დაამძიმებდა და ამგვარი ინციდენტების სტატისტიკის შექმნის შესაძლებლობას შექმნიდა.

! სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს სპეციალური მუხლი, რომელიც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების დაწყების კარგად გამართული სტატისტიკის შექმნის შესაძლებლობას შექმნიდა.

! სახელმწიფო განზრახ ირჩევს პოლიტიკური ჰომოფობიის ტენდენციას, რისი ნათელი მაგალითიცაა 2024 წლის 29 თებერვალს, მმართველი პარტიის მიერ დაანონსებული საკანონმდებლო ცვლილებებიც. საპარლამენტო უმრავლესობამ ჰომოფობიური კანონპროექტი დააინიცირა. მამუკა მდინარაძის განმარტა, რომ ახალი ინიციატივით, "საზოგადოებას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისგან და მისი გარდაუვალი მავნე შედეგებისგან" [დაიცავენ](#).

! სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის, ასევე რელიგიის საფუძველზე ჩადენილი სიძულვილის დანაშაულებზე გამოძიების დაწყება არ ხდება ქმედითად და პროაქტიულად, განსაკუთრებით თუ ამგვარ საქმეებზე არსებობს მაღალი პოლიტიკური ინტერესი, გამოძიების პროცესი კი არის გაჭიანურებული, ხარვეზიანი და არაეფექტური.

! სახელმწიფოს არ აქვს პოლიტიკური ნება, არც პოლიტიკის ხედვის დოკუმენტი ულტრამემარჯვენე რადიკალურ ჯგუფებთან გასამკლავებლად. მათ მიერ

ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები ხშირად რჩება გამოძიების გარეშე, ან თუ გამოძიება იწყება, ეს საქმეები ვერ იღებს სათანადო სისხლის სამართლებრივ კვალიფიკაციას, სადაც გამოკვეთილი იქნება დისკრიმინაციული ნიშანი ან სიძულვილის მოტივი, ისევე როგორც სიძულვილის წახალისება.

[სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა](#)

! კრიზისული ცენტრების მომსახურება მხოლოდ დიდ ქალაქებშია ხელმისაწვდომი, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ბარიერს წარმოადგენს.

! ძალადობის გამოცდილების მქონე ქალები ხშირად არ მიმართავენ სისტემას დაცვისთვის. საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევაც უთითებს, რომ ქალების 38.2 პროცენტს არავისთვის უთქვამს პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამოცდილების შესახებ და მსხვერპლები დახმარებისთვის ძირითადად არაფორმალურ სოციალურ ქსელებს მიმართავენ, ხოლო ფორმალურ სისხლის სამართლის ინსტიტუტებს - პოლიციას, სასამართლოებს მხოლოდ მძიმე შემთხვევებში მიმართავენ. ამის მიზეზი მათ შორის, ძალადობაგამოვლილი პირების მდგრად გაძლიერებაზე მიმართული პოლიტიკის სისუსტეა.

! სამართალდამცავებთან ურთიერთობისას არსებული ბარიერები (ენობრივი ბარიერი, ჰომოფობიური დამოკიდებულება და სხვა) მსხვერპლებისთვის დამაბრკოლებელი გარემოებაა საჭირო სერვისების მისაღებად ([ძალადობა-გამოვლილი ქალებისთვის მხარდამჭერი სერვისები და მექანიზმები საქართველოში](#), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023).

! მსხვერპლისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური არ არის საკმარისად აღჭურვილი რესურსებით, ცოდნით და სახელმძღვანელო პრინციპებით, იმისათვის რომ იმუშაოს დისკრიმინაციის ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლებთან, გარდა გენდერული ნიშნით

ჩადენილი დანაშაულებისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებისა. კოორდინატორების ჩართულობა დასაქმებულთა მცირე რაოდენობის გამო, არასაკმარისი და ფრაგმენტულია.

! სამართალდამცავთა არასენსიტიურობა და კულტურული/ეთიკური კომპეტენცია ხშირად ქმნის გამოწვევებს სხვადასხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენელი მსხვერპლებისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის და ლგბტქ+ ადამიანებისთვის, იწვევს მათ რევიქტიმიზაციას, და უნდობლობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, ისევე როგორც სახელმწიფო სერვისების მიმართ.

შეკრების და გამოხატვის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესება

! გამოწვევად რჩება არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პროტესტის გამოხატვისას კარვის გაშლისთვის, პოლიცია პირს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) საფუძველზე აკავებს, ხოლო სასამართლო, რომელიც ამ ტიპის საქმეს იხილავს, არ იკვლევს, რამდენად კანონიერი იყო პოლიციელის მოთხოვნა კარვის აღებასთან დაკავშირებით და პირს სამართალდამრღვევად ცნობს (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის [შეფასება](#), 2024, გვ.30).

! გამოწვევას წარმოადგენს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვის საკითხი. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ გამოტანილი შაბლონური გადაწყვეტილებები, რომელიც არ ეფუძნება ობიექტურ გარემოებების ანალიზსა და რეალურ მტკიცებულებებს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და არაპროპორციულად ზღუდავს შეკრებისა და გამოხატვის უფლებას.

! კიდევ უფრო დიდ გამოწვევად იქცა აპრილსა და მაისში, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული აქციების დროს, აქციის მონაწილეების მიმართ გამოყენებული არაკანონიერი და არაპროპორციული მექანიზმები (იძულებითი ღონისძიებების - ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების არაკანონიერად და არაპროპორციულად გამოყენება, უკანონო დაკავებები (როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის წესით), რაც ხელს უშლის შეკრებისა და გამოხატვის უფლების სრულფასოვნად რეალიზებას;

! ხელისუფლების მხრიდან “გზის გადაკეტვისთვის” სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ აქციების მონაწილეებს, რომლებიც თავისუფალ გადაადგილდებიან მშვიდობიან დემონსტრანტებს შორის.

! ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსის პროექტზე მუშაობა გათვალისწინებული იყო პარლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტის [2022](#) და [2023](#) წლების სამოქმედო გეგმებით. მიუხედავად ამისა, პროექტები დაინტერესებულ მხარეებს არ წარდგენიათ. კომიტეტის საქმიანობის 2023 წლის [ანგარიშის](#) მიხედვით, სისტემური რეფორმის ნაცვლად, კოდექსში არაარსებითი ცვლილებებია შესული. ამჟამად იგივე აქტივობა გათვალისწინებულია კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო [გეგმაში](#).

! საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ჟურნალისტების უსაფრთხოების, დაცვისა და გაძლიერების შესახებ [რეკომენდაციასთან](#), რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა გამოიძიოს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიყენოს ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი კრიმინალური აქტებისთვის, მიუხედავად იმისა ისინი ჩადენილია ონლაინ თუ ფიზიკურ სივრცეში.

! საერთო სასამართლოები SLAPP საქმეების განხილვისას მხედველობაში არ იღებენ გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს, რის გამოც მათ მიერ

მიღებულ გადაწყვეტილებებს მსუსხავი ეფექტი აქვს მედიებსა და ჟურნალისტებზე გააშუქონ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

! გამოწვევად რჩება 2023 წლის 19 ოქტომბერს დაჩქარებული წესით მიღებული ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში, რომლის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილება, ჩაერიოს მაუწყებლების შინაარსობრივ საქმიანობაში. ასევე, გამოწვევად რჩება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული პროცესის გადაღების მიმართ საზოგადოებრივი ან საერთო საეთერო მაუწყებლების ინტერესის არარსებობის პირობებშიც, ინტერნეტ და ბეჭდურ მედიას არ აქვს სასამართლო პროცესის გადაღების შესაძლებლობა. ასევე პრობლემურია პარლამენტში ჟურნალისტების აკრედიტაციის წესი, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტები ვალდებულია რესპონდენტის მოთხოვნისთანავე შეწყვიტოს ინტერვიუ (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის [შეფასება](#), 2024).

! გამოწვევაა საჯარო ინფორმაციის გაცემის გაუარესებული პრაქტიკა, ადმინისტრაციული ორგანოები ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან კონკრეტულ ჟურნალისტებსა და მედიაორგანიზაციებს და უარს ეუბნებიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის [შეფასება](#), 2024).

! გამოწვევად რჩება, რომ 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორები დღემდე არ არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული (საია, საქართველო 2023 წელს, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის [შეფასება](#), 2024). პრობლემურია საპროტესტო დემონსტრაციებზე ჟურნალისტების ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა.